# საერთო გაზეთი

№25 (617)
ოთხშაბათი
14 ივლისი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## თუ ჩვენ თავმოყვარე ერი ვართ, საქართველომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა არ უნდა დაუშვას!



## სამართალდამცავ ორგანოებს ვთხოვთ: დაუყოვნებლივ დაკითხეთ სააკაშვილი და მისი რადიკალური დაჯგუფების წევრები

## როგორ ამოვიცნოთ „ქართველი ძოპიროსები“?



## პარტიები, რომლებმაც პრაიდს დაუჭირეს მხარი, საქართველოს ისტორიაში გეი–პარტიების სახელით შევლენ





## ირაკლი ღარიბაშვილი:

ეს არის მორიგი წარუმატებელი შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ. ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეკლესიური ძალების მიერ დაგეგმილი შეთქმულება ვერ შედგა და ვერასოდეს ვერ შედგება ჩვენს ქვეყანაში.

მინდა, კიდევ ერთხელ შევახსენო საზოგადოებას, როგორ განვითარდა მანამდე მოვლენები და როგორ მოვედით აქამდე. მოგეხსენებათ, 5 ივლისს, მთავრობის სხდომაზე მე წინასწარ განვაცხადე, რომ იგეგმებოდა ძალიან დიდი და მასშტაბური პროვოკაცია ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის წინააღმდეგ. მე კონკრეტული სახელი და გვარიც ვთქვი, ვინც ამ რევანშისტული, რადიკალური შეთქმულების უკან დგას, ეს არის ბატონი სააკაშვილი და მისი რადიკალური ჯგუფი.

---

**„საერთო გაზეთი“:** აბსოლუტურად ვეთანხმებით ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ამ შეფასებას და აქვე დავამატებთ: რაც 5-6 ივლისს მოხდა და რაც დღეს ხდება, ეს არის 2019 წლის 20 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება, მისი შემადგენელი ნაწილი.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას: იმოქმედეთ ისე, როგორც ამ შემთხვევაში კანონი გავალდებულებთ.

გააკეთეთ, რაც უკრაინაში გაკეთდა — დაუყოვნებლივ დახურეთ ის ტელევიზიები („მთავარი“, „ფორმულა“ ტვ-1), რომლებიც ამ დიდი შეთქმულების მთავარი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები არიან და დასავლური ორიენტაციის ნიღბით, რუსულ საქმეს და რუსეთის მარიონეტს, სააკაშვილს ემსახურებიან.



## საქართველოს არაფერი ეშველება, სანამ „ნაცები“ არ მოშორდებიან ამ ქვეყანას



## სასწაული მოხდა ჩვენს თვალწინ – საქართველოს მისი წამებული დედოფალი ქეთევანი დაუბრუნდა!..



## ვინ, რატომ და რა მიზნით გამოსცა საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო, „ქართლის ცხოვრება“ 2008, 2012 წლებში გაყალბებული სახით?

## ზოგი ჭირი მარგებელია, ანუ ბედისწერით შეკრულნი



## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# თუ ჩვენ თავმოყვარე ერი ვართ, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს და საქართველომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა არ უნდა დაუშვას!

## რაც ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა, ეს არის გმირობა, ის მოიქცა როგორც ნამდვილი პატრიოტი, რომელმაც გვერდზე გადადო პირადი ინტერესები და ქვეყნისთვის თავდადების და თავგანწირვის მაგალითი მოგვცა



**ვახტანგ ხარჩილავა:**

ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: 2019 წლის 19–20 ივნისიდან დღემდე საქართველო მუდმივი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის რეჟიმში ცხოვრობს.

უკვე ორ წელზე მეტია ეს ანომალური, სიგიჟის ზღვრამდე მისული ანტისახელმწიფოებრივი ისტერიკა გრძელდება, ერთ ტალღას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე და ასე შემდეგ, უსასრულოდ.



იცვლება მოტივები — ხან გავრილოვის ღამე ჰქვია ამ მოტივს, ხან — არჩევნების გაყალბება, ხან — ბოიკოტი, ხან — პრაიდი, თუმცა საერთო თემა ერთია და უცვლელი — **სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.**

ორი წელია, ქვეყანა ამ ტურბულენტურ მდგომარეობაშია და მიუხედავად დიდი მცდელობებისა, ვერა და ვერ ვახერხებთ, წონასწორობა აღვადგინოთ.

ცალკე კოვიდი გვიტევს, ცალკე — კოვიდზე უარესი კოვიდი, შინნაბადი, ადგილობრივი წარმოშობის კოვიდი, ეროვნული ჭირი და სახადი — „ნაცმოძრაობა", თავისი მუტანტური წარმონაქმნებით და ახალ-ახალი შტამებით.

ძალიან ბევრი სუბიექტი მონაწილეობს ამ ორ წელიწადზე გაჭიმული გადატრიალების მცდელობაში — პოლიტიკური პარტიები, მათი სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები, რამდენიმე ტელევიზია, რამდენიმე ინტერნეტგამოცემა, ე.წ. სამოქალაქო აქტივისტების რამდენიმე დაჯგუფება.

ამ ორწლიანი მონაკვეთის ანალიზი და მასზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პროცესები კარგა ხანია, გასცდა დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ოპონირების ჩარჩოებს და მკვეთრად გამოხატული ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ხასიათი მიიღო, რომელმაც დროის ამ მცირე მონაკვეთში „ქართული ოცნებისთვის" საკმაოდ მტკივნეული შედეგები მოიტანა — პარლამენტის თავმჯდომარის, კობახიძის, პარლამენტის მეორე თავმჯდომარის, თალაკვაძის, ცესკო-ს თავმჯდომარის, ჟვანიას, გადადგომა, პრემიერ-მინისტრ გახარიას გადადგომა (თუ გაქცევა) და ა. შ.

რაც დღეს ხდება, რაღაცით ჰგავს ჩიტი-ჩიორას და მოძალადე მელიას ამბავს.

— ჩიტო-ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ —
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა.
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

როგორც ვთქვით, ერთი „ბარტყი" გადაუგდო ხელისუფლებამ გაწუწკებულ მელია-ოპოზიციას, მეორეც გადაუგდო, მესამეც, მეოთხეც, ახლა ღარიბაშვილი გადმომიგდეთ და გომელაურიც ზედ მიაყოლეთ, თორემო, — იმუქრება მადაზე მოსული გათავხედებული „მელია" და თუ ეს სურვილიც შეუსრულეს, მერე ხელისუფლების გადმოგდება-გადმობარებასაც მოითხოვს აუცილებლად.

**თუ კვლავ გაგრძელდა მსხვერპლშეწირვის სერია და ამჯერად ღარიბაშვილის თავიც თუ დაუთმეს მოძალადეებს, ეს „ქართული ოცნების" ავტორიტეტს ქართველი ხალხის წინაშე საბოლოოდ დაამსხვრევს და, ფაქტობრივად, ამით დამთავრდება „ქართული ოცნების" მოღვაწეობის ისტორია პოლიტიკურ ასპარეზზე.**

ზოგიერთების ულტიმატუმი უფრო შორს მიდის და არა მარტო ღარიბაშვილის, არამედ ივანიშვილისა და კათოლიკოს-პატრიარქის თავსაც მოითხოვენ და — ივანიშვილი და კათოლიკოსი თუ შეეშვებიან საქართველოს, ქვეყანაში ყველაფერი კარგად იქნებაო, — გვიმტკიცებენ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელისუფლებაც და მასთან ერთად ქართული სახელმწიფოც ალყაშია და მოალყეები „ციხე-სიმაგრეში" გამაგრებულებს ულტიმატუმს უყენებენ: ჩვენს მოთხოვნებს თუ არ შეასრულებთ, ასე და ასე გიზამთო.

„მოალყეები" ამას დემოკრატიას ეძახიან და, ჩვენდა გასაკვირად, ჩვენი მეგობრები და სტრატეგიული პარტნიორებიც ალაგ-ალაგ ეთანხმებიან.

ბევრჯერ ითქვა, ბევრჯერ დაიწერა — ნუ აკეთებთ ამას, ჩვენო ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან, ნუ ამოუყვანთ ყელში ქართველ ხალხს ამ უმსგავსობას და ნუ ათქმევინებთ იმას, რისი თქმაც ქართველ ხალხს ძალიან არ უნდა — თუ ამ მოძალადეებს აფარებთ ხელს, მაშინ არ გვინდა თქვენთან და თავი დაგვანებეთო.

არ იქნა შესმენილი ქართველი საზოგადოების ეს თხოვნა და გაფრთხილება და შედეგიც მივიღეთ: 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის წინ გამოფენილი ევროკავშირის დროშა 2-ჯერ ჩამოხსნეს, რომელიც, მართალია, მალევე აღმართა პარლამენტის თავმჯდომარემ ბატონმა კუჭავამ, თუმცა არ არის გამორიცხული, ეს დროშა მესამედაც ჩამოხსნან, მერე კუჭავა მოვიდეს და ისევ აღმართოს, შემდეგ ფალავანდიშვილმა ჩამოხსნას, მერე კუჭავამ აღმართოს და ა. შ.

გაუგებარია, რატომ მივიყვანეთ საქმე აქამდე და რატომ ვაძალებთ ქართველ ხალს იმას, რაც მისთვის კატეგორიულად მიუღებელია?

თბილისში ევროკავშირის დროშის ჩამოხსნამ მოსკოვში დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია და გასაგებია, რატომაც.

კი, მაგრამ, ლგბტ-პრაიდის ჩატარებას რომ გვაძალებთ, ამით რუსეთის საქმეს რომ აკეთებთ და იძულების წესით რუსეთისკენ რომ მიგვერეკებით, ამას ვერ ხვდებით თქვენ, პატივცემულო მეგობრებო, დასავლეთიდან?

რუსთაველის პროსპექტზე პრაიდის ჩატარება, როგორც ამას პრაიდის ორგანიზატორები აანონსებდნენ, აუცილებლად დამთავრდებოდა პრაიდის მონაწილეებსა და მის მოწინააღმდეგე რადიკალურ დაჯგუფებებს შორის შეჯახებით, რაც, დიდი ალბათობით, უმძიმესი ტრაგედიით დამთავრდებოდა.

სწორედ ეს ტრაგედია აღკვეთა ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი მტკიცე პოზიციით.

მან, როგორც გამოცდილმა პოლიტიკოსმა, შესანიშნავად იცოდა, რა რეაქცია შეიძლება მოჰყოლოდა მის ამ განცხადებას ევროკავშირისგან, ჩვენი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოებისგან.

**ირაკლი ღარიბაშვილმა იცოდა, რომ ეს განცხადება მას შეიძლებოდა პრემიერ-მინისტრის პოსტის დაკარგვად დასჯდომოდა, მაგრამ ის მოიქცა, როგორც ნამდვილი პატრიოტი, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, რომელმაც გვერდზე გადადო თავისი პირადი ინტერესები, გვერდზე გადადო კარიერაზე ფიქრი და ყველაფერზე მაღლა სახელმწიფო ინტერესები, ქართველი ხალხის ინტერესები დააყენა.**

რაც ირაკლი ღარიბაშვილმა მოიმოქმედა, ქვეყნისთვის თავგანწირვის და თავდადების მაგალითია, ამიტომ, თუ საჭირო გახდება, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს და საქართველომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას.



# 5 ივლისის მასშტაბური პროვოკაცია საქართველოს საზღვრებს გარეთ დაიგეგმა

**სამართალდამცავ ორგანოებს ვთხოვთ: დაუყოვნებლივ დაკითხეთ სააკაშვილი და მისი რადიკალური დაჯგუფების წევრები. სავარაუდოდ, სწორედ მათ შეიმუშავეს ჟურნალისტების მასობრივი ცემის გეგმა**



5-6 ივლისის მოვლენების დროს დაშავდა 54 ჟურნალისტი, დაიწყო დაკავებების სერია, უკვე გასამართლდა რამდენიმე ადამიანი, გამოძიება ინტენსიურად მუშაობს იმ მოძალადეების გამოსავლენად, რომლებიც ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ჟურნალისტებს.

კარგია, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს დამნაშავეთა გამოსავლენად, თუმცა არის ერთი გარემოება, რომელსაც, ჩვენი აზრით, ნაკლები ყურადღება ექცევა.

ჯერჯერობით საზოგადოებას არ მოუსმენია კომპეტენტური ორგანოების მიერ ჩატარებული სრულფასოვანი და სრულყოფილი ანალიზი იმისა, თუ რა მოტივით, რა მიზეზით იქნა ჩადენილი ის დანაშაული, რომელსაც ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და რომელშიც ათობით და ასობით ადამიანი იღებდა მონაწილეობას.

გთავაზობთ ინტერვიუს ადამიანთან, რომელიც თავისი სამსახურებრივი გამოცდილებიდან გამომდინარე, კარგად ერკვევა მსგავს სიტუაციებში და იმ ტექნოლოგიებში, რომლებიც შეიძლება 5- ივლისს მომხდარი ამბების დეტონატორად ქცეულიყო.

ჩვენმა სტუმარმა არ ისურვა ვინაობის საჯაროდ გამჟღავნება, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ ის იურისტობასთან ერთად პროფესიით ფსიქოლოგია და საგამოძიებო სტრუქტურებში მუშაობის საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს.

„— 5–6 ივლისს ჩადენილი დანაშაული, რომელსაც ორგანიზებულად ჩადენილი კოლექტიური დანაშაულის სახე აქვს, უაღრესად სპეციფიკური და ძალზე ფრთხილად გამოსაკვლევი დანაშაულია, რომელსაც მრავალი წახნაგი და ნიუანსი აქვს, რომლებმაც შეიძლება არასწორი გზით წაგიყვანოს და არასწორი შედეგები მიიღო.

პირველ რიგში, აღვადგინოთ ის დრამატული სურათი, რაც 5–6 ივლისს გამოიკვეთა.

უამრავ კითხვის ნიშანს ბადებს ის ფაქტი, რომ კონტრაქციაში მონაწილეთა რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფი, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ლოკაციაზე სჩადიან ერთსა და იმავე დანაშაულს — ფიზიკურად უსწორდებიან ჟურნალისტებს.

ეს შემთხვევით არ შეიძლება მოხდეს — უდავოა, რომ მოძალადეები იმართებიან ერთი საერთო წერტილიდან და ასრულებენ ერთსა და იმავე დავალებას.

სწორედ ამან მისცა საფუძველი ოპოზიციას და მედიის წარმომადგენლებს, ამ დანაშაულში ორგანიზატორის არსებობა დაენახათ და მთავარ ორგანიზატორად ხელისუფლება დაესახელებინათ, თუმცა ამ ბრალდებას არ აქვს არანაირი საფუძველი და ის საერთოდ სცილდება ლოგიკისა და გონივრულობის ყოველთგვარ ზღვარს.

ხელისუფლება ნამდვილად არაფერ შუაშია 5–6 ივლისის ორგანიზებასთან დაკავშირებით, უფრო მეტიც, რაც 5–6 ივლისს მოხდა, ეს არის ხელისუფლების წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაცია, მსგავსი ავანტურისტული პროვოკაციების დაგეგმვაში დაოსტატებული ადამიანების ტვინებში მოხარშული მზაკვრული სცენარი, რომლის წინასწარ გაშიფვრა და პრევენცია მისი მოულოდნელი და არაორდინარული ხასიათის გამო ხელისუფლების მხრიდან შეუძლებელი იყო.

ვის შეიძლებოდა ეს სცენარი მოეფიქრებინა?

მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამგვარი სქემების მოფიქრების ცოდნა და გამოცდილება აქვთ და ზედმიწევნით კარგად იციან, როგორ შეიძლება თუნდაც ყველაზე მშვიდობიანი აქცია მრისხანე, სასტიკ და დაუნდობელ აქციად გარდაქმნა.

სხვათა შორის, ამის გაკეთება მაშინ უფრო ადვილია, როცა აქცია თუ მიტინგი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და ერთი შეხედვით არანაირი საბაბი არ არსებობს, რომ მდგომარეობა დაიძაბოს და პროცესებმა უმართავი ხასიათი მიიღოს.

ზუსტად ასეთი მშვიდი ვითარება იყო 5 ივლისს — პრაიდის ორგანიზატორები და მონაწილეები არ ჩანდნენ და „ბრძოლის ველზე“ მარტო დარჩენილ კონტრაქციის წევრებს ვისთან უნდა „ეომათ“, ან პოლიციას რა უნდა განემუხტა, როცა განსამუხტი არაფერი იყო?

აი, ამ დროს იწყება სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ — თავდასხმების სერია ჟურნალისტებზე.

მოტივი — ნუ აშუქებთ ჩვენს აქციას!

უცნაური და აბსურდული მოტივია, რადგან გასაშუქებელი და გადასაღები, ფაქტობრივად, არც არაფერია — კონტრაქციის მონაწილეები მარტო დგანან ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე და ჟურნალისტები, ძალიანაც რომ მოინდომონ, ისეთს ვერაფერს გადაიღებენ, კონტრაქციის კომპრომეტაციისთვის რომ გამოიყენონ.

ასეთი აბსურდული მიზეზით იწყება თავდასხმების ციკლი ჟურნალისტებზე, იწყება უსაგნოდ, არაფრის გამო და სწორედ ეს არის ყველაზე მეტად დამაფიქრებელი და დამაეჭვებელი.

ღრმად ვარ დარწმუნებული, კონტრაქციის მონაწილეთა რიგებში შეგზავნილი იყვნენ პროვოკატორები, რომლებსაც მიცემული ჰქონდათ დავალება — ნებისმიერი მიზეზით, თუნდაც სრულიად უმიზეზოდ, გამოეწვიათ დაპირისპირება ჟურნალისტებთან, განურჩევლად იმისა, რომელ საინფორმაციო საშუალებას წარმოადგენდნენ ისინი.

პროვოკატორებიო, რომ ვამბობ, არ ვგულისხმობ პროვოკატორთა მრავალრიცხოვან ჯგუფს — 5–10 კაცი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ათასობით ადამიანი ააზვირთოს და ერთ მიზანს დაქვემდებარებულ ბრბოდ აქციოს, სადაც ადამიანი, როგორც ინდივიდი, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პერსონა, იკარგება და ბრბოს ნაწილად იქცევა.

ბრბოში გადაგდებული ერთი სიტყვა, ერთი ნაპერწკალი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ისეთი ცეცხლი აგიზგიზდეს, რომლის ჩაქრობას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ 5 ივლისს სხვადასხვა ლოკაციაზე რამდენიმე პროვოკატორმა ისროლა ეს ნაპერწკალი, რომელმაც თავისი შავბნელი საქმე გააკეთა და რელიგიურ-პატრიოტული გრძნობებით აღტყინებულ ადამიანებს პრაიდის აქტივისტების ნაცვლად ახალი სამიზნე გამოუჩინა — ჟურნალისტები.

ჟურნალისტების გარდა ამ ინციდენტს ჰყავს მეორე დაზარალებულიც.

ეს არის ხელისუფლება, რომლის იმიჯსაც იმდენად დიდი ზიანი მიადგა, რომ უკვე ლაპარაკობენ სახელისუფლო ცვლილებების აუცილებლობაზე.

ამ პროვოკაციის მიზანიც, ალბათ, ეს იყო — ხელისუფლების დისკრედიტაცია, სახელისუფლო სტრუქტურების დასუსტება, არჩევნების წინ მძიმე მორალური დარტყმის მიყენება „ქართული ოცნებისთვის“ და, რაც მთავარია, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ჩამოშორება გზიდან.

**ვინც არის ყველაზე მეტად დაინტერესებული ხელისუფლების დისკრედიტაციით, 5 ივლისის პროვოკაციის ავტორი და შემოქმედიც ის არის.**

მე რომ ამ საქმის გამომძიებელი ვიყო, ამ საქმის გამოძიებას მიხეილ სააკაშვილის და მისი გუნდის რამდენიმე წევრის ამ საქმესთან შესაძლო კავშირის შესწავლით დავიწყებდი. ამასთან ერთად, ყურადღებას გავამახვილებდი მოძრაობა „სირცხვილიას“ და იმ სამოქალაქო აქტივისტების ქმედებებზე, რომლებსაც არც დაუმალავთ, რომ ლგბტ-პრაიდის ჩატარების მთავარი მხარდამჭერები სწორედ ისინი იყვნენ.

შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ამ მცირერიცხოვანი ლგბტ თემის უკან პოლიტიკოსები, პოლიტიკური ჯგუფები და მათი სატელიტი ორგანიზაციები დგანან, რომლებიც ლგბტ თემის წევრებს თავიანთი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად იყენებენ.

მიხეილ სააკაშვილს პროდასავლური და ავანტურისტული (ხშირ შემთხვევაში, სისხლიანი) სპექტაკლების დადგმის დიდი სტაჟი აქვს, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში.

ის, რაც 5–6 ივლისს თბილისში მოხდა, ძალიან ჰგავს მისი სატანისტური ტვინის ნამოქმედარს, მის ხელწერას.

ამიტომ ვთქვი, ამ საქმის გამოძიება სწორედ სააკაშვილიდან უნდა დაიწყოს-მეთქი“.

ასეთია ჩვენი სტუმრის მოსაზრება, რომელსაც „საერთო გაზეთის“ რედაქცია მთლიანად ეთანხმება.

„საერთო გაზეთი“ ხშირად ამბობს ხოლმე, რომ ის, რაც 2019 წლის 20 ივნისიდან დღემდე ხდება, ეს არის დროში გაჭიმული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

5–6 ივლისის მოვლენები ამ მცდელობის ნაწილია, მისი გაგრძელებაა და მისი გამოძიება და შესწავლა სწორედ ამ კონტექსტში უნდა მოხდეს.

**„საერთო გაზეთი“**







# საქართველოს არაფერი ეშველება, სანამ „ნაცები“ არ მოშორდებიან ამ ქვეყანას. ან ჩვენ, ან ისინი – სხვა გამოსავალი არ არსებობს!

*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, 5 ივლისს ქართველმა ხალხმა თბილისი პრაიდის ჩატარება არ დაუშვა.**

— მთავარი ის გახლავთ, რომ ლგბტ თემი ანუ, პიდარასტების დაჯგუფება არახალია. ეს ადრეულ, მერე, შუა საუკუნეებში იჩენდა თავს. ქვეყნები, სადაც ამას ფართო გაქანება მიეცა, ყველა დაიღუპა, დაინგრა. თავის დროზე, პიდარასტობა და ა.შ. ავადმყოფობად მიიჩნეოდა. ასეთ ადამიანებს საბჭოთა კავშირი სჯიდა, მაგრამ მსოფლიო მათ როგორც ავადმყოფებს ისე უყურებდა. დაახლოებით, 10–20 წლის წინ, მსოფლიომ აღიარა რომ ისინი ავადმყოფები კი არა, არამედ საზოგადოების ნაწილნი არიან. მათი განვითარების ეტაპები სამ საფეხურად იყოფა: პირველ ეტაპზე ითხოვდნენ: ჩვენც ადამიანები ვართ და ანგარიში გაგვიწიეთ, ნუ გვჩაგრავთო; მეორე ეტაპზე თქვეს: ჩვენ,




არამარტო ადამიანები ვართ, არამედ თქვენი თანასწორნი ვართო; მესამე ეტაპზე კი განგვიცხადეს: მიბრძანდით და თქვენი ადგილი ჩვენ დაგვითმეთო. ამ მიმართულებას ერთი ძირითადი მიზანი აქვს, რაც შემდეგში მდგომარეობს: ადამიანი, თავისი არსებით, ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ მას გააჩნია აზროვნების უნარი, მშვენიერების აღქმა. არის კიდევ ერთი ცნება: ადამიანი საზოგადოების წევრი — საზოგადოებრივი ცხოველია და იგი, უცილობლად, მორალური უნდა იყოს. მორალი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად ესმოდათ, მაგრამ ის, ყოველთვის, არსებობდა. ქრისტიანულ მორალს ნიცშე ებრძოდა, მოუწოდებდა: ქრისტიანული კათედრები დაინგრესო, რადგან თვითონ, ნიცშემ ადამიანს ღმერთი მოაკვლევინა. მაშინ როცა ცნობიერების სათავეში ღმერთი იდგა, მან მის ადგილას ზეკაცის დასმა განიზრახა. ზეკაცმა ვერ გაამართლა და იქცა ფულიან ადამიანად ანუ, დღევანდელ საზოგადოებაში, ყველაფერს, ფული განსაზღვრავს. დიახ, არა განათლება, წესიერება, ზნეობა, მორალი, არამედ ფული. აი, რა არის უბედურება. მათ სურთ ადამიანი ცხოველს გაუტოლონ, რაც შემთხვევითი სულაც არ არის. ამის უამრავი მაგალითი არსებობს: ჩვენ რომ მივილტვით, იმ ევროკავშირის სხდომაზე, დადგა საკითხი: რომელი უფრო ბედნიერი და ღირსეულია — ადამიანი თუ მაიმუნი. ადამიანი, აზროვნებით, მაიმუნზე რამდენიმე საფეხურით მაღლა დგას, მაგრამ თურმე, მაიმუნი უფრო ბედნიერია იმიტომ, რომ იგი თავის მოქმედებაში თავისუფალია და შეუძლია დედასთანაც დაამყაროს სექსუალური კავშირი, შვილთანაც და მამასთანაც. ასე, გარდაიქმნა თავისუფლება ცხოველურ თავისუფლებად. დღეს ქადაგებენ სწორედ ასეთ თავისუფლებას და ჩვენ გვტუქსავენ: რას დაგვდევთ, რატომ გვახვევთ მორალს, რატომ გვიკრძალავთ თავისუფლებასო. ამას ტელე-ეკრანებიდან ისეთი ქალბატონები აცხადებენ, მათ, რაც არ უნდა მორალი უკითხო, გამოსწორება შეუძლებელია. ისინი თავიდანვე ასეთები იყვნენ, დღესაც ამორალურ სიბილწეში ბანაობენ, აცდუნებენ ახალგაზრდებს, თავად შეუხედავნი, ბოდიში გამოთქმისთვის, საშოდან პირწაბილწულნი მორალზე ზემდგომ ადამიანებად გვევლინებიან. ადრე, ასე არ იყო, ახლა პირდაპირ პიდარასტობის პროპაგანდას ეწევან. ესაა პრობლემა, თორემ ასეთი ხალხი ადრეც იყო და მათ არავინ არაფერს ერჩოდა. არც ახლა, ერჩის ვინმე. ჩემ დროს იყო ორი ასეთი პიროვნება — ტუზიკა და ქიშვარდა. ჩვენ, ერთად დავდიოდით, ვქეიფობდით, ისინი აკორდეონზე უკრავდნენ. მათ, შეურაცხყოფას არ ვაყენებდით. დღეს, ამ ყველაფერმა პოლიტიკის სივრცეში გადაინაცვლა. მოდის ძალა, რომელსაც არც მორალი აინტერესებს, არც დედა, არც ქალი, არც კაცი. ის რაც ადამიანისთვის დამახასიათებელია, ყველაფერი მოსპეს და მათ „ღირებულებებს“ თუ პატივს არ ვცემთ, ამას დანაშაულად გვითვლიან.

**— ბატონო ელიზბარ, საიდან იღებს ეს პრობლემა სათავეს?**

— ეს საკითხი, იმთავითვე, კარგად აითვისეს ნაცებმა. „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან არაერთხელ მითქვამს: საქართველოს არაფერი ეშველება, სანამ ნაცები აქედან არ მოშორდებიან. სამწუხაროდ, პარლამენტის 2006 წლის დადგენილება, რომელიც ასეთ ხალხს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ სარბიელზე გამოჩენას უკრძალავს, არ სრულდება. სააკაშვილის (კალიგულას) პერიოდში აუტანელი ფორმა მიიღო ბილწობამ, გათახსირებულობამ, ფაშისტობამ, ადამიანებისთვის შეურაცხყოფის მიყენებამ. არ შეიძლება, ნორმალურმა, საზოგადოებამ ეს მიიღოს.

**— დღეს, რა რეალობა გვაქვს?**

— ბიძინა ივანიშვილის წყალობით მიხეილ სააკაშვილი განვდევნეთ, მისი პოლიტიკა წარსულს ბარდებოდა, ნაცები სოროში იყვნენ შემძვრალნი. მაგრამ ამ დროს გარე-ძალამ გვითხრა: მათთან კოაბიტაციაში უნდა იცხოვროთო. ეს გახლავთ ოჯახური ტერმინი, როცა ცოლ-ქმარი ერთ სახლში ცხოვრობს და ერთმანეთში ვერ რიგდებიან, მაგრამ სხვა გამოსავალი არ აქვთ. ჩვენ, რა გამოსავალი არ გვქონდა? ახლა, არავინ მითხრას: დასავლეთმა და ამერიკამ არ იცის სააკაშვილი და მისი ხროვა რას წარმოადგენენო. მათი ადგილი არათუ პოლიტიკაში, ციხეშიც კი არ არის, არამედ საერთოდ, დედამიწაზე არსებობის უფლება არ აქვთ. ამ დროს, დღედაღამე ტელევიზიებში სხედან და გვმოძღვრავენ. რას ბოდავენ, რას როშავენ?! ეს ცირკი კი არა, ქართველი ერის ტრაგედიაა. ასე მანამ გაგრძელდება, ვიდრე ნაცებს პოლიტიკურ სივრცეს არ ჩამოვაშორებთ.

**— პრაიდის გამართვას ნაცებთან ერთად, კიდევ 14 პარტიამ მოაწერა ხელი. ეს რას ნიშნავს?**

— დიახ, ამ პრაიდს თუ პარადს, 15-მა პარტიამ შეგნებულად მოაწერა ხელი.ე.ი. ამ 15 პარტიის წევრები პიდარასტები, დედათმავლები, მამათმავლები თუ ვინ არიან, გამაგებინეთ. რას, ვის ან ვისგან იცავენ? ჩვენ, ოდესმე, შევუტიეთ ამ ხალხს?! ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ იყვნენ თავისთვის, ეყარონ. წარმოგიდგენიათ, რას გვკარნახობენ: შვილი ისე გაზარდე, 18 წლის რომ გახდება, ჰკითხე: ბიჭი ხარ თუ გოგოო. კისერში ვწვდები და გამოვღრღნი, მათ სისხლს დავლევ იმიტომ, რომ ეს არ არის ქართველი კაცის სახე. ქართველი კაცის ცნობიერება გახლავთ შემდეგი: **ოჯახი არის კაცი და ქალი, დამთავრდა!** ეს კონსტიტუციაშიც ხომ შევიტანე თ. ეს ირაკლი ღარიბაშვილმაც გაახმოვანა. მას პატივს ვცემ. დღეს, რა ხდება? — მოეწყო პრაიდის კვირეული. ჯერ ერთი, ერთი კვირა, ჩვენ, აღდგომა არ გვიდღესასწაულია და ამათ პრაიდის კვირეული მოგვინდომეს.

**— ამაში დამნაშავე ვინ არის?**

— ვინ და ის საელჩოები, რომლებიც აქ, ჩამობრძანდნენ და ჩვენს საქმეში ერევიან. არავის აქვს უფლება ჩვენს სულსა და ცხოვრებაში ხელები აფათუროს. საელჩოების განცხადება — ევროპის ელჩის იქნება თუ ამერიკის, თავისთვის შეინახონ, თავიანთ ქვეყანას მიხედონ, ჩვენ, თავი დაგვანებონ. ეს, უპირველესყოვლისა, არამარტო ზნეობისა და მორალის წინააღმდეგ გალაშქრებაა, არამედ პირდაპირ ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგ დაგეგმილი პროვოკაციაა. მართლმადიდებლობა საქართველოს გადარჩენაა. ილია ამბობდა: როცა ჩვენ, საქართველოს ვიცავდით, ვიცავდით მართლმადიდებლობას. როცა მართლმადიდებლობა გადავარჩინეთ, ჩვენ, გადავარჩინეთ საქართველოო. ახლა, არ დამიწყონ რუსეთის მომხრე ხარო. რუსეთს აქვს დიდი ნაკლი — ჩვენდამი მტრობა. ახლა, სხვა ძალები მოდიან, ვითომ, ჩვენს გადასარჩენად.



ამ დროს მოდიან და ქართველ ხალხს მთლიანად რყვნიან. ეს გაავრცელეს ახალგაზრდობაში, რაც ერის გადაგვარებას და მოსპობას ნიშნავს. აი, ეს გახლავთ ძირითადი მიზანი. დღეს ამ პარლამენტარებს რომ ვუყურებ, გული მერევა. როგორ შეიძლება უგულავამ სხვის გაუნათლებლობაზე ილაპარაკოს, როცა თავად უწიგნურია, მას „კმარას“ ნაბიჭვარს ვეძახი. „კმარა“ იყო ის საზოგადოება, რომელიც პალმერის გეგმით იმართებოდა. შეიქმნა ფერადი რევოლუციების მთელი სისტემა, რასაც პალმერი თავკაცობდა. იგი წარუძღვა აჯანყებებს და პირველ რიგში, შექმნა „თავისუფალი“ ტელესივრცე, გადაცემები, რაც ადამიანის გონებას ზნეობას, მორალს აცლის.

**— 6 ივლისს ჯაფარიძემ ხალხს მდუმარე აქციისკენ მოუწოდა...**

— „გირჩის“ ბელადი ჯაფარიძე ავადმყოფია, რომელსაც თავი ვაჟკაცი ჰგონია. მისი ადგილი ციხეშია. მან ახალგაზრდობა გარყვნა, გააბრუა მარიხუანათი, მერე, პირდაპირ, მორფზე გადადიან, ღვინოსაც აღარ სვამენ. დღეს, გამოდის გირჩი და საზოგადოებას მოუწოდებს: ქვეყანას თავისუფალი ადამიანი ააშენებსო. ანუ ის ვინც მორფინისტია, ვისაც სადაც უნდა იქ ჩაიხდის და ა.შ. ეს არის ამორალური სივრცე, რასაც ისინი ქმნიან, რათა ერი გადააგვარონ. გამოდის ნაძირალა, ბუნების შეცდომა უდუმაშვილი, რომელიც ტელე-წამყვანი რომ იყო დაწერილს ვერ კითხულობდა, და ამბობს: დღევანდელმა ხელისუფლებამ და საპატრიარქომ ქვეყანა დაანგრიაო.

**— ჟურნალისტების ცემაზე რას იტყვით?**

— ისმის კითხვა: რატომ განხორციელდა მათზე შეტევა? — არცერთ ადამიანზე არ შეიძლება თავდასხმა თუ იგი წესიერია. ატყდა ერთი ამბავი: მეოთხე ხელისუფლების — ჟურნალისტებს შეეხნენ. გკითხებით, სად გვაქვს ჟურნალისტიკა? „ტვ-პირველში“ არიან ჟურნალისტები, „ფორმულაზე“ თუ „მთავარში“? ესენი არიან სისხლის სამართლის ბოროტმოქმედები. სამწუხაროდ, უფლებას არ გაძლევენ, ამ საქციელისთვის დავსაჯოთ. გვეუბნებიან: ეს თავისუფლებების შეზღუდვააო. ამერიკაში, ტრამპს — პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელსაც 70 მილიონი ამომრჩეველი ჰყავს, სიტყვის გამოთქმის უფლება არ მისცეს. ასე, რომ თავიანთ თავს მიხედონ. ჯორჯ ფლოიდი რომ მოკლეს, ოქროს კუბოში ჩაასვენეს, თეთრკანიანი საზოგადოება ზანგებს ფეხებზე კოცნიდა და ინანიებდნენ. რას ინანიებთ, თქვე, გათახსირებულებო? ადგილი სადაც იგი დამარხეს, შემოღობილია და არავის აკარებენ. ეს შემთხვევითი არ არის. კი ბატონო, ამერიკაში, იმთავითვე, იყო ორი მიმართულება მტრედები — „რესპუბლიკელები“ და ქორები — „დემოკრატები“. მტრედები — კენედი და სხვანი ცდილობდნენ, ამერიკის თვალთახედვანი ისე გაევრცელებინათ, რომ სხვა საზოგადოების ხალხის ტრადიციები არ შეებღალათ. ქორები კი ცდილობენ, ამერიკის სახელმწიფო წესები და კანონები, რაც თავისუფლებისა და ტრადიციის სახელით არის მონათლული, ყველა ქვეყანას თავს მოახვიონ. ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში სპეციალური განყოფილება შეიქმნა, რომელმაც ფერად რევოლუციებს უნდა უხელმძღვანელოს, რაც სხვადასხვა ქვეყნებში ხორციელდება. რატომ ხდება ყოველივე? განა ევროპამ არ იცის, ის ხალხი ვინც პარლამენტში შემოგვტენეს, სინამდვილეში ციხეში რომ უნდა იყოს! ჩამობრძანდა შარლ მიშელი და წესები ჩამოგვიწერა როგორ უნდა მოვიქცეთ. ამ წესების მიხედვით ასე გამოვიდა: ეს პარლამენტი სულ ტყუილად ავირჩიეთ და ახლა, სავარძლები მათ უნდა გადაულოცონ, ვინც არ აგვირჩევია. ეს, რატომ კეთდება? როგორ შეიძლება შარლ მიშელი ჩვენს კონსტიტუციაზე მაღლა იდგეს?! მან, თავის ევროპას მიხედოს, რომელიც აშშ-მ ჩვრად აქცია. ერთმა მწერალმა თქვა: ახლანდელ ევროპის კულტურას ადრეულს თუ შევადარებთ, დღევანდელი კულტურა ღორობას ჰგავსო. თქვენ, გგონიათ ამ ჩვენს ბედოვლათებს ევროპული კულტურა ესმით? დანტე, გოეთე წაკითხული აქვთ? დასავლეთიდან მოდის მითითებები და ეს უნდა აასრულონ.







აქვე, ერთსაც ვიტყვი: დღეს, დამოუკიდებელ საქართველოზე საუბარი, სიცრუეა და მეტი არაფერი. დიახ, ტყუილია, დღეს, დამოუკიდებელი საქართველო არ არსებობს, არამედ გარკვეული ძალები გარედან გვმართავენ., რისი უფლებაც არ აქვთ. მესმის რომ მათ ანგარიში უნდა გაუწიოთ, რადგან პატარა ერი ვართ. თუმცა, ასე გაუწიეს ანგარიში სომხებმაც, აზერბაიჯანელებმაც, მაგრამ ღირსება არ დაკარგეს. დღეს, ქართველმა კაცმა ღირსება დაკარგა. უღირსი ხალხი გავხდით, ერი აღარ ვართ. იცით, რატომ დაუწყეს ჟურნალისტებს ცემა? იმიტომ, რომ ისინი პატიოსან მაყურებელს ყოველდღიურად გვლახავენ, გვცემენ, გვეჯაჯგურებიან, თავში სიბილწესა და უზნეობას გვტენიან. ევროკავშირის დროშა დაუშვესო, ამაზეც ატეხეს

ამბავი. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ელჩები ზედმეტად აფათურებენ ხელებს ჩვენს სულში. პირადად გაუკეთეს აქ, ორგანიზება პრაიდის ჩატარებას. ევროკავშირის დროშის ჩამოშვება იყო ქართველი ხალხის რეაქცია საელჩოების ქცევაზე. მე, გახლდით პირველი ამერიკის მომხრე. დიახ, პირველმა დავბეჭდე „ლიტერატურულ საქართველოში" სტატია — თავისუფლების ხმა. ამერიკა, მართლა თავისუფლების კუნძული მეგონა. დღეს, რას ვხედავ? — მათ, მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურად გამომიცხადეს.ე.ი. დემოკრატია მათთვის ის არის, რაც საგარეო პოლიტიკას ეხება. ანუ, ერთი სახელმწიფო, ერთი ხელისუფლება. მთელი მსოფლიო ერთი ქოლგის ქვეშ უნდა გაერთიანდეს, რომლის თავკაცი ამერიკა იქნება. აი ეს არის უბედურება. ამიტომაც უნდათ, რომ ჩვენ ეროვნულობა, ტრადიცია, ქართველი ქალის პატივისცემა მოგვისპონ. ბოკერიების, უგულავების, უდუმაშვილების დრო უნდა დამთავრდეს. თუ ამას ხელისუფლება არ გააკეთებს, მაშინ მათ, ქართველი ხალხი დაამთავრებს! ერი გამწარებულია, არ გავჩერდებით! 84 წლის ვარ, ღონე არ მაქვს, მაგრამ სროლა შემიძლია. ერთი ჯერი რომ მივუშვა, თავს წავაცლი და დაწყნარდებიან. გული მწყდება, მე, ევროპის კულტურის დიდი მოყვარული ვარ და ამერიკის პატივისმცემელიც ვიყავი. იქ, წმინდა არაფერი აღარ დარჩა. ისმის კითხვა: როგორ გადავარჩინოთ ქართველი ერი? — ამის გაკეთება მხოლოდ ქართველ ხალხს შეუძლია. არც ამერიკას, არც ევროპას არ აინტერესებთ ჩვენ, როგორ ვიცხოვრებთ. დღეს თუ ყურადღებას იჩენენ იმიტომ, რომ მათ საქართველო როგორც ტერიტორია აინტერესებთ. ზემოთ ვახსენე: ჩვენ, დამოუკიდებლობის გამო ბევრი ვიბრძოლეთ და 19–20 წლის გოგო-ბიჭებიც დაგველუპნენ. ეს დამოუკიდებლობა სადღაც გაქრა. ახლა, სხვა ბრძოლა უნდა დავიწყოთ. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა კიდევ ერთხელ, თავიდან უნდა დავიწყოთ. პარლამენტარებმა ქართველ ხალხს ანგარიში უნდა გაუწიონ. ჩაატარონ გამოკითხვა და ნახავენ რა ხდება — მოსახლეობის დამოკიდებულება ევროპისა და ამერიკისადმი, შეცვლილია. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი ხვდება, რომ პარადი, „ღირსების მარში" ქართველი ხალხისა და პატრიარქის წინააღმდეგ იყო მიმართული. მომხრე ვარ: ევროპისკენ ვიაროთ, მაგრამ არ ვარ მომხრე, ქართველი ევროპელი გახდეს. ჟვანიამ თქვა: მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ევროპელიო. ის, არც ქართველი იყო და არც ევროპელი. ამგვარ განცხადებებს თავი დავანებოთ.

ქართველმა ხალხმა საერთო სული დაკარგა. ჩვენ სულიერებაზე, ზნეობაზე აღარ ვფიქრობთ. ხალხი მისჩერებია „ტვ-პირველს", „მთავარს". ამ ტელევიზიებს საერთოდ აღარ ვუყურებ, გული მერევა. ძალიან კარგი მხატვრული ფილმიც რომ გადიოდეს, ამ არხებზე ტელევიზორს მაინც არ ვრთავ. ეს არის ქვეწარმავლების ბუდე, რომელიც სამშობლოს ნგრევის გარდა არაფერს აკეთებს. ამიტომაც არის ქართველი ხალხი გადაგვარებული და სააკაშვილი მამა-ღმერთი ჰგონიათ. სინამდვილეში, მიხეილ სააკაშვილი გახლავთ ღრმად ავადმყოფი, ფსიქიკურად დაავადებული. ახალგაზრდებს უნდა ვაჩვენოთ რას სჩადიოდა იგი თავის გუნდთან ერთად. ნუთუ, ქართველ ხალხს დაავიწყდა როგორ აუპატიურებდნენ კაცებს, კოჭლ კაცს როგორ უყიდეს „ვიაგრა" და შვილის, ცოლის წინ გააუპატიურებინეს ადამიანი. ეს ყველაფერი კასრების გარდა, პროკურატურის თაროებზეც ინახება და უნდა გასაჯაროვდეს. მაშინ, 6 ათასამდე პირი გამოიკითხა. თმა ყალყზე დაგიდგებათ ისეთი ჩვენებებია. აი, ეს უნდა დავასრულოთ და სამართალიც იზეიმებს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სასწაული მოხდა ჩვენს თვალწინ – 5 ივლისს ქართულ ეკლესიას შეუტიეს, ოთხი დღის შემდეგ კი საქართველოს მისი წამებული დედოფალი ქეთევანი დაუბრუნდა!..





5 ივლისს საოცარი ამბები მოხდა. იმ საღამოს აფხაზეთიდან, ცხინვალიდან, ჩრდილო კავკასიელები — ჩეჩნები, ინგუშები, აზერბაიჯანელები, სომხები ურეკავდნენ ქართველ ძმებს, სწერდნენ წერილებს და მადლობას უთვლიდნენ.

უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ნორვეგია, ისრაელი, რუსეთი 5 ივლისის ამბებზე ლაპარაკობდნენ.

კანადურ პრესაში უთქვამთ: ნეტა, ისეთი ბედნიერება ჩვენც გვღირსებოდა, საქართველოში რომ დატრიალდაო.

ლიბერალიზმის მარწუხები ყელში უჭერს მსოფლიოს და ლგბტქ+ საზოგადოებამ უკვე ქვეყნების მმართველობის უმაღლეს ორგანოებში შეაღწია. თუ ასე გაგრძელდა, მსოფლიოს ისინი დაიპყრობენ და მერე მათი მართვა შეუძლებელი იქნება.

ამასწინათ ფეისბუკზე კომენტარი დავწერე — ომი უკვე დაწყებულია-მეთქი.

გამომიხტნენ: რა ომი გელანდება, რის ომი, რას ლაპარაკობო?!

არადა, ომი არის ის მდგომარეობა, როცა ქვეყნებს იპყრობენ ქვეყნები; ხოცავენ, რჯულს უბილწავენ და რყვნიან. რა ხერხით გააკეთებენ ამას, რა მნიშვნელობა აქვს.

პანდემია, რომელიც უკვე ერთი წელი ხდება, რაც გამოჩნდა, ფიზიკურად ანადგურებს ადამიანებს, ხოლო ლიბერალიზმი მრავალმხრივი საცეცებით, როგორც სიმსივნე, მოიწევს და მოიწევს, განსაკუთრებით, ტრადიციების დამცველი ქვეყნებისკენ.

ლიბერალიზმი არ გახლავთ 21-ე საუკუნის სენი და არც ამ საუკუნისთვის დამახასიათებელი ომების იარაღი. გლობალიზმი იყო ყოველთვის, მაგრამ იგი იმ სახით, რა სახითაც დღეს გვიპირისპირდება, აქამდე არ ყოფილა.

მსოფლიოს ახალი დამპყრობელი ჰყავს, რომლის დაბადება ამერიკაში 1978 წელს მოხდა, როცა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ლგბტ საზოგადოება ავადმყოფი არ არის, არამედ სრულიად ჯანმრთელი ადამიანების ჯგუფია, რომლებსაც განსხვავებული სქესობრივი იდენტობა გააჩნიათ.

ეს „განსხვავებულები" კი განსაკუთრებით აგრესიულები, საკუთარი „იდენტობის" გამო გაბოროტებულები არიან და მთელი მსოფლიო მათნაირი უნდათ, რომ იყოს.

მათი რიცხვი კი უამრავი ყოფილა: ლესბოსელები, ანდროგინები, ბი-გენდერები, ვარიაბელური გენდერები, გენდერ-ქვრივები, ინტერსექსუალები, არცერ-გენდერები, ასექსუალები, არა-ბინარულები, პან-გენდერები, პან-სექსუალები, ტრანს-მამრები, ტრანს-კაცები, ტრანს-მდედრები, ტრანს-ქალები, ტრანს-ვარსკვლავები, ტრანს-ვარსკვლავი ქალები, ტრანს-ვარსკვლავი-მდედრები, ტრანს-ვარსკვლავი-კაცები, ტრანს-ვარსკვლავი-მამრები, ტრანს-ფემინისტები, ტრანსსექსუალები, ინტერგენდერები, ჰერმაფროდიტები, მესამე და მეოთხე გენდერები, ტრანსვესტიტები, ნულოვანი გენდერები, ბი-სექსუალები, პანსექსუალები, დემისექსუალები, სისგენდერები, ტრანს-ფემინინები, ტრანსმასკულინები, ორმაგი გენდერები, ორმაგი სულები, მესამე გენდერები, მეოთხე გენდერები, ქროს-გენდერები, დინებადი გენდერები, ნულოვანი გენდერები, ცისგენდერები, ჰომოსექსუალები, ლატენტური ჰომოსექსუალები, ქვიარები, ინტერსექსუალები და ა. შ. ეს არის მთელი ლაშქარი, რომელიც უკან არაფერზე დაიხევს. ეს არის ძალა, რომელსაც დღეს ეშინია მსოფლიოს და ზარ-ძრწოლას დაიწყებს მის წინაშე. ეს არის ძალა, რომელიც უკვე მოედო ყველაფერს, კაცთა მოდგმის საწინააღმდეგოდ...

როგორც ხედავთ, ესენი უამრავი არიან, ჩვენ თანდათან ვცოტავდებით...



ნათქვამია, ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო.

საქართველო ეომებოდა მაკედონელს, ეომებოდა ბიზანტიის იმპერიას, ოსმალთა იმპერიას, მონღოლთა ურდოებს, სპარსეთის ჯარებს, შაჰებს, ნოინებს, ბეგებს, საქართველო ებრძოდა ბოლშევიზმს, საქართველოთი იყო დაინტერესებული ჰიტლერი... დღეს ამ დიდი მსოფლიო დამპყრობლებისგან ნაშთებია დარჩენილი, ნაწილი სამუზეუმო ექსპონატებად არიან ქცეული. საქართველოზე მოიტეხეს კისერი დიდმა მსოფლიო დამპყრობლებმა და ახლაც, როცა ქართველ ხალხს, სამართლიანობის აღდგენის იმედი რომ ჰქონდა 2012 წლიდან, ახლა ხელისუფლების იმედი დიდად რომ არ აქვს, როცა ე.წ. ოპოზიცია ხალხზე არ ფიქრობს, როცა ენჯო-სექტორი ქართველ ხალხზე არ ზრუნავს, როცა ყველა ქართული ტელევიზია საქართველოს მტერია, ქვეყანაში აკრედიტებული მთელი დიპლომატიური კორპუსი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოდის, ქართველი ხალხი დგას ერთ მხარეს, მოწინააღმდეგენი კი გაერთიანებულნი — მეორე მხარეს.

ასე იყო, ალბათ, ყოველთვის.

ამიტომაც შეიქმნა, ალბათ, ქართული ზღაპარი „ნაცარქექია" — ერთმა ნაცრის მქექავმა ბიჭმა დევები რომ დაამარცხა — ეს შეიძლება ოცნება ან ალუზია იყოს, ან კოლექტიური მეხსიერების ფიგურალური გამოხატულება, ან ობიექტური რეალობა, თუმცა, შეიძლება იყოს აქ სიმართლის წვეთიც.

პატარა ერებს ასულდგმულებთ და აცოცხლებთ მესიანისტური იდეები, მაგრამ იდეებსა და იდეალებს რომ თავი დავანებოთ, რეალობას და ფაქტებს შევხედოთ თვალებში, ისე ვიმსჯელოთ რომელიმე ერის მნიშვნელობაზე მსოფლიო ცივილიზაციაში და საქართველოს როლზე კაცობრობის ისტორიაში...

დღეს კი რეალობა ასეთია: საქართველო შევიდა გამოუცხადებელ და ყველაზე მზაკვრულ ომში ქრისტიანობის დასაცავად, სისხლდაშრეტილი, უცხო ქვეყნებში გაბნეული, შვილებგადახვეწილ, პირმშოდაუბრუნებელ, შავეჩქიან საქართველოს, 21-ე საუკუნეში, კიდევ ერთი და დიდი მისია დაეკისრა — მართლმადიდებლური სულიერების გადარჩენა.

რას ნიშნავს მართლმადიდებლური ქრისტიანული სულიერება ადამიანის სულის განვითარების კუთხით — მუსიკას, მწერლობას, მხატვრობას, ლექსთწყობას (ფსალმუნები), ბოლოს და ბოლოს, დამწერლობას, სკოლებს, ძველ აკადემიებს ვგულისხმობ, ყველას კარგად მოეხსენება.

**ქართველმა ხალხმა აიღო ეს დროშა ხელში — ამ მშიერმა და ღატაკმა, ქრისტესთვის თავშეწირულმა ერმა ეს გაბედა...**

ეს იყო თავგანწირვა და თავდადება, რომელიც გენეტიკურ კოდში აქვს თითქოს ჩაბეჭდილი ქართველ კაცს და მამულის, ენის, სარწმუნოების შემგინებელი მისი უპირველესი და მოსისხლე მტერია.

არავინ იცის, ამ ბრძოლაში ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ მთავარია ბრძოლა.

აკი, თქვა კიდევაც ჩვენმა წმინდა მეფემ: ემიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსო!

ვინც ქართველია გულით, ჯიშით და სისხლით, არავის ეზარება ქრისტესთვის სიკვდილი.

5 ივლისს, კიდევ ერთხელ, ალბათ, მეათიათასჯერ დაამტკიცა ეს ქართველმა ერმა...

**ამ ამბიდან ოთხ დღეში, 9 ივლისს, საქართველოს დედოფალი ქეთევანი დაუბრუნდა.**

**ცრემლებით ვუყურებდი ვიდეოკადრებს: ჩვენი ტანჯული დედოფალი გვეწვია ოთხი საუკუნის შემდეგ.**

**ალბათ, ხარობენ მისი ძვლები მონატრებული სამშობლოს ხილვისას — ამ ქვეყნისთვის და ქრისტესთვის წამებული დედოფლის ძვლები...**

სიმბოლური მომენტია წმინდა დედოფლის დაბრუნება ჩვენთან ამ დიდი განსაცდელის პერიოდში.

ბილწ ჭინკებთან და გამძვინვარებულ დემონებთან ბრძოლა დაწყებულია!

თუ დავიღუპებით, ღირსეულ ბრძოლაში მაინც გავწყდეთ!..

ქართველნო, ემიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „ქართველი ძოპიროსები!“

## ღმერთმა არ ქნას საქართველოში „ჯორმა კვიცი მოიგოს“, ანუ გამოვფხიზლდეთ და გამოვიცნოთ „ქართველი ძოპიროსები“



საქართველოში უმძიმესი მდგომარეობაა, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს არეული და აღრეული მსოფლიო. ჯერ არავის გაუბედავს მტკიცედ განაცხადოს, რომ ეს მართლა „მართვადი ქაოსია“ თუ იდიოტებს დარჩათ მსოფლიო სამართავად.

ვის უნდა მივმართოთ? სად ვეძებოთ სამშობლოს მოჭირნახულე ადამიანები, როცა თითოეულ ჩვენგანში ეჭვების პატარ-პატარა „ჭიები“ ფუთფუთებენ...

ვინ არის სანდო? გულწრფელად ვამბობ, „ძოპიროსის სინდრომი“ მაშინებს... ვიყურები აქეთ-იქით, იმათ, ვინც „ხალხის რჩეულის იარლიყი მიიწება“, ვინც ყოველდღიურად გვმოძღვრავს, ქვეყნის „გადამრჩენელის“ ნიღაბს ირგებს და უცერემონოდ თითს იშვერს სხვისკენ – მოღალატეაო (?!), ცხვირიც აქვს, ყურებიც, ხანდახან ლამაზადაც კი გამოიყურება, მაგრამ შინაგანად ძოპიროსია!

### ვინ არის ძოპიროსი?

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ძოპიროსი „ტროას ცხენზე“ საშიში „ფენომენია“ და ძოპიროსები ჩვენს ირგვლივ დაძრწიან და ვერ ვხედავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ფიზიკურად დასახიჩრებულები არ არიან. სულიერება აქვთ მახინჯი, საშინელი შესახედავია მათი სამყარო, საშინელია მათი აზრები, მისწრაფებები.

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ – საქართველო არ არის ნამდვილად დამოუკიდებელი და ქვეყანა!

საქართველოს სხვები დაპატრონებიან და ვერ გაგვიგია!

საქართველო – ორი უდიდესი ქვეყნის (და სხვებისაც), საჯილდაო ქვად იქცა!

საქართველო მთლიანი და გამანადგურებელი დაპყრობის წინაშე დგას... უნდა გამოვფხიზლდეთ და გამოვიცნოთ „ქართველი ძოპიროსი“!

უძველესთა უძველესი იყო ბაბილონი. (გავიხსენოთ ბაბილონის გოდოლი) ამაყი და მამაცი ხალხი ცხოვრობდა. მეფე ქალიც ჰყავდათ... (ჩვენც ხომ გვყავდა დიდი თამარ მეფე?) ყველას, მაგრამ სპარსეთს განსაკუთრებით სურდა ბაბილონის დაპყრობა და მისი ამაყი ხალხის ფეხქვეშ გათელვა.

დარიოსი იყო სპარსელთა უპირველესი მმართველი, დაპყრობის ჟინით აღვსილი. მისმა ჯარმა ააოხრა სამოსი, შემდეგ ბაბილონს შემოარტყა ალყა.

### ბაბილონელთა ცოდვა-ბრალი

ვინ როდის რას მოიფიქრებს არავინ იცის, მაგრამ ძვ.წ V საუკუნის „ისტორიის მამამთავარი“ ჰეროდოტე რასაც გადმოგვცემს, ძნელია გულგრილად მიიღო. სპარსელთა შემოტევის შემდეგ ბაბილონელმა კაცებმა გამოარჩიეს დედები, მრავალ ცოლთა შორის ერთი, მათთვის ძვირფასი და საყვარელი, მეორე – მზარეულად გაამწესეს, დანარჩენები დაახრჩეს, რომ მათზე საჭმელი არ დახარჯულიყო.

მთლად ასე პირდაპირ არა, მაგრამ საქართველოც ალყა შემორტყმულია, ჩვენს სამშობლოში შიმშილით, უწამლობით, უმკურნალობით, უსახსრობით ისედაც ბევრმა მოიკლა თავი, ისედაც ბევრი განადგურდა. ბევრმა ქალმა, რომ არ მიეხრჩოთ,(?!) თავს უშველა, (კაცებს არ ეწყინოთ რეალობაა!) სხვა ქვეყნების მცხოვრებლებს მოსამსახურედ დაუდგა...

მათი სიამაყე ამ გზით გატეხეს!

„რაღაცით ვგავართ“ ბაბილონელებს... (?!)

### შინაგანად გატეხილი ბაბილონელების გარეგნული სიამაყე

სათაურს კარგად დავაკვირდეთ, შინაგანად გატეხილი ქართველები ინარჩუნებენ გარკვეულ, იქნებ გარეგნულ სიამაყესაც, მაგრამ დავბრუნდებით წარსულში...

საკუთარი ახლობლების გამანადგურებელ „გამბედავ“ ბაბილონელ კაცებს აღარ ეშინოდათ სპარსელთა ალყის. გალავნის ქონქურებზე შემომსხდარნი, როგორც უძველესი მკვლევარები გადმოგვცემენ,,, იმანჭებოდნენ“, დასცინოდნენ დარიოსს და მის ლაშქარს. ხოლო ერთმა მათგანმა ასეთი სიტყვაც უთხრა მათ: „სპარსელებო, რას უსხედხართ მანდ და არ მიდიხართ? თქვენ მხოლოდ მაშინ დაგვიპყრობთ, როდესაც ჯორი კვიცს მოიგებს“. ეს თქვა ვიღაც ბაბილონელმა. რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჯორი არასდროდეს მოიგებდა კვიცს (ჰეროდოტე „ისტორია“: გვ.244)

გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. ბაბილონელები იტანდნენ გაჭირვებას, ერთი წელიწადი და 7 თვე გავიდა, რა ეშმაკობა, რა ბრძოლის მეთოდი არ გამოიყენა დარიოსმა, მაგრამ ბაბილონელები ვერ დაამარცხა!

ხშირად ვფიქრობ ხოლმე სიტყვის ძალაზე, სიტყვის ფორმასა და შინაარსზე, იმაზე, რომ პირველად იყო სიტყვა და თვით სიტყვა-ღმერთი!

სიტყვას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია კარგისკენ და უფრო მეტად ცუდისკენ...

საქართველოში სიტყვებს აღარ ვუფრთხილდებით. სიტყვებს „არ ვწონით“, ავყიებს ჰგონიათ, რომ რადგან ენა აქვთ, ყველაფერი უნდა ილაპარაკონ და პირი მხოლოდ საჭმლისთვის არ გააღონ (?!)

სიტყვები „გაისროლა“ ძველმა ბაბილონელმა,,, თქვენ მხოლოდ მაშინ დაგვიპყრობთ, როდესაც ჯორი კვიცს მოიგებსო“... სპარსელებს დასცინა, მტერი არ შეაფასა!

რაღაც ამის მსგავსი იყო 2008 წელს, როცა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ (არცთუ უჭკუო კაცმა, ბათუ ქუთელიამ), სიტყვები „გაისროლა“ – „რუსეთმა რა უნდა გვიყოს, ჟანგიანი ტანჯების მეტი არაფერი აქვთო“ (?!)

მერე რა მოხდა? შეაკლეს ბიჭებმა თავი, დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობა, განადგურდა სოფლები და ქალაქები, ათასობით ქართველი, შერეული ოჯახი დევნილად იქცა!

ოკუპირებულია ცხინვალის რეგიონი, მთელი აფხაზეთი...

სიტყვის „მსროლელი“ და მისი გუნდი კი ომზე გამდიდრდა. თვით „მსროლელი“ განცხრომით ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში და არც დღემდე აკლია რამე – მსოფლიოში მოგზაურობს ამერიკელი სენატორის მაკ-კეინის „აზრთა მიმართულებით“ მუშაობს. დღემდე, მერე რა, თუ სენატორი გარდაიცვალა.

ძვ.წ. აღრიცხვის პერიოდში იმ ამაყი ბაბილონელის თავი სარზე ჩამოაცვა სპარსელთა ხელმძღვანელმა დარიოსმა, ახ.წ. აღრიცხვაში, 21-ე საუკუნის დასაწყისში კი მტერს „ხელი არ უხლია“ იმჟამინდელი ქართველი ხელმძღვანელობისთვის, პირიქით, ისინი რუს გენერლებთან ქეიფობდნენ და მათი მანქანებით გადაადგილდებოდნენ(?!)









### ბაბილონში „ჯორმა კვიცი შობა“

ამაყი ბაბილონელის სიტყვა ცაში წავიდა! ალყიდან თითქმის 20 თვე გავიდა, ბაბილონი უძლებდა! მაგრამ სპარსელი დიდებულის სურსათის მტვირთველმა ჯორმა კვიცი შობა. ჯორი სპარსელი დიდებულის, ძოპიროსის იყო!

ძოპიროსს სურდა პირადი განდიდება, სახელი და რაც მთავარია, სპარსეთის გამარჯვება!

მან მოიფიქრა გეგმა, რომლის განხორციელება გათვლილი იყო – ბაბილონი უნდა დაცემულიყო!

### სპარსულ-ქართული პარალელები ორი დროების ფონზე

ძოპიროსმა – გაიხსენა ბაბილონელის დამცინავი სიტყვა „როდესაც ჯორი შობს კვიცს, მაშინ აიღებთ ჩვენს ციხე-სიმაგრეს და დაგვამარცხებთო“.

მან წარმოუდგენელის ალბათობით თქვა ეს სიტყვები.

ძოპიროსმა სიტყვის ძალას მიაგო პატივი და განეწყო გამარჯვებისთვის – დრო მოვიდაო, ციხე-სიმაგრის აღების...

ეს ძვ, წ აღრიცხვის დროებაში ხდებოდა!

ახ.წ აღრიცხვის დროებაში, მე-20–21-ე საუკუნეშიც საქართველოს ყველა ემტერებოდა, სურდათ მისი დაპყრობა.

ქართველები ამბობდნენ: „ჩვენ ვართ უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფო, ჩვენთან რომ კირბები, უძველესი დამწერლობა იყო სხვა ქვეყნები არც კი არსებობდნენო“...

ჰოდა „ახალდაბადებულებმა“ გადაწყვიტეს ამ ხალხის დაჩოქება-დამონება, ცივილიზაციის უძველესი კერების დანგრევა-განადგურება (აბა, საყდრისის აფეთქება რა არის?) რწმენის, სიამაყის გატეხვა. „გაისროლეს“ სიტყვები ქართველებმა, მტრები კი მიზანდასახულად მოდიან ჩვენთვის საშინელ გზაზე, ძოპიროსის მსგავსი გეგმის მიხედვით.

### ძოპიროსის გეგმა – „შიგნიდან ავიღოთ ბაბილონი“

21-ე საუკუნეში არის გეგმა (რა მნიშვნელობა აქვს ეს გეგმა პუტინის, ბუშის, მაკკეინის. ობამას თუ სხვათა სახელს ატარებს?), – „შიგნიდან აიღონ საქართველო!“

ესაა ახალი „ძოპიროსის გეგმა“.

სპარსელებში ოდითგანვე ვაჟკაცობა და სახელი ფასობდა. ძოპიროსსაც უნდოდა ასეთად გამოჩენილიყო. მან თქვა: „ვერაფრით ავიღებთ ბაბილონს, თუ განსაკუთრებული რამ არ მოვიფიქრეთო“... მოიფიქრა!



ბაბილონელთა ბანაკში უნდა შეეღწია და აუცილებლად მაღალი თანამდებობა დაეკავებინა, ჯარი უნდა ჩაეგდო ხელში და ამ ჯარითვე დაემარცხებინა ბაბილონელები, გაეღო ციხე-სიმაგრეთა კლიტენი!

„ძოპიროსმა მოიჭრა ცხვირი, ყურები, თმები საზარლად, მრგვალად შემოიკვერცა, გაიმათრახა თავი და მივიდა დარიოსთან“, – გვიყვება მემატიანე.

სპარსთა მბრძანებელი გაოგნდა, ერთ-ერთი დიდებული ამ მდგომარეობაში რომ ნახა. კითხვაზე – „რა მოუვიდა“, პასუხი არ მოეწონა – „მრცხვენია სპარსელებს რომ დასცინიან, მე თვითონ გავუკეთე ეს ჩემს თავს და თუ დამიჯერებ, ბაბილონს ავიღებთ!“

დარიოსი არ უწონებდა ამ საქციელს, მაგრამ დაუჯერა მის გეგმას, რომელიც ასეა გადმოცემული წყაროებში:

პირველი – ძოპიროსი ასეთი დამახინჯებული და სისხლიანი, შევარდებოდა ბაბილონელთა ციხე-სიმაგრეში და ეტყოდა, რომ დასისხლიანებული, სასტიკად დასჯილი იმიტომ იყო, რომ ალყის მოხსნას თხოვდა დარიოსს. ისინი მიენდობოდნენ მას და ლაშქარს ანდობდნენ.

მეორე – 10 დღის შემდეგ დარიოსს უნდა გამოეყო 1000 კაცი, რომელთა სიცოცხლე არაფრად ულირდა და დაეყენებინა სემირამისის კარიბჭესთან.

მესამე – მე-17 დღეზე, სხვა, 2000 კაცი უნდა დაეყენებინა სპარსელებს ნინევიის კარიბჭესთან.

მეოთხე – ამ 17 დღის შემდეგ და-



რიოსს უნდა მოეცადა 20 დღე დ 4000 კაცი, რომელთა სიცოცხლეც ჩალის ფასიც არ იყო მათთვის, ქალდების კარიბჭესთან უნდა დაეყენებინა. არავის არ უნდა ჰქონოდა საბრძოლო იარაღი, სატევრების გარდა.

მეხუთე – 4000 მოლაშქრის დაყენების შემდეგ უნდა გასულიყო 20 დღე და საუკეთესო მეომრებით შეეტია ციხე-სიმაგრისთვის. ძოპიროსისთვის კი უნდა დაეყენებინა სპარსელები ბელოსისა და კისიის კარიბჭესთან.

ძოპიროსი პირდებოდა გამარჯვებას, თუ ყველაფერი ისე გაკეთდებოდა, როგორც ჩაიფიქრა.

ძოპიროსი უპირველესად ბაბილონელთა ნდობის მოპოვებას ცდილობდა, კარიბჭეების გასაღების ხელში ჩაგდება სურდა!!!

ეს ერთი მხარეა, მაგრამ თვით დარიოსს ჰქონდა ძოპიროსის მიმართ ნდობა, უმაღლესი ხარისხით!

ძვირფასო მკითხველო, მოვიკრიბოთ ძალა სიმართლისა და ვაღიაროთ„, პატარა დონეზე“ რამდენი „პაწაწინა ძოპიროსები“, გვყავს საქართველოს ე.წ პოლიტიკურ ელიტაში, ერთი პარტიიდან (რომელიც ფეხზე ჰკიდიათ), მეორე პარტიაში შეღწევას რომ ახერხებენ?

რამდენი ქართველი „ძოპიროსია“ მტრის ბანაკიდან საქართველოში რომ შემოდის და „ლაშქრებს“ ითხოვს.

რამდენი ქართველი „ძოპიროსია“ დამპყრობლის ჟინით აღვსილი საქართველოს განადგურებას, დაშლა დანაწევრებას, შიგნიდან აფეთქებას რომ გეგმავს?

გავაგრძელოთ პარალელები ისტორიული გაკვეთილებისა, რომელიც დავიწყეთ...

### გეგმის რეალიზაცია ნდობის მოპოვებისათვის და ბაბილონელთა ჯარის ხელში ჩასაგდებად“

ძოპიროსმა შეაღწია ბაბილონელთა „ელიტაში“. ვინ არ შეძრწუნდებოდა მისი მოჭრილი ცხვირით, ყურებით საშინლად დამახინჯებული სისხლიანი სხეულით.

ის ითხოვდა ლაშქარს, დარიოსზე „შურის საძიებლად“ და მიიღო ეს ლაშქარი (?!) დარიოსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით, მე-10 დღეს წინა ხაზზე გამოსული 1000-ივე სპარსელი ჯარისკაცი ამოხოცა.

ბაბილონელები გაოცდნენ...

ქართველებიც გაოცდნენ „ახალი ძოპიროსით“... სააკაშვილმა „უბრძოლველად“ დაიბრუნაო (?!) აჭარა! ასლან აბაშიძე „დაამარცხაო“?

„ძოპიროსი მამაც მეომრად, გმირად აღიარეს...

ახ.წ აღრიცხვის პერიოდში (21-ე საუკუნეში), მახსოვს პატარა საქართველოში გია თორთლაძე ( „პადოშა“—, ყველაზე დიდი „ოპოზიციონერი“ რომ იყო ოპოზიციურ გაერთიანებაში და მერე პარლამენტის „დიდი კარიბჭის“ შესასვლელი გასაღები მოიპოვა(?!)

მახსოვს, 2008 წელს უმოწყალოდ დახოცილი, აგვისტოს თაკარა მზის ქვეშ დაყრილი ქართველი მეომრების ცხედრები რუსულ-ოსურმა სანიტარულმა მანქანებმა რომ აღგავეს მიწისაგან პირისა... ეს საქართველოში „აღიარებულმა“ „ახალმა ძოპიროსებმა“ გააკეთეს.

ბაბილონელები ძვ.წ. აღრიცხვის პერიოდში სიხარულით ხტოდნენ, როცა ძოპიროსმა სპარსელთა 4000 კაციანი ლაშქრის მეომრები ამოხოცა...

ბაბილონელებს „ერთგულება დაუმტკიცა“ სპარსელმა ძოპიროსმა და მათაც უცხო ადამიანს უბოძეს მხედართმთავრობა და ციხისმცველობა!

### ბაბილონის ტრაგედია და მისი ექო საქართველოში

სპარსელთა გეგმა შესრულდა! ძოპიროსმა, ანუ უცხო ძალამ, ხელთ იგდო ბაბილონის მთელი ჯარის მთავარსარდლობა, კარიბჭეთა გასაღებები, ანუ ციხის მცველობის პატივი და ძალაუფლება!

ტრაგედია აქედან დაიწყო...

სპარსელთა საუკეთესო მეომრებმა, დარიოსისა და ძოპიროსის შეთანხმებისამებრ შეუტიეს ბაბილონელთა ძალებს, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძოდნენ მტერს, მაგრამ ძოპიროსმა გააღო კისიისა ა ბელოსის კარიბჭეები და სპარსელები შეიჭრნენ ციხე-სიმაგრეში.

ბაბილონი დაეცა!

მიხვდნენ ბაბილონელები „გულში ჩახუტებული“, მათ მიერ „მამაცად“ და „გმირად“ აღიარებული ძოპიროსის ქმედების არსს, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო! გარეგნულად მახინჯი, მაგრამ სპარსეთის ინტერესების დამცველი „ბაბილონელთა მთავარსარდალი“ ომში სპარსელთა „გამარჯვებას“ ზეიმობდა.

არავინ იცის, 2008 წლის 12 აგვისტოს რატომ ზიმობდა ქართველი მთავარსარდალი ომში გამარჯვებას, როცა ხალხი დამარცხებული იყო.

ძვ.წ აღრიცხვიდან ახ.წ აღრიცხვის 21-ე საუკუნემდე მსოფლიო ათასგზის შეიცვალა, მაგრამ „ძოპიროსის სინდრომი“ კვლავ ძალაშია. ბაბილონის დაცემის ექო საქართველოსაც სწვდება... ვიცოდით ვინ იყვნენ, ან ვინ არიან საქართველოს ჯარის მთავარსარდლები, თავდაცვის მინისტრები?

ხომ არ გვყავდა 1992–1993 წლებში „ახალი დროის ძოპიროსები? ხომ არ „გავაღმერთეთ“ დემოკრატიის სახელით მოსული „ახალი“ ძოპიროსი?“ 2008 წლის აგვისტოში?

სიმახინჯე მარტო ფიზიკური ხომ არ არის? ყველაზე ძნელად შესამჩნევი სულიერების სიბინძურე და სიმახინჯეა, მას „ავგიას თავლასავით“ უნდა განწმენდა, მაგრამ როგორ? თუ სიბინძურე დიდხანს თვალხილული არ არის?

ფაქტია, ეს პრობლემა ჰქონდა ქართულ საზოგადოებას და აქვს დღეს.

ვინ არიან დღეს საქართველოს ჯარების ხელმძღვანელები, პირველი თუ „მომდევნო პირები?“

უნდა ვიფიქროთ!

მერე რა, თუ ცხვირები ადგილზე აქვთ, ყურებიც და საერთოდ კარგად გამოიყურებიან? ხომ არ შემოეპარნენ საქართველოს 21-ე საუკუნის „ძოპიროსები“?

### ღმერთმა არ ქნას საქართველოში „ჯორმა კვიცი მოიგოს“

უკვე ადვილი მისახვედრია, რის თქმა მსურდა ძვირფასო მკითხველო.

ძოპიროსის გეგმამ ბაბილონი დაამარცხა! სპარსელთა წინამძღოლმა დარიოსმა დაანგრია ციხე-სიმაგრე ბაბილონისა. (ეს არ გაუკეთებია მის წინამორბედ კიროსს) 3000 თავკაცი სარზე ჩამოაგებინა. მეზობელ ხალხებს უბრძანა ქალები შემოეყვანათ ბაბილონში და ვინც გადარჩა იმათთვის მიეთხოვებინათ.

მემატიანე წერს„„50 ათასი უცხო ქალი შემოიყვანესო“. ბაბილონელებმა ომის წინ ხომ გაწყვიტეს თავიანთი ქალები? (რაღაც ფორმით ჩვენი ქალებიც შრომით წელში არიან გადაწყვეტილნი, უცხო მხარეში გადახვეწილები!)

ცოდვა-მადლიან ბაბილონურ მიწაზე სპარსელები ბატონობდნენ!

საქართველოში დღეს რთული ვითარებაა. აბობოქრებულ მსოფლიოში არავინ იცის ვინ რა თვალით გადმოხედავენ ჩვენს სამშობლოს!

ღმერთმა არ ქნას, საქართველოში „ჯორმა კვიცი მოიგოს და კიდევ ახალი „ძოპიროსების“ ხელში ჩავაგდოთ საქართველოს „ციხე-გალავანთა კლიტენი“

ღმერთმა არ ქნას!!!

**მაყვალა ბერიანიძე**

საზოგადოებრივი მოძრაობა „სცადე“-ს (საქართველოს ცივილიზაციის აუცილებელი დაცვის ერთობა) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

---

**ირაკლი ვაშაყმაძე**

## ლექსები

### ხმება ტევრი ოცნებათა

— როგორა ვარ? — მეკითხებით,
— დედამიწასავით...
როგორა ვარ! როგორა ვარ!
საქართველოსავით,
თავს დაგვჩხავის ყორანი და
გულს გვიკორტნის სვავი...
შეიბილწა, იავარქმნეს
მიწა სალოცავი,
უღმერთოთა ჟამი მოდგა,
ჟამი საოცარი.
ყოველივე, რაც დღეს ხდება
უფლის წყრომად ვცანი,
მოთქვამს, ტირის მაცხოვარი,
თავს დაგვემხო ცანი...
ქრება ტევრი ოცნებათა,
ტევრი საოცარი...
უფალო! გადამირჩინე
ცხვარი, უფლის ცხვარი...

### ცოდვილის აღსარება

მიმსახურა ბოროტმა და...
მიმსახურა მაცილმა,
ცოდვა-ბრალის ქარიშხალმა
უფალს ჩამომაცილა...
უღმერთობით ბედისწერას
გულმოკლული დავნებდი,
ახლა მიკვირს, ამდენ ცოდვას
როგორ დავატარებდი!..
ვნანობ, ვნანობ, მოღალატეს
რისთვის, რად ვემსახურე!
სამოთხისკენ მისასვლელი
ყველა კარი დავხურე...
მაპატიე! იმედები,
დედი, ვერ გაგიმართლე!
სიცრუეში ვიცხოვრე და...
ვერ გითხარი სიმართლე!
თავს წარვტაცე სიხარული,
თვალის ჩინი, სინათლე,
მაცხოვარი კი შემინდობს...
შენთან თავს ვერ ვიმართლებ...

---

## სამძიმარი



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# უმეცრება თუ მიზანმიმართული დანაშაული?

## ვინ, რატომ და რა მიზნით გამოსცა საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო, „ქართლის ცხოვრება“ 2008, 2012 წლებში გაყალბებული სახით?

„ქართლის ცხოვრება,“ როგორც ცნობილია XII საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით იწერებოდა და ივსებოდა. იგი არის საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო, რომელიც ერისათვის ყოველთვის წმინდათა-წმინდად ითვლებოდა, ჩვენი წინაპრები კი მას „პატიოსან წიგნად“ მოიხსენიებდნენ.

ამ წერილით შევეცდებით გავაკეთოთ მოკლე ანალიზი ამ უმნიშვნელოვანეს ქართულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიზანმიმართული ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით.

როდესაც „ქართლის ცხოვრება-ში“ საქართველოში I საუკუნის წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი ისტორიის გაყალბებისა და განადგურების ფაქტები შევნიშნეთ, უდიდესი პასუხისმგებლობით გადავწყვიტეთ მისი ყურადღებით შესწავლა, რამეთუ გულგრილობა და დუმილი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, ისტორიული ძეგლის გამყალბებელთა თანამოაზრეობის ტოლფასია.

ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, ქ. ბათუმში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ამ ჯგუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენს 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრების“ გამოცემებში ისტორიის გაყალბების ფაქტების არსებობის დადგენა და სამართლიანობის აღდგენისათვის ზრუნვა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი უმძიმესი სულიერი განცდის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანები, რომელთა მიმართაც მწვავე კრიტიკული შენიშვნების გაკეთება გვიწევს, მათი უმრავლესობა ქართველი ერისათვის და პირადად ჩვენთვისაც, დიდად საპატივცემულო ადამიანებად გვესახებოდნენ, უფრო მეტიც — გვეიმედებოდნენ.

მიუხედავად ამისა, სამართლიანობა, ეროვნული ინტერესები, პასუხისმგებლობა ღმერთისა და ერის წინაშე ყველაფერზე მაღლა დგას.

„ქართლის ცხოვრება,“ როგორც უკვე შესავალში აღვნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში იწერებოდა და ივსებოდა. პირველად, სრულყოფილი სახით, იგი დაიბეჭდა 1849 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიკოს მარი ბროსეს ხელმძღვანელობით. შემდეგ გამოიცა მარი ბროსეს და დიმიტრი ჩუბინაშვილის მიერ.

მეფის რუსეთის შემდეგ წიგნი „ქართლის ცხოვრება“ სრულყოფილი სახით გამოიცა თბილისში, 1955 წელს, სადაც ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ.

„ქართლის ცხოვრება“ მეოთხედ გამოიცა 2002 წელს აჭარის ა.რ. მთავრობის ინიციატივით, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ წიგნი გამოდის 1955 წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, რომ წიგნის შინაარსი უცვლელად არის წარმოდგენილი და საავტორო უფლება დაცულია.

„ქართლის ცხოვრება“ მეხუთედ და მეექვსედ გამოიცა 2008 და 2012 წლებში, ქ. თბილისში, სადაც იმ გაუგონარ დარღვევებსა და წმინდათა-წმინდა ისტორიის გაყალბებას ვხედავთ, რის შესახებაც ამ წერილში კონკრეტულად გვექნება საუბარი. კერძოდ:

2008 და 2012 წელს გამოცემული „ქართლის ცხოვრებიდან“ სრულიად ამოღებულია ქართველი ერისათვის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ისტორიის ნაწილი, რომლის მიხედვითაც, „საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად“ იწოდება. ამოღებულია ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოგზავნა ღვთისმშობელმა, ყოვლადწმინდა მარიამმა ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში წმინდა მოციქულები. ამოღებულია ანდრია პირველწოდებულის და სიმონ კანანელის ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ დიდაჭარაში შემობრძანება. თუ როგორ აიგო სოფ. დიდაჭარაში პირველი მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესია საქართველოში. დიდაჭარის შემდეგ დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება მესხეთში, სვანეთში, ქართლში, ტაო-კლარჯეთში, ოსეთში და შემდეგ სკვითების ქვეყანაში — ეს ისტორია სრულიად ამოღებულია.

წმინდა მოციქულების მიერ საქართველოში, I საუკუნეში ქრისტიანობის ქადაგების ისტორია წარმოდგენილია მხოლოდ სამეგრელოს მაგალითზე და ისიც გაყალბებული, დამახინჯებული ფორმით. შემდეგ კი პირდაპირ IV საუკუნეში წმინდა ნინოს მიერ ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევაზეა საუბარი.

სამეგრელოსთან მიმართებაში, წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ისტორია კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. კერძოდ: სამეგრელოში ქრისტიანობის ქადაგების ისტორია წყდება იქ, როდესაც მოციქულები სამეგრელოში პირველი ქადაგების შემდეგ გაემართებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში საქადაგებლად. მეფე ადერკი, რომელიც ამის შესახებ გაიგებს, გაუწყრება თავის ქვეშევრდომებს, „რომელ მშვიდობით განუტევეს ანდრია მოციქული“ და დამალეს ჯუარნი და ხატნი და მეგრელები უკანვე მოაქციეს[1], ანუ კერპთაყვანისმცემლობაზე დააბრუნეს.

აი ასე, სამეგრელოში წმინდა მოციქულების გამოჩენით და თითქოსდა უშედეგო ქადაგებით მთავრდება I საუკუნეში საქართველოში წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ისტორია. ამ ისტორიის ბრწყინვალე დასასრული, რომ წმინდა მოციქულები, მეფის წინააღმდეგობის მიუხედავად, უკანვე ბრუნდებიან სამეგრელოში და მეგრელებს ქრისტეს რჯულზე კვლავ მოაქცევენ, მეგრელები აქედან მშვიდობით გააცილებენ სკვითების ქვეყანაში, ეს ისტორია მთლიანად ამოღებულია.

როგორც ვხედავთ, ისტორიის გამყალბებლები მკითხველს მიზანმიმართულად უქმნიან შთაბეჭდილებას, რომ წმინდა მოციქულები I საუკუნეში საქართველოში მხოლოდ სამეგრელოში მოსულან ქრისტიანობის საქადაგებ-

1 „ქართლის ცხოვრება.“ ტ. I, თბილისი, 2012, გვ. 40; „ქართლის ცხოვრება,“ 2008, გვ.

ლად, საიდანაც ისინი განუდევნიათ და ამით, თითქოსდა, დასრულებულა ეს ისტორია.

ზემოგანხილულიდან, სამწუხარო რეალობა, ფაქტობრივად, მოწმობს, რომ 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად“ გამოცხადების და საქართველოში I საუკუნეში წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ამსახველი ისტორიის განადგურებით, ისტორიის გამყალბებლებმა ქართველ ერს გამოაცალეს სამოციქულო ეკლესიის საფუძვლები.

უფრო მეტიც: 2008 და 2012 წლის გამოცემებიდან ამოღებულია და განადგურებულია ისტორია 13 წმინდა მამის, მათ შორის დავით გარესჯელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც, ასევე, არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ისტორია მოგვითხრობს წმინდა მამების შუამდინარეთიდან საქართველოში მოსვლისა და მის სხვადასხვა მხარეში სამოღვაწეოდ გამგზავრებას; „ხოლო ლოცვითა წმინდისა მამისა იოვანესითა, მოწაფენი მისნი წარგზავნა წინაძღომითა სულისა წმინდისათა, რომელიმე ქართლს და რომელიმე კახეთს, და რომელიმე უდაბნოდ გარესჯად...“[2] ეს ისტორია 2008 და 2012 წლის გამოცემებიდან სრულიად ამოღებულია[3].

დავით გარეჯის თემა, რომელიც დღეს ყველაზე აქტუალურია და მიმდინარეობს გამოძიება, ასეთ დროს განსაკუთრებით ყურადსაღებია.

როგორც 2008 და 2012 წლის გამოცემები მოწმობს, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს თავისი ტერიტორიით აზერბაიჯანის მხარედ აღიარებდა, მას ჯერ, როგორც ჩანს, მეცნიერულად, ისტორიული საფუძველი გამოაცალეს. საქართველოს ისტორიის მთავარი სახელმძღვანელოდან ამოიღეს ის ჭეშმარიტი ისტორია, სადაც კარგად ჩანს თუ როგორ ეყრება საფუძველი ქართულ სამეფოში, ძირძველ ქართულ მიწაზე, ქართულ მართლმადიდებლურ სამონასტრო კომპლექსს. ისტორია, სადაც ყველაფერი ნათელია, გაუგებარი და სადაო არაფერი არის, უპრინციპო მეცნიერების მიერ „ციხე შიგნიდან ტყდება“ გამონათქვამის თანახმად, როგორც ჩანს, სხვა სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ იქნა განადგურებული, რასაც არანაირი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს.

ვიმედოვნებთ, რომ 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრებიდან“ დავით-გარეჯის ისტორიის ამოღების ფაქტის შესწავლა სასარგებლო სამსახურს გაუწევს შესაბამის უწყებებს და ხელს შეუწყობს დავით გარეჯის სრულფასოვნად საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას.

2 ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი. 1955, გვ. 208.

3 ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი. 2008, გვ. 223.




აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ „ქართლის ცხოვრებიდან“[4] ასევე ამოღებულია სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები, მაგ. დავით და კონსტანტინეს გმირული ბრძოლისა და მათი მოწამებრივი აღსასრულის შესახებ, თუ როგორ დაირაზმნენ რჩეული ქართველები არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ საომრად. ეს ყველაფერი ამოღებულია...[5]

ისტორიის გაყალბების ზემოაღნიშნული ფაქტები არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საავტორო უფლების დარღვევად, არამედ, როგორც ჩანს, ეს არის იდეოლოგიური ბრძოლის მზაკვრული ფორმა ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. ეს არის საქართველოს ისტორიის იმ უმნიშვნელოვანესი ნაწილის განადგურება, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მთავარი წვლილი მიუძღვის ქართველი ერის ჩამოყალიბების და ერთიანობის საქმეში.

იქედან გამომდინარე, რომ საქმე ეხება საქართველოსა და მსოფლიოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის გაყალბებას და მის ხელყოფაში, ამ უდიდეს დანაშაულში, კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხს, ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავით, რაიმე მექანიკურ უყურადღებობასთან ხომ არ გვქონდა საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეში მექანიკური შეცდომა ძნელად წარმოსადგენია.

ტექსტის ყურადღებით გაცნობისას მსგავსი მოსაზრება იმთავითვე გამოირიცხა. ამ აზრის ჭეშმარიტებას თავადვე ადასტურებს 2008 წელს გამოცემული წიგნის მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი. იგი წიგნის შესავალი ნაწილის დასასრულს განსაკუთრებულ მადლობას უხდის თავის კოლეგას ციალა ქურციკიძეს, რომელსაც წიგნის გამოცემის წინ, დამატებით, ყურადღებით წაუკითხავს გამოსაცემი ტექსტი.

ტექსტზე მუშაობასთან დაკავშირებით, მთავარი რედაქტორი ასევე აღნიშნავს: „ტექსტის დადგენისას მხედველობაშია მიღებული ყველა ტექსტუალური ვარიანტი, რომელსაც შინაარსეული მნიშვნელობა აქვს“ — მთავარი რედაქტორის ამ განცხადებაშიც ნათლად იკითხება, რომ გამოსაცემი ტექსტის შინაარსი ყურადღებითაა შესწავლილი, გაყალბებული ფაქტების გადასაფარავად კი, სარედაქციო კოლეგია სხვადასხვა გაუმართლებელ ხერხს მიმართავს.

4 ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი, 1955, გვ. 234

5 ქართლის ცხოვრება. ჯუანშერი, 2008, გვ. 234

„ქართლის ცხოვრების“ გამოცემაში წარმოდგენილია ძეგლის შემადგენლობა ტრადიციული (ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ განხორციელებული) სახით[6], — ბრძანებს მთავარი რედაქტორი 2008 წლის გამოცემის შესავალ ნაწილში, რაც აშკარა ტყუილია. ეს წიგნები ჩვენს წინაშეა და საპირისპიროს ადასტურებენ:

სიმონ ყაუხჩიშვილი, 1955 წლის გამოცემაში, თავის შესავალ სიტყვაში ამბობს: „წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს: მაქსიმალური სისრულით წარმოადგინოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საუკუნოთა განმავლობაში წარმოებულ რედაქციულ მუშაობათა სურათი და ხელი შეუწყოს გვიანდელ ნამატთა გამოვლინებას და მაშასადამე, თავდაპირველი ტექსტის აღდგენას.

როგორც ვხედავთ, საუკუნოთა განმავლობაში წინაპართა ნაღვაწი, ნამატი, რომლითაც „ქართლის ცხოვრებას“ თავდაპირველი სახე დაუბრუნდა — როგორც ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, 2008 წელს „ქართლის ცხოვრების“ წიგნიდან იქნა ამოღებული, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელი კი მხოლოდ მეტი დამაჯერებლობისთვის, ისტორიის გაყალბების ფაქტების გადასაფარავად არის გამოყენებული.

2008 და 2012 წლის გამოცემების გაცნობისას, ნებისმიერი სპეციალისტი თუ უბრალოდ ყურადღებიანი მკითხველი, დაინახავს, რომ წიგნში გათვლილია ნებისმიერი დეტალი — სიტყვათა შესწორებები, ძველი ტექსტიდან გასწორებები და ა. შ. რაც იმას მოწმობს, რომ საქართველოს ისტორიიდან უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენები არ უკავშირდება უნებლიე შეცდომას, ან რაიმე სახის ტექნიკურ ხარვეზს.

იმ მოსაზრებას, რომ ადგილი აქვს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილის მიზანმიმართულ გაყალბებას, დამატებით ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

წიგნი „ქართლის ცხოვრება“ გაყალბებული ისტორიით გამოიცა 2008 წელს, მაშინ, როცა სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმი თავისი შესაძლებლობების დემონსტრირების ზენიტში იყო და არავინ იფიქრებდა ხელისუფლებიდან უახლოეს დროში მათ წასვლას.

ამიტომ, წიგნში ხაზგასმულად, დიდი ასოებით არის აღნიშნული გამომცემლების, მთავარი რედაქტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველისა და სარედაქციო კოლეგიის წევრების: აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის, ქალბატონ გიული ალასანიასა და სხვების გვარ-სახელები.

ასეთი ცნობილი ადამიანების სახელების გაგონებაზე არაერთმა ჩვენმა მეცნიერმა, ვისი უპირველესი მოვალეობა იყო ხმა აემაღლებინა და ეზრუნა მდგომარეობის გამოსწორებისთვის, პირიქით, სიმხდალისა თუ პირადული ინტერესების გამო დუმილი ამჯობინა. სამართლიანობის პრინციპი კი გვეუბნება: „სალი აზრი უნდა ბატონობდეს ავტორიტეტზე და არა პირიქით — ავტორიტეტი სალ აზრზე,“ მით უმეტეს, რომ საკუთარი ერის ისტორიის გამყალბებელი მეცნიერი ველარ იქნება ავტორიტეტული მეცნიერი.

2008 წლის გამოცემასთან ერთად

6 „ქართლის ცხოვრება.“ ს. ყაუხჩიშვილი, თბ., 1955, გვ. 05.


ვახტანგ VI


ბერი ეგნატაშვილი

დიდ გაოცებას იწვევს 2012 წლის გამოცემაც, რომლის შინაარსიც იგივეა, რაც 2008 წლის გამოცემისა, იგივე გაყალბებებით, ოღონდ წიგნზე, ამჯერად, აღარ არის მითითებული ინფორმაციები მთავარი რედაქტორის და სარედაქციო კოლეგიის შესახებ. საერთოდ გამქრალია ყველა რეკვიზიტი იმის შესახებ, თუ ვინ იმუშავა ამ წიგნზე, ვის უნდა ვუმადლოდეთ ამ „ღვაწლს.“

ვფიქრობთ, აქ დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის დასადასტურებლად, რომ ადგილი აქვს „ქართლის ცხოვრების“ მიზანმიმართულ გაყალბებას — კერძოდ, როდესაც 2008 წლის გამოცემა, გაყალბებული ისტორიით, მზად იყო განმეორებით გამოსაცემად, ამ დროს 2011–2012 წლებში, სააკაშვილის რეჟიმი სუსტდება და აშკარა დამარცხებისთვის არის განწირული. ამიტომ სარედაქციო კოლეგიამ, უკვე ვეღარ გაბედა თავისი ვინაობის წარმოჩენა, ვინაიდან იცოდნენ, თუ რაოდენ დიდ დანაშაულთან ჰქონდათ საქმე, თუ როგორ უპატიებელ ცოდვასთან ჰქონდათ წილი ნაყარი. ამიტომ, შეცვლილია წიგნის დიზაინი, შინაარსი კი იგივეა, სრული სიზუსტით, როგორც 2008 წლის გამოცემაში.

2008 და 2012 წლის გამოცემა, რომ ერთი და იგივე პირთაგან არის გადაწერილი და გაყალბებული, ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც კი მის შინაარსს გაეცნობა. ამას მოწმობს სხვა მრავალი ფაქტიც, რომლის მითითებაც შორს წაგვიყვანდა. ამაზე შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმუშაონ.

მეორე ფაქტი, რომელიც ისტორიის გაყალბების მიზანმიმართულ მზაკვრულ ჩანაფიქრზე მიუთითებს, არის შემდეგი:

2008 წლის გამოცემას სარედაქციო კოლეგია უძღვნის საქართველოს პატრიარქის დაბადებიდან 75-ე და აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს.

ასეთი მიდგომა ისტორიის გამყალბებელთა მხრიდან მზაკვრული ჩანაფიქრის დასაფარავად, მეტი დამაჯერებლობისათვის არის გამოყენებული, ისე, როგორც ივანე ჯავახიშვილის და სიმონ ყაუხჩიშვილის სახელების დამოწმება. სწორედ ასეთი შემთხვევის შესახებ აფრთხილებდა უფალი იესო თავის მოწაფეებს, მათ შორის, ანდრია წმინდას, ვიდრე საქართველოში წამოვიდოდა საქადაგებლად: „ერიდეთ ცხვრის ქურქში მგლებს“.

ესა სიბრძნე, რომელიც, როგორც ვხედავთ, არასოდეს კარგავს თავის აზრს.

ქვემოთ „ქართლის ცხოვრების“ გაყალბების კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვანთ:

2008 წლის გამოცემის შესავალში, მთავარი რედაქტორი სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ გამოცემაზე მუშაობა 2004 წლიდან დაიწყეს, ანუ სააკაშვილის რეჟიმის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან. თითქოსდა ამ დღიდან მიექცა ამ დიდ ეროვნულ განძს ყურადღება. აქვე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იგი საუბრობს 2004 წლამდე გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაზე,“ რომელიც კი ოდესმე გამოცემულა სხვადასხვა დროს, მაგრამ არ ახსენებს სულ ორი წლის წინ, 2002 წელს, გამოცემულ „ქართლის ცხოვრებას,“ რომელიც ტრადიციული, სრულყოფილი სახით არის გამოცემული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

„ქართლის ცხოვრება“ ათეული საუკუნეების განმავლობაში მოღვაწე მამულიშვილების, მწერლების, მეცნიერების მზრუნველობით, მათ შორის, სხვა ეროვნების ადამიანების თანადგომით იწერებოდა და ივსებოდა. გამოიცა არაერთხელ, ითარგმნა უცხო ენებზე, ურიცხვ მრისხანე დამპყრობლების ხელში გამოიარა და, მიუხედავად ამისა, ჩვენამდე თავდაპირველი ფორმით მოაღწია. ამასთან დაკავშირებით, ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ წინასიტყვაობაში გაკეთებული არის მიმართვა ქართველი ერისადმი:

„პატიოსანნო და დიდებულნო ქარ-


ივანე ჯავახიშვილი

თველნო, „ქართლის ცხოვრება“ გარყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებათაგან.

ხოლო მეხუთემან ვახტანგმან (საუბარია ვახტანგ VI-ზე. – ავტ.) შეკრიბა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა რაცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი, და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და სხუანიცა წერილნი რომელიმე სომეხთა და სპარსთა და სხვათა ცხოვრებისაგან გამოხვნეს და ისრეთ აღწერეს და შეამოწმეს, და რომელ გარყუნილ იყო გამართეს...“[7]

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ, სამწუხაროდ, ისტორია მეორდება. 2004 წლიდან „ქართლის ცხოვრება“ კვლავ „გარყუნილ“ იქნა ჟამთა ვითარებათაგან და თანამედროვე „რომელიმე გადამწერთაგან.“

2020 წლიდან, ჩვენს მიერ გაყალბების ფაქტების აღმოჩენიდან, გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გამყალბებელთაგან, ან ვინმე, ვინც პირადი სარგებლობის მიზნით გულგრილად შეხვდა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს და დუმილს არჩევს, შესაძლებელია, თავი იმართლოს ერთი გარემოებით, კერძოდ, იმით, რომ 2008 წლის გამოცემის სარედაქციო კოლეგიამ ისარგებლა XV საუკუნეში გამოცემული „ქართლის ცხოვრებით,“ რომელიც შეიქმნა კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის მეუღლის, ანა დედოფლის შეკვეთით, რომლის მიხედვითაც, საქართველოში, I საუკუნეში, წმინდა მოციქულების მიერ ქრისტიანობის ქადაგების ისტორია ამოღებული ყოფილა. ასეთი არგუმენტის მოშველიება ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება საფუძვლიანი არგუმენტი და გამამართლებელი „ქართლის ცხოვრების“ გაყალბებისა, რამეთუ ის ისტორიული წერილობითი წყაროები, რომელიც XV–XVII საუკუნეებში გადამწერთაგან იქნა გაყალ-

7 ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი. თავი პირველი. ვახტანგის კაცთა წინასიტყვაობა. თბ., 1955, გვ. 3.

ბებული, შემდგომ, როგორც ვნახეთ, საფუძვლიან წყაროებზე დაყრდნობით, „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ გადამოწმებული და გამართული იქნა.

XV–XVII საუკუნეები, როგორც ვიცით, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ბნელი დროა საქართველოს ისტორიაში. თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ ვხედავთ ირანის თავგამოდებულ ბრძოლას ქართლ-კახეთის მოსახლეობის, როგორც ქართველი ერის საბოლოოდ გადაგვარება-განადგურების მიზნით.

ყველასათვის ცნობილი ეს ისტორია შემთხვევით არ გვიხსენებია. ეს ფაქტი მოწმობს, რომ, თუ კახეთის დედოფლის ანას შეკვეთით გადაწერილ „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველის თხრობიდან გამოტოვებული არის წმინდა მოციქულების მიერ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგების ისტორია, აქ შეიძლება საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ სწორედ ირანის გავლენით, როგორც იდეოლოგიური ბრძოლის ხერხი, შეკვეთილი და განხორციელებული იქნა „ქართლის ცხოვრების“ გაყალბებული ვარიანტი, რამეთუ ქრისტიანული რწმენა იყო მთავარი სულიერი ძალა, რის გამოც შაჰმა ვერ შეძლო ქართლ-კახეთის საბოლოოდ დამორჩილება და განადგურება.

ამ მოსაზრებას შეიძლება ადასტურებდეს ის ისტორიული სინამდვილე,


სიმონ ყაუხჩიშვილი

რომ სწორედ ანა დედოფლის შემდეგ პერიოდში ხდება ირანის განსაკუთრებულად აგრესიული პოლიტიკის გატარება ქართველების მიმართ, კერძოდ, კახეთში მეფე-მამის და და-ძმის მკვლელი მირზა ხანის გამოგზავნა, შემდეგ ქეთევან დედოფლის მოწამებ-


ანდრია პირველწოდებული

რივი აღსასრული, სადაც შაჰის მთავარი მოთხოვნა ქართველი დედოფლის მიმართ ქრისტეს რჯულის უარყოფა იყო...

სწორედ ამიტომ XVIII საუკუნეში, ვახტანგ VI-მ მიზნად დაისახა გადამწერთაგან „გარყუნილი“ მთელი ტექსტების რედაქტირება მოეხდინათ და აღედგინათ საქართველოს ისტორიის რეალური სახე. ამ მიზნით, როგორც ვიცით, „სწავლულ კაცთა კომისიამ“ თავისი მისია პირნათლად შეასრულა ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით.

ივანე ჯავახიშვილი „ქართლის ცხოვრებაზე“ მუშაობისას დარწმუნებულა სწავლულ კაცთა კომისიის მაღალ კომპეტენციაში, რაც კარგად აისახა 1955 წელს ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში,“ სადაც XV საუკუნეში გადამწერთაგან ამოღებული და გაყალბებული ისტორია აღდგენილია და სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

ამდენად, ამ ისტორიის ჩვენი დროის გამყალბებლებსა და საკუთარი ინტერესების გამო მათ მხარდამჭერებს ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების“ ვარიანტი არგუმენტად არ გამოადგებათ და ამით კიდევ უფრო დაიმძიმებენ დანაშაულს.

როგორც ვხედავთ, XV–XVII საუკუნეებში, საქართველოსთვის უმძიმეს დროს, გადამწერთაგან „გარყუნილ“ — როგორც ამას ვახტანგ VI-ე უწოდებს, „ქართლის ცხოვრებას“, 300 წლის შემდეგ „სწავლულმა კაცებმა“ თავისი ღირსეული სახე დაუბრუნეს, მის გამყალბებლებს კი ისტორიამ თავისი ადგილი მიუჩინა.

დღეს ვხედავთ, რომ ვახტანგ VI-ის და სწავლულ კაცთა მოღვაწეობიდან კვლავ 300 წლის შემდეგ თანამედროვე გადამწერთაგან „გარყუნილი“ „ქართლის ცხოვრება,“ ისევ ყურადღების ცენტრში ხვდება, იგივე სამწუხარო მიზეზის გამო.

აქვე ხაზგასმით გვინდა ავღნიშნოთ კიდევ ერთი გარემოების შესახებ:

შავბნელი XV–XVII საუკუნეებისაგან განსხვავებით, დღეს, უმაღლესი ტექნოლოგიების, ინტერნეტის ეპოქაში, მთელი საქართველოს მასშტაბით, საქალაქო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო ბიბლიოთეკებში, ქვეყნის ისტორიის მთავარი სახელმძღვანელო „ქართლის ცხოვრება“ „გარყუნილი“ და გაყალბებული სახით, მთელი 13 წლის მანძილზე, დღემდე, რატომღაც, შეუმჩნეველი რჩებოდა... ამ უდიდეს ცოდვაში აღებული „ვერცხლით“ კი რამდენმა ფუფუნებაში და დიდ პატივში განვლო სიცოცხლე, მაგრამ დღევანდელი დღე მოწმობს, რომ „არა არს დაფარული, რაიცა არა გამჟღავნდეს.“

„ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებული ზემოგანხილული ფაქტები მოწმობს, რომ ქართველი ერის, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის საქართველოს მტრების კრახით მთავრდება. ამის შესახებ თვით ისტორია მოგვითხრობს: „ამ ხელთუქმნელი ხატით ხელში მოაქციეთ ჩემი წილხვედრი ქართველები და თავდებიც ვიქმნები არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“[8], — ასე მოუთხრობდნენ საქართველოში მოსული წმინდა მოციქულები – ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი ღვთისმშობლის დანაბარებს ჩვენს წინაპრებს. ასე დამკვიდრდა ეს ბრწყინვალე ისტორია


სვიმონ კანანელი

საქართველოსა და მსოფლიოში.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დაუყოვნებლივ უნდა გატარდეს შემდეგი სახის ღონისძიებები:

1. მომხდარი ფაქტით უნდა დაინტერესდნენ შესაბამისი უწყებები, კერძოდ: წიგნის „ქართლის ცხოვრების,“ როგორც ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ხელყოფისა და საქართველოს ისტორიის გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით.

8 „ქართლის ცხოვრება.“ ლეონტი მროველი. თბ., 1955, გვ. 38.

2. აღნიშნული ფაქტი, კერძოდ, წმინდა მოციქულების მიერ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელების ამსახველი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება და გაყალბება შეიძლება შეფასდეს საქართველოსა და მთლიანად კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: 1980-იანი წლების ბოლოს ავღანეთში, თალიბების მიერ ბუდას ძეგლის აფეთქება, „იუნესკოს“ მიერ შეფასდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ წიგნი „ქართლის ცხოვრება“ (1955 წელს გამოცემული სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით), რომელიც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, „იუნესკოს“ დაცვის ქვეშ უნდა იყოს.

3. საქართველოში მოქმედი ყველა ბიბლიოთეკიდან დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ფალსიფიცირებული 2008 და 2012 წლის „ქართლის ცხოვრების“ ამოღება.

4. აუცილებლად მიგვაჩნია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ყოველი შემდეგი გამოცემა ეყრდნობოდეს 1955 წელს სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქტორობით გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს.

ძველი გამოცემები უკვე შელახულია და გამოუსადეგარი ხდება მოხმარებისათვის. გამყალბებელთა ჯგუფი ამ მდგომარეობის გამოყენებით ცდილობდა გაყალბებული ისტორიით მის ჩანაცვლებას.

**საინიციატივო ჯგუფი:**

**ნიაზ ბოლქვაძე** – საქველმოქმედო ფონდის „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრი;

**აკაკი ბერიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი-ემერეტუსი;

**ჯემალ მიქელაძე** – ისტორიის დოქტორი, მხატვარი-არქიტექტორი, ბ.ს.უ. კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ- თანამშრომელი;

**ნუგზარ ჩხაიძე** – ფილოსოფიის დოქტორი, სოციოლოგი, ბ.ს.უ. კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომელი;

**ალექსანდრე დიასამიძე** – გეოგრაფიის დოქტორი;

**აკაკი ზოიძე** – განათლების აკადემიური დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

**ნოდარ ბასილაძე** – პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**შალვა აბაშიძე** – ისტორიკოსი, პუბლიცისტი.

**ცისანა ანთაძე** – საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი;

**გურამ ფუტკარაძე** – მხატვარი, მხატვართა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბათუმის საპატიო მოქალაქე;

**ლილი ბოლქვაძე** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

**ნინო ახობაძე** – ექიმი;

**ოთარ ფუტკარაძე** – ჟურნალისტი;

**მანანა წულუკიძე** – პედაგოგი, კულტ. საგანმანათლებლო ორგანიზაცია„ მწიგნობარი“-ს დირექტორი.

**ქ. ბათუმი, 23 ივნისი, 2021 წელი**

**რედაქციისაგან:**

სახელმწიფოებრივად უაღრესად მნიშვნელოვან ისეთ საკითხს ეხება აჭარიდან საინიციატივო ჯგუფის მიერ გამოგზავნილი ეს წერილი, რომ მის გამოქვეყნებაზე უარის თქმა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა.

ჩვენ საშუალება მივეცით ერთ მხარეს, თავისი მკვეთრად კრიტიკული მოსაზრებები გამოეთქვა „ქართლის ცხოვრების“ 2008 და 2012 წლის გამოცემების შესახებ.

ახლა იგივეს ვთავაზობთ მეორე მხარეს, ანუ მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელმაც დასაშვებად მიიჩნია „ქართლის ცხოვრება“ ამ სახით გამოცემულიყო, როგორც ის 2008–2012 წლებში გამოიცა.

ვფიქრობთ, ჯანსაღი დისკუსიით და კომპეტენტური მოსაზრებების შეჯერებით მივალთ იმ საერთო დასკვნამდე, რომელიც სასარგებლო და მისაღები იქნება ქართული სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

**„საერთო გაზეთი“**

# ზოგი ჭირი მარგებელია, ანუ ბედისწერით შეკრულნი



ფერად საზოგადოებაში ხმა გავარდა, ბნელებმა პარლამენტის შენობიდან ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დაწვესო. ფერადი საზოგადოება იცით, „ბნელებიც“ იცით, მათი მოწინააღმდეგეები არიან. რაც 5–6 ივლისს მოხდა, გამართლება ნამდვილად არ აქვს, რომ არა ჟურნალისტ-ოპერატორების ცემა და მეორე დღეს ორი მხარის ერთმანეთზე მიქსევა, მე პირადად გეებისა და ლესბოსელების მოწინააღმდეგეებს დავუჭერდი მხარს ბოლომდე. კი, ბატონო, ფერადი საზოგადოების გამოხტომები არ მომწონს, ძალიან ვღიზიანდები, მაგრამ როცა სიტუაცია სისხლისღვრამდე მიდის, ვფიქრობ, აქ უკვე მტრის ხელი ურევია.



მოკლედ, რაც მოხდა, ყველამ ნახეთ, ყველას საკუთარი აზრი გაქვთ, მე სხვა კუთხით ვაპირებ საუბარს, ანუ იმაზე, რომ ნებისმიერ მედალს მართლაც ორი მხარე აქვს და... თუ ერთ მხარეს კატასტროფაა გამოსახული, შეიძლება მეორე მხარეს ოაზისი იყოს მიხატული. მოდით, რა საშინელებაც რუსთაველზე მოხდა, გვერდზე გადავდოთ, ან მისი რაკურსი შევატრიალოთ და კარგი რამეებიც დავინახოთ... თუ ვერ დავინახავთ, შევეცადოთ: ჩვენ (ანუ იმათ) დავწვით ევროკავშირის დროშა? რატომ? იქ რომ ამერიკის შეერთებული შტატების დროშა ყოფილიყო, იმასაც დავწვავდით. იმიტომ, რომ ევროპიელი თუ ამერიკელი ელჩები თავს უფლებას აძლევენ, ძალიან ღრმად, თანაც არადიპლომატიურად ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში. ეს მაშინ, როცა ესა თუ ის საკითხი მათ საერთოდ არ ეხებათ. ასევე იქცევა ამერიკელი კონგრესმენებისა და სენატორების ერთი ნაწილი. გადმოდგებიან ხოლმე ოკეანის გაღმიდან და ისეთ რაღაცებზე გვასწავლიან ჭკუას, საერთოდ რომ არ ესმით, ან კიდევ მხოლოდ საკუთარი ინტერესები რომ აქვთ. იყო დრო, ქართველებს ყველა უცხოელი დიპლომატი თუ პოლიტიკოსი ჭკვიანი გვეგონა, რასაც ისინი იტყოდნენ, სრული ჭეშმარიტება იყო, წვეთი არ გაუვიდოდა. 1990-იან წლებში და შემდეგ (კაი ხანს, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკი ვიყავი) საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა სავალუტო ფონდის წარმომადგენელი მუჰამედ შადმან ვალავი, რომლისაც, გამოგიტყდებით, ბოლო დროს ძალიან მეშინოდა. გამოვიდოდა ტელევიზორში შევარდნაძე და დაიწყებდა, ვალავმა ეს თქვაო, ვალავმა ის თქვაო, ამდენს და ამდენს გამოგვიყოფსო, თუ ასე არ გავაკეთებთ, შეიძლება არც გამოგვიყოსო. გამოვიდოდნენ მინისტრები და ისინიც იწყებდნენ, ვალავმა ის თქვა, ვალავმა ეს თქვა, ეს ბრძნული გადაწყვეტილებაა, სასწრაფოდ უნდა შევასრულოთო.





ერთხელ, პირდაპირ გადაცემაში, გოგი თოფაძემ, ვენაცვალე მის კაცობას, ეშმაკები დაუფეთა ვალავს და ნამდვილად ფეხქვეშ გაიგდებდა, ვიღაცები რომ არ ცავარდნილიყვნენ შუაში. გავიდა დრო, მოხდა ე.წ. ვარდების რევოლუცია და ეს ჯადოსნურჯოხიანი შადმან ვალავი კი არ გაქრა, გამრავლდა... საქართველოს იმდენი ვალავი შემოესია, ჩვენ თავბრუ დაგვეხვა, ველარ გაგვიგია, რომელ ვალავს რა უნდა, რომელი ვალავი რას ითხოვს ჩვენგან. არა, ეგენი რომ ითხოვენ და „უმფროსებად“ გვადგანან, გასაგებია, მაგაში ხელფასსაც იღებენ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენ ყველა ვალავი ისევ ბრძენი გვგონია. თუმცა არა, ბოლო დროს ვიღაც-ვიღაცების კაიკაცობასა და პატიოსნებაში ეჭვი შეგვეპარა... ისიც კი ვიგრძენით, ზოგიერთი თავგასული უცხოელი პოლიტიკოსი თუ დიპლომატი განგებ თესავს ჩვენში ევროპა-ამერიკის სიძულვილს. გამოეთრევა ვიღაცა და გვიმტკიცებს, ფერად (მამათმავლებსა და დედათმავლებს) ადამიანებს „პარადი“ უნდა ჩაატარებინოთ, გულში ჩაიხუტოთ და ტაშიც დაუკრათო. ჩვენ ვეუბნებით, იყონ, იცხოვრონ, არ ვცემთ, არ ვკლავთ, არ გვიღირს, ოღონდ ქუჩებში ნუ გადმოგვიფენენ თავიანთ გარყვნილებასო. არაო, უნდა გადმოგიფინონ, რადგან ეს არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაო.

მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ რაც საქართველოში ბოლო დროს (ბოლო დღეებში) მოხდა, ცუდია, მაგრამ მე კარგიც დავინახე, თანაც რამდენიმე კუთხით: პირველი — შევამჩნიე, თითქოს ქართველი ხალხი (არ ვგულისხმობ გურამ ფალავანდიშვილისა და ლევან ვასაძის „სასტავებს“) გამოფხიზლდა, თითქოს ქართველმა ხალხმა გვერდი იცვალა და გაიზმორა; მეორე — თითქოს ევროკავშირიც გამოფხიზლდა, თითქოს ევროკავშირმაც გვერდი იცვალა, გაიზმორა და ჩაილაპარაკა: ერიჰააა... რაკი საქართველოში ჩემი დროშა დაწვეს, რაღაც ვერაა ისე, როგორც უნდა იყოსო. ჩამოფრინდა ეგრევე ევროკომისარი ოლივერ ვარჰეისი, დაჯდა ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, განიხილა, რა იყო, როგორ იყო, რათ იყო და ჩაატარეს ერთობლივი ბრიფინგი. ვარჰეისმა, ქართველებო, 3 მილიარდ 900 მილიონი ევრო ჩამოგიტანეთ პაკეტის სახით, სადაც უამრავი პროექტია გაწერილიო, აქედან ნახევარი გრანტიაო. ჩვენში დარჩეს, 2008 წლის ომის შემდეგ ამდენი ფული ჩვენთვის არავის მოუცია. მაშინაც, აგვისტოში რუსებმა რომ დაგვცხეს და ჩვენი ხელისუფლება წითელი ხიდისკენ გაიძურწა, 4 მილიარდი დოლარი გამოგვიყვეს, მაგრამ სააკაშვილმა და ბიძამისმა ალასანიამ დავით კეზერაშვილთან ერთად ისე აართქლეს, ქართველი ხალხი ვერაფერს მიხვდა. რამდენიმე ადგილზე ბიზნესმენებს დევნილებისთვის „გეტოები“ აუშენეს და ეგ იყო, მაგით ჩამოწერეს მილიარდები, ამ შობელძაღლებმა. ჰო, კიდევ ის იყო, იმ ფულიდან უცხოელმა პოლიტიკოს დიპლომატებმაც იხეირეს, ხმა რომ არ ამოეღოთ, იმათაც გადაურიცხეს. აბა, როგორ? ნათქვამია, ხელმა ხელი დაბანა და ორივემ კიდე პირიო. დაბანეს ერთმანეთს უკანალები, იშოვეს დიდი ფული, გაიქცნენ ქვეყნიდან, ჩადეს ოფშორებში, დაატრიალეს, წავიდნენ მოგებაზე და შემოყარეს საქართველოში ავკაცობისთვის. დორბლიანი სააკაშვილი და მისი ქოფაკი ბიძა ჭკუაზე არ არიან (არც ადრე იყვნენ), გაცოფებულები არიან, როგორ, რანაირად, უმაგათოდ ფული რათ უნდა განაწილდეს? უმაგათოდ აქ სხვამ რათ უნდა იმღეროს? იიიფ... 3 მილიარდ 900 მილიონი, ხალხოოო... თითქმის 4 მილიარდი ევრო, ხალხოოო! ეს ხომ 10 მილიარდზე მეტი ლარია? წარმოგიდგენიათ? ეს რომ მიშა სააკაშვილს ჩაუვარდეს ხელში, ეგრევე მოაყომარებს, ბიზნესმენებს





სადღაც კოტეჯებს ჩაადგმევინებს და ქართველებს მოაჩვენებს, რა დიდი საქმეები გააკეთა. აბა, ამ „უნიათო“ ხელისუფლებამ კი რა უნდა გააკეთოს? აგერ, „ლელოელი“ გეგელია, რაღაც უცნაური წარმონაქმნი როა, ვერაფერს რომ გაიგებ, რას ლაპარაკობს, ამას წინებზე იძახდა ტელევიზორში, „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში საქართველოში ერთი „ბუტკაც“ კი არ აშენებულაო. ჰა, ჰა, ჰა... ეს ჩემისა, დებილი არ არი? შეიძლება „ოცნებას“ ყველაფერი დააბრალო, მაგრამ მშენებლობები? არ აშენებულაო? „ბუტკაო“? ავოიეეე! რაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაკეთდა ამ ქვეყანაში, „ნაცმოძრაობას“ არ გაუკეთებია 9 წლის განმავლობაში. ჰოდა, ეხლა სად უნდა წაიღოს ამდენი ფული ირაკლი ღარიბაშვილმა? შავნოდარას თუ ჰკითხავთ, საათებსა და „მანქნებს“ იყიდის, ინგა გრიგოლიას თუ შეეკითხებით, ნათესავებს დაურიგებს. სინამდვილეში ხომ ირაკლი გზებს გააკეთებს და ინფრასტრუქტურას განავითარებს? მაგალითად, კახეთში ეს კაცი ისეთ პროექტებს შეეჭიდა, აღვფრთოვანდი და თან შემეშინდასავით... მინდა, რომ მალე გააკეთოს... მინდა, რომ მოასწროს... მინდა, რომ 2030 წლამდე მყარად იდგეს. ჩვენ კიდევ, ღმერთმა იმდენი შეგვაძლებინოს, შინაური თუ გარეული მოღალატეებისგან დავიცვათ.

მეგობრებო, რამდენი ბევრი დახმარება წამოვა ევროკავშირიდან ან ამერიკის შეერთებული სტატებიდან, მით უფრო აგრესიულები გახდებიან ე.წ. ლიბერალები, ფერადები და რაც მთავარია, სააკაშვილები, ალასანიები, კეზერაშვილები, ბოკერიები, უგულავები და სხვა ჩათლახი მაიმუნები, ისინი ფულებზე არიან დაგეშილები. ამ სულით ავადმყოფებს ხალხის მხარდაჭერა და იარაღი არ აქვთ, თორემ აქამდე დიდი სიამოვნებით გადაბუგავდნენ საქართველოს. არც ექნებათ, ვერც ექნებათ, მათი ყველა მცდელობა განწირულია!

ვარჰეისს ე.წ. ოპომედიის წარმომადგენელმა კი არა და... მიგზავნილმა პროვოკატორმა ბრიფინგზე ჰკითხა, დროშა რომ დაწვეს, რას ფიქრობთ, ხომ ვიმსახურებთ სანქციებსო. იმას, იმ ჩამოსულ კაცს გაეღიმა, ჩემთვის მთავარი ის კი არ არის, ვიღაცამ დროშა რომ ჩამოხსნა, ყველაზე მნიშვნელოვანია, პარლამენტის თავმჯდომარემ ისევ რომ აღმართაო. აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ე.წ. ოპოზიციას, ეგონათ, ევროკავშირში გაბრაზდებოდნენ და ეგრევე სანქციებს დაგვიწესებდნენ, ამათ ხომ მეტი ტვინი არ აქვთ?

ბიძინა ივანიშვილს უყვარს ხოლმე თქმა, ზოგი ჭირი მარგებელიაო... ჩემი აზრით, „მავნეებს“ ევროკავშირის დროშა რომ არ დაეწვათ, ალბათ 4 მილიარდამდე ევროს არ გამოგვიყოფდნენ. ეს კი იმხელა თანხაა, ნამდვილად ღირდა ნერვიულობად.

საქართველოს ევროპისგან ვერავინ და და ვერაფერი დააშორებს – ჩვენ ბედისწერით ვართ შეკრულნი.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ეს 15 პარტია, რომლებმაც პრაიდს დაუჭირეს მხარი, საქართველოს ისტორიაში შევლენ როგორც ქვეყნის მოღალატე გეი-პარტიები

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ* 

*გვესაუბრება*
*დამოუკიდებელი*
*უფლებადამცველი*
*დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— წელს, პრაიდი იმითაც გამოირჩეოდა, რომ შეიქმნა მათი მხარდამჭერი დოკუმენტი, რომელსაც 15 პარტიამ ხელი მოაწერა. მათ პასუხისმგებლობას ხედავთ?**

— რა თქმა უნდა, ეს 15 პარტია, ჩვენ, გვევლინება როგორც გეი-პარტიები. მოულოდნელად, 15 პოლიტიკურმა პარტიამ 16 მაისს ხელი მოაწერა ლგბტ უფლებების დაცვას და დადო პირობა, რომ დაიცავს მათი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, ანუ, ლგბტ პრაიდს. ამით, მათ აიღეს პასუხისმგებლობა, რომ ლგბტ დღის წესრიგს, მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პოლიტიკის რანგში გაატარებენ. ეს არის ისტორიული ღალატის ფაქტი. ამ ჩირქს ეს ადამიანები ვერასგზით ჩამოირეცხავენ, თუ ქართულ საზოგადოებას არ ჩააბარებენ საჯარო ქმედით აღსარებას და არ მოინანიებენ ამ მომაკვდინებელ ცოდვას. ამ ნაბიჯით მათ თავიანთი პოლიტიკური მომავალიც მოსპეს. განა რისი იმედიღა აქვთ ამ პოლიტიკოსებს, რომლებიც მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადებიან მაშინ, როდესაც სწორედ მათი ხელშეწყობით მოხდა 5 ივლისის დაანონსება ე.წ. თბილისი პრაიდის ორგანიზატორებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციების



მიერ, რომელთა ჯამური დაფინანსება, დაახლოებით, 123 მილიონი ლარია. საზოგადოებას უფლება აქვს ამ მოღალატეებს იცნობდეს. ამიტომ, აქვე, მოგახსენებთ თუ რომელმა პარტიებმა მოაწერეს ხელი მემორანდუმს: 1. „ნაციონალური მოძრაობა“ (ნიკა მელია), 2. „ევროპული საქართველო“ (გიგა ბოკერია), 3. „სტრატეგია აღმაშენებელი“ (გიორგი ვაშაძე), 4. „დროა“ (ელენე ხოშტარია), 5.„გამარჯვებული საქართველო“ (ირაკლი ოქრუაშვილი), 6. „პროგრესი და თავისუფლება“ (კახა ოქრიაშვილი), 7. „გირჩი — მეტი თავისუფლება“ (ზურა ჯაფარიძე), 8. „ერთიანი საქართველო“ (ნინო ბურჯანაძე), 9. „ლელო“ (მამუკა ხაზარაძე), 10. „სამართლიანობისთვის“ (ეკა ბესელია), 11. „კანონი და სამართალი“ (თაკო ჩარკვიანი), 12. „რესპუბლიკური პარტია“ (თამარ კორძაია), 13. „გირჩი“ (იაგო ხვიჩია), 14. „თავისუფალი დემოკრატები“ (თამარ კეკენაძე), 15. „რეფორმერი“ (თორნიკე ჯანაშვილი). სწორედ ეს პოლიტიკური კომპონენტი უნდა ყოფილიყო ძალიან მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ მედია-კომპონენტიც არსებობდა. მედიას სამთავიანი ჰიდრატელევიზიები უკვე მზად იყვნენ რუპორიზებისთვის, პროპაგანდისთვის. არასამთავრობო ორგანიზაციებიც რკალში იყვნენ მოქცეული და მზად იყვნენ თავიანთი დღის წესრიგის ხმამაღლა გამოსახატად, მხოლოდ, პოლიტიკური მდგენელი ესაჭიროებოდათ. ეს კი შეიქმნა 15 პოლიტიკური პარტიის მზაობით და აღიარებით. დღეს, რატომ არიან 15-ივე გატრუნული და ხმას არ იღებენ?! რატომ ცდილობენ ჩავარდნილი 5 ივლისი მედიაზე თავდასხმის საკითხად გადახარონ? რატომ არაფერს ამბობენ იმ პასუხისმგებლობაზე, რაც უშუალოდ, ბილწი ცხოვრების წესის პროპაგანდას უკავშირდება?! ეს ხომ ამაზრზენი ფაქტია, რაზეც პასუხისმგებლობას ვერასდროს გაექცევიან. ამაშია საქმე, რომ 5 ივლისი იყო დავალება, რომელიც ქვეყანაში სამი კომპონენტისგან შემდგარ ძალას უნდა განეხორციელებინა. ეს ძალები, ამ ყველაფრისთვის, აბსოლუტურად, მზად იყვნენ. ხელისუფლებას ძალიან მკაცრი მითითებები მიეცა. აქვე, უნდა ვთქვა: ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება პრაიდის ჩატარების აკრძალვასთან დაკავშირებით იყო პირადი გმირობა. მაგალითი იმისა, რომ მან იმ მომენტში ნამდვილად დააყენა საკუთარი პოლიტიკური რეპუტაცია და პირადი უსაფრთხოებაც საფრთხის ქვეშ. იმიტომ, რომ არსებობს საკითხები, რაც დასავლეთისთვის წითელი ხაზია. გეი-პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმა ეროვნული სახელმწიფოსგან, რომელთანაც ყველაფერი დალაგებული, შეთანხმებული (ფინანსური საკითხებიც კი) გავლილი გაქვს, ეს, უკვე, ძალიან მძიმე და ძლიერ რეაქციას ნიშნავს. მაგალითად, ისეთ რეაქციას, როგორც 2003 წელს, სერბეთის პრემიერ-მინისტრს გადახდა თავს, როცა ის, უბრალოდ, თავიდან მოიშორეს, გაანადგურეს იმის გამო, რომ ამ ადამიანს კოსოვოსთან დაკავშირებით შეურიგებელი პოზიცია ჰქონდა და დასავლეთს ძალიან დიდ წინააღმდეგობას უქმნიდა. კოსოვოს მაგალითი, მათ, რუსეთთან ბრძოლის პროცესში, გეო-პოლიტიკური დატვირთვისთვის სჭირდებოდათ. ამ შემთხვევაში, თუკი, მაგალითად, ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანაში გეი-დღისწესრიგის გატარების ძირითადი ბარიერი და წინააღმდეგობა აღმოჩნდება, თუკი მონური მორჩილების ტოლერანტობის აქტი არ იქნება გამოხატული, დადასტურებული ქართული საზოგადოების მხრიდან, რომლის სათავეშიც მთავრობა უნდა ყოფილიყო, მაშინ გამოდის, რომ კელი დეგნანი და კარლ ჰარცელი ვერართმევენ თავს საკუთარ უფლებამოსილებას. ქართული საზოგადოება, ამჯერად, შემდეგი ფაქტის წინაშე დგას: თუ ამ საფრთხეების გარშემო ჩვენი კონსოლიდაცია არ მოხდება და არ გავერთიანდებით, უბრალოდ, დავიკარგებით როგორც სახელმწიფო, რუკიდან წავიშლებით. იმიტომ, რომ ქართული გენი — ეს არის პრობლემა დასავლეთისთვის. იმიტომ, რომ აღმოჩნდება: ქვეყანა, ერი ტერიტორიულ წარმონაქმნად ვერ გადააქციეს ვერანაირი შანტაჟისა თუ მისი დასუსტების მიუხადავად. ღვთისმშობელი და უფალი იესო ქრისტე ჩვენი მფარველია. სანამ ქვეყანას დედა-ეკლესი, მისი უწმინდესობა და მრევლი ჰყავს, ბუნებრივია, ისინი ვერ შეძლებენ ამ გეგმის განხორციელებას. მთავარია, საკუთარ თავს თავად არ მოვუღოთ ბოლო. თუ ჩვენ გონს არ მოვეგეთ და ღირებულებების გარშემო კონსოლიდაცია ვერ მოვახდინეთ, ასეც მოხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ღარიბაშვილმა პრაიდის შეჩერებისკენ მოუწოდა ორგანიზატორებს, თუმცა, სიტყვიერად. ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ უნდა დადგეს?**

— ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა. დიახ, ჩვენ მუდმივი საფრთხის წინაშე ვერ ვიქნებით. ჩვენ, ქართული საზოგადოების წინაშე საკანონმდებლო ინიციატივათა პრეზენტაცია უნდა მოვახდინოთ და შემდგომ, მათ ძალიან ფართომასშტაბიანი აქციისკენ მოვუწოდოთ, რომლის მიზანი იქნება: ქვეყნის ხელისუფლებას გავაზიარებინოთ ის საკანონმდებლო ინიციატივები, რაც ერთგვარი ალვირი იქნება იმ უზნეო ადამიანებისთვის, რომლებიც საკუთარი ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფერს კადრულობენ. ისინი, ფორმალურად, იწოდებიან ქართული სახელებითა და გვარებით, რომელთა უკან, რეალურად, დემონური გეი-ლობი დგას, რომელიც მათ ფლობს. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესს სათავეში არამხოლოდ ერთი ჯგუფი, არამედ მართლმადიდებლური ეკლესია, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ჯგუფები ჩაუდგნენ, ვინც გაითავისებს, რომ ფორმალურად მაინც ვართ ეროვნული სახელმწიფო და ამ ქვეყნის პოლიტიკური წყარო არის სწორედ ის ხალხი, ვინც ამ პროცესში ანგარიშგასაწევი უნდა იყოს. საჭიროა ძალიან დიდი ერთობა, კვალიფიციური საკანონმდებლო ინიციატივები. სხვათა შორის, ამ წინადადებებზე ნამუშევარი გვაქვს.

**— თქვენ ახსენეთ, კელი დეგნანი და კარლ ჰარცელი უშუალოდ იყვნენ ჩართულნი პრაიდის ჩატარების პროცესშიო...**

— დიახ, იმ 15 პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, რა თქმა უნდა, დგას მათი პასუხისმგებლობის საკითხიც. ჩვენ, ვალდებულნი ვართ ხელისუფლებას შევახსენოთ, რომ დიპლომატიური მისიების რეგლამენტებიდან გამომდინარე, ელჩი, რომელიც შეურაცხყოფს იმ ქვეყნის სარწმუნოებას სადაც იგი წარგზავნილია, ნამდვილად უნდა იქნას უკან გაწვეული, გნებავთ, გაძევებულიც კი. კელი დეგნანი რომელიც საქართველოში თავს მეფის ნაცვლად თვლის, ნამდვილად ლახავს ყველა იმ წითელ ხაზს, რაც ქართველი საზოგადოების წინაშე არსებობს. ჩვენ, გვესმის, რომ ამერიკა ჰეგემონი სახელმწიფოა, რომელსაც მთელს მსოფლიოში მუდმივი ინტერესები აქვს, მაგრამ ნურას უკაცრავად, არა ჩვენი 2 ათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის გადათელვის ხარჯზე. არ დავუშვებთ, რომ აქ, სიბილწის პროპაგანდა სიტყვისა და თავისუფლების გამოხატვის ადგილი გახდეს. მინდა, „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან კელი დეგნანს მივმართო: ადამიანის თავისუფალ ნებაზე ფსიქოლოგიური ძალადობის პირდაპირი გამოვლინებაა ის, რა ზეწოლასაც თქვენ, ჩვენს მთავრობაზე ახორციელებთ. ეს კი ნიშნავს საზოგადოებაზე განხორციელებულ ზეწოლას. ასე, რომ რამდენადაც გააძლიერებთ ჩვენზე ზეწოლას, იმდენად ძლიერი იქნება ზეწოლა ჩვენი მხრიდანაც, იმ შემთხვევაში, თუ კვლავ მოძალადეებად მოგვნათლავთ.

**— გირჩი ჯაფარიძის მიმართვაზე რას გვეტყვით?**

— გარეწარმა — გირჩი ჯაფარიძემ გააკეთა განცხადება, რითაც ჩვენს საზოგადოებას, საქართველოს ეკლესიას, მის მრევლს მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა. ეს გააკეთა, რათა პროვოცირება გამოეწვია და მერე, ჩვენთვის, მოძალადეები ეწოდებინათ. წარმოიდგინეთ, გაგინებენ დედას, რაზეც გაქვს პროტესტი და ამ დროს, მოძალადე ხდები. შემდგომ, ამ პროტესტის გამო 2-ათასლარიანი ჯარიმით ისჯები იმიტომ, რომ პარლამენტმა კანონში ცვლილებები მიიღო აქციებზე პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის და ჯარიმა 2 ათას ლარამდე გაზარდა. 100 ადამიანი დაიჭირეს და უმრავლესობას ადმინისტრაციული ბრალი წაუყენეს. ხაზი მინდა გავუსვა შემდეგს: ფიზიკური ძალადობის ფორმას, აბსოლუტურად, ვემიჯნები. აქ, ამაზე ლაპარაკი არ არის. საუბარია მათი მხრიდან ძალადობაზე, რაც აპრიორში გულისხმობს ბილწი პროპაგანდის თავსმოხვევას მომავალ თაობებზე და მშობლები, თურმე, ამას უნდა შევეგუო თ. ეს ძალადობა კი არა, არამედ ლეგიტიმური თავდაცვაა თავად ამ მოძალადეებისგან. თუ გავაცნობიერებთ, რასთან გვაქვს საქმე, მაშინ ჩვენი ერის კონსოლიდაციის საკითხი დადგება. რაც შეეხება გირჩი ჯაფარიძეს, იგი, აუცილებლად, უნდა იქნას პასუხისგებაში მიცემული. მას არ აქვს უფლება საქართველოს პარლამენტის წევრად იწოდებოდეს.

**— დეგნანს და ჰარცელს პრაიდი არ ჩაატარებინეს. ამის საპასუხო „სანქცია“ შეიძლება ვადამდელი არჩევნები იყოს, რათა ქვეყნის სათავეში ის ძალა მოვიდეს, ვინც მათ დაკვეთებს უსიტყვოდ შეასრულებს?**

— რა თქმა უნდა, მათი ამოცანა სწორედ ეგ არის. გნებავთ, მომავალ პოლიტიკურ ბატალიებში გქონდეთ თქვენი ადგილი, რასაც ჩვენ გამოგიყოფთ? — აი, ეს იყო კელი დეგნანის გზავნილი იმ 15 პარტიისადმი, რომელთაც პრაიდის ჩატარებას ხელი მოაწერეს. დიახ, მათ მოსთხოვეს: ჩვენი მხარდაჭერა თუ გინდათ ხელი მოაწერეთ, რომ მხარს დაუჭერთ ლგბტიზაციას ანუ, ქვეყნის სოდომიზაციას პოლიტიკურ დონეზე. ზუსტად ეს ფასი გადაახდევინა დეგნანმა ამ პარტიებს. დიახ, გარანტია სწორედ ამის სანაცვლოდ მიიღეს. ანუ, აშშ და დასავლეთი, აბსოლუტურად, დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალი მთავრობის ფორმირება მათი სცენარით უნდა განხორციელდეს. ამიტომ იყო მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ ველზე მესამე ვადით არსებობა არ გაეგრძელებინა. ვერ წარმოედგინათ, რომ „ქართული ოცნება“ მათ კლანჭებიდან დაუძვრებოდათ და მესამე ვადაზე წავიდოდა. 43%-იანი ბარიერის საკითხი აშშ-სთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის რომ მათ რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ ქართულ პოლიტიკაში საკუთარი ემისრების რეაბილიტაცია. ამიტომაც არის, რომ 15 პოლიტიკური ძალის კონსოლიდაციას მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ. ასევე, გააქტიურებული ჰყავთ მედია — „ტვ-პირველის“, „ფორმულასა“ და „მთავარის“ სახით, რომელთაც არ აკლებენ უხვ დაფინანსებას, რათა მათ ამ საქმის პროპაგანდა მოახდინონ და ბოლომდე დაასამარონ ის, რასაც ქართული სახელმწიფო ჰქვია.

**— ბოლოს, მინდა ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების შესახებ გკითხოთ: ვინ არის პასუხისმგებელი ნაცემი ოპერატორის შეწყვეტილი სიცოცხლისთვის?**

— ალექსანდრე ლაშქარავას გარდაცვალება, ძალიან დიდი ტკივილია. ალბათ, უფრო მძიმე აღსაქმელია „ორი გვამის“ დანაშაულებრივი სინდიკატი, რომელსაც გვამების გარეშე არსებობა, უბრალოდ, არ შეუძლია. მათ ლაშქარავას გარდაცვალების ფაქტზე ძალიან მძიმე სცენარის გამოყენება მოისურვეს. ეს გახლავთ ძალა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ეკლესიაზე ძალადობს, ამოწყვიტა აფრასიძეების ოჯახი, გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა, პატიმრების რიცხვით ევროპაში პირველ ადგილზე გაგვიყავნა და ა.შ. ეს არის იმ დანაშაულებრივი ძალის ავტოგრაფი, რომელიც „ორი გვამის“ სინდიკატს წარმოადგენს. ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებით, ახლა, სწორედ ეს ძალები სპეკულირებენ. მათ ყველაზე მეტად აწყობდათ 5 ივლისს აქციაზე ლეტალური შედეგი დამდგარიყო და ეს სათავისოდ გამოეყენებინათ.

ბუნებრივია, ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებამ, მედია-ჰიდრას, ყველაფერზე სპეკულირების უფლება მისცა. საზოგადოების რეაქცია მაშინვე რევოლუციური მოდელის შექმნისკენ მიმართეს. ვნახეთ, პარლამენტში ცემა-ტყეპა, შევარდნები. ჭყიპინა დედაკაცების სალომე სამადაშვილის, ანა ნაცვლიშვილის, გარეთ — ელენე ხოშტარიას ქმედებები, არაფერში არ ჯდება. ხოშტარია პროვოკაციაზე ღიად წავიდა, როცა პოლიციელს უთხრა: თავს გაგიხეთქავო. ასევე, საპატრიარქოსა და საზოგადოების მისამართით გირჩი ჯაფარიძის მონოლოგი გახლდათ პირდაპირი პროვოკაცია, რამაც რუსთაველის გამზირზე აღშფოთებული ადამიანების მისვლა გამოიწვია. ბოლო სიტყვა ხალხს ეკუთვნის. იმედია, საზოგადოება ამ პროცესებიდან სწორ დასკვნებს გამოიტანს. დადგა გადამწყვეტი ჟამი, როცა ირაკლი ღარიბაშვილი უნდა დაფიქრდეს: როგორ შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში. მას აქვს დიდი შანსი გახდეს ეროვნული გმირი, თუ კაპიტაციის ყველა თოკს ჩაჭრის და იმ დაპირების რეჟიმს დაუბრუნდება, რაც 2012 წლის ოქტომბერში გაიცა.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ელჭიპიტური უცნაურობანი, შაშა, კოლა, ფერადი ნაგავი და ჩემი ფეხები!

„გედვირიე“, ხალხო, ამ ბოლო დროს იმდენ „ღირებულებაზე“ მეუბნებიან, ისე კი არა, ასეაო და პირიქით, ასე კი არა, ისეაო, ჭკუაზე აღარ ვარ!

არაო, მეტრაკეს მეტრაკე და „პედერასტი“ აღარ უნდა დაუძახო, არც იმნაირი, არც ამნაირი, ფერადი უნდა უწოდოო, ცისარტყელაო!

ჯერჯერობით ვერ შევეგუე „ღირებულებების“ გადაფასება-გადახალისებას ჩემ გონებაში... რა ვქნა, ხშირად მეშლება – ისევ წამომცდება ხოლმე, თქვე „პედერასტებო“, თქვე მეტრაკეებო, თქვე ელჭიპიტებო, თქვე გეებო, თქვე იმნაირებო, თქვე ამნაირებო-მეთქი!

მოკლედ, თუ რამე იმნაირად წამომცდება, თუ ჩემი წარსული რამეს იმნაირად წამომაძახებინებს, ნუ დამძრახავთ, ოდესმე მეც ვისწავლი, მეც გავნათლდები, შეიძლება თავიც დავიბანო... აი, თავის დაბანაზე რატომ გეუბნებით, იცით? უკაცრავად, ცოტა ხანს ზრდილობას გვერდზე გადავდებ და ისე მოგახსენებთ: ეს ჩემის გადანგრეული ლაშა ბუღაძე (აბდაუბდა წიგნებს რომ წერს უნიტაზთან ჩაცუცქული) გამოათრიეს ტელევიზორში და განაცხადებინეს, ისინიო, ვინც ფერად მეტრაკეებს მხარს არ უჭერენ, არიან ბნელებიო, გაუნათლებლებიო, პუტინის მონებიო, საბჭოთა კავშირზე მეოცნებენიო. თუმცაო, ალბათ დადგება დრო, მაგათაც მოუწევთ წერა-კითხვის სწავლა, განათლების მიღება, ზრდილობის სწავლა და იძულებულნი გახდებიან, თავებიც დაიბანონო. წარმოგიდგენიათ? ეს ძუნძგლიანი სხვაზე იძახის, შეიძლება თავებიც დაიბანონო. აი, მეგობრებო, აი, სწორედ ეს არის სიბნელე და გოიმობა, როცა საზოგადოების ნაწილს, თუნდაც შენთვის კატეგორიულად მიუღებელს, ასეთ რაღაცას ჰკადრებ. თუმცა ადამიანისგან, რომელმაც წმინდანს ბოზი უწოდა, სხვას რას უნდა ელოდე? იმავე გადაცემაში ბუღაძემ „ბრძანა“, შავი ძალები ნუ ნერვიულობენ, საქართველოში ჯვრისთვისაც იქნება ადგილიო. გაიგონეთ? ჯვრისთვისა(ც)ო, ც-ო! ჰა, ჰა, ჰა... ამაზე იძახიან ხოლმე, მწერალიაო... მწერალი არა, შაშა, კოლა და ჩემი ფეხები!

ბოლო დროს ხშირად მეკითხებიან, ჟურნალისტიკას რა ეშველებაო? მე იმედგადაწურული ვპასუხობ... უფრო სწორად, ვპასუხობ კი არა, უბრალოდ მხრებს ვიჩეჩავ და ვფიქრობ, რომ მდგომარეობა უკვე უიმედოა, ეს საკითხი გამოსწორებას აღარ ექვემდებარება. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში უნდა შეიქმნას რაღაც ახალი ჟურნალისტური სკოლის მსგავსი, სადაც ამ პროფესიის მოსურნე გოგო-ბიჭებს ასწავლიან წერა-კითხვას, განუვითარებენ ნიჭს, დაუხვეწავენ უნარ-ჩვევებს, მეტყველებას და მანერებს. რა „პროდუქტიც“ ჩვენ დღეს გვაქვს, ეს სრულიად გამოუდეგარია – ნოდარა მელაძის, ინგა გრიგოლიას, ეკა კვესიტაძის, გიორგი გაბუნიას, ნიკა გვარამიას და სხვათა ჟურნალისტობა სამარცხვინო ანაქრონიზმია. სამწუხაროდ, პირზე დუჟმომდგარი გოგო-ბიჭები ამათ ბაძავენ არა მხოლოდ მეტყველებასა და მიხვრა-მოხვრაში, პროვოკაციების მოწყობასა და თავხედობაში.

ამ დღეებში ძალზედ „დაუნდობელი“ აღმოჩნდა, როგორც საზოგადოების ერთ-ერთმა ნიჭიერმა წევრმა უწოდა, ნაკოდუარი ნანული ჟორჟოლიანი. ჰო, ეგ არი, რაღაც გადაცემა რომ მიჰყავდა და მგონი ახლაც მიჰყავს, მაგრამ აღარავინ უყურებს... თუ არ ვცდები, შარშან დეპუტატობაც სცადა, პარლამენტში უნდოდა შეძვრომა მაჟორიტარულად, მაგრამ ჩემი ფეხები, სამი ხმა ჩამოიტანა საიდანღაც. სიმართლე გითხრათ, აღარ მახსოვს, სად, რომელ რაიონში დაძვრებოდა, არც მაინტერესებს. ჰოდა, ამ გარიყულმა და ნაკოდუარმა ნანულამ თქვა: „ღარიბაშვილი საქართველოში ვერ იცხოვრებს, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები“-ო. და ვინ იცხოვრებს საქართველოში, ერეკლე კოდუა ჩამოვა შემდეგ ცოლთან ერთად? მერე ნანულას რა ჩემი ფეხები? არც არაფერი!

**ირაკლი ღარიბაშვილი იცხოვრებს საქართველოში... ბიძინა ივანიშვილიც იცხოვრებს საქართველოში... ყველა ნორმალური ადამიანი იცხოვრებს საქართველოში... მოღალატეები, მკვლელები, მწამებლები, გამაუპატიურებლები ვერ იცხოვრებენ საქართველოში...** შეიძლება ფიზიკურად იცხოვრონ (როგორც უგულავები, ბოკერიები და სხვები ცხოვრობენ), მაგრამ მორალურად ისინი დამთავრებულები არიან. აბა, უყურეთ, როგორ იხევა ნაკერავზე ყოველ საღამოს გიგი უგულავა... აბა, უყურეთ, რამდენი წელიწადია, რაც იხევა? 2012 წლიდან, 9 წელიწადი გავიდა. სულ ცოტაღა დარჩა, ერთ დღესაც უცებ გასკდება თავის პატრონისთვის და დარჩება მხოლოდ ფეკალია. ეგრეა, მე მას სხვანაირ მომავალს ვერ ვუწინასწარმეტყველებ. ასეთივე მომავალი აქვს ყველა მწამებელს, ყაჩაღს, მკვლელსა და ქვეყნის ამრევს!

ყველაფერს დავანებოთ თავი, ბოლო-ბოლო, ვინ ჩემი ფეხებია ნანულა ჟორჟოლიანი, ეს ბოროტულად მოქმედი ქალი, რომ ამან გადაწყვიტოს, ვინ იცხოვრებს საქართველოში და ვინ – არა!

აქ ლირიკულად უნდა გადავუხვიო: ეკა კვესიტაძე, შოთა უტიაშვილის კნეინა აცხადებს, თემურ ჭყონია ბრეტ პიტს მაგონებსო. ეხლა მკითხავთ, კვესიტაძე და უტიაშვილი ვინ არიანო? ცოლ-ქმარი არიან, ქალი ჟურნალისტობს, ყოველ საღამოსა კვნესის „ჩაჯვივიზიაში“, კაცი კიდე ანალიტიკური დეპარტამენტის „უმფროსი“ იყო შსს-ში ვანო მერაბიშვილის დროს. ესე იგი, ადამიანი ხელმძღვანელობდა ანალიტიკურ სამსახურს, რომელსაც არც მეტყველება უვარგა, არც აზროვნება და არც მიხვრა-მოხვრა. აქ სასაცილო ერთი ფაქტია, ამას წინებზე მამუკა ხაზარაძე გამოიყვანეს ტელევიზორში და ათქმევინეს, თბილისის მერად თემურ ჭყონია იქნება ძაან მაგარი კანდიდატურაო. როგორ გითხრათ... ამათ ტვინში რომ უჭირთ, აშკარაა, მაგრამ ამ დონემდე თუ უჭირდათ, მართლა არ მეგონა. ამათ-მეთქი, მრავლობითში იმიტომ ვამბობ, რომ ეს იდეა (ალბათ) მარტო ხაზარაძეს არ ეკუთვნის, ამ საქმეში „ჭუტას“ (ავთო წერეთლის), ბადრი ჯაფარიძისა და ეგეთნაირების ხელები ურევია.

ბაჩანა ახალაია გახსოვთ? მიხო სააკაშვილის დროს მაგრად „მობლატავე“ (მწამებელი) მინისტრი რომ იყო და ეხლა ციხეში რომ ზის. მაგას ციხიდან წერილი გამოუგზავნია ცოლისთვის, რომელმაც სოციალურ ქსელში გაავრცელა (სტილი დაცულია):

„მახსენდება ჩემი ახალგაზრდობა, წლები როცა ადამიანის უფლებებისთვის ვიბრძოდი. ახლა ვზივარ და ვუყურებ როგორ ნადგურდება ყველაფერი, როგორ ნადგურდება ადამიანთა თავისუფლება, როგორ მიდის ქვეყნის ირანიზაცია. ახლა ჩემი ფიქრები მოწყვლად ჯგუფებთანაა, იმ ფერად ჯგუფებთანაა ჩემი ფიქრები, რომლებსაც სჯიან სიყვარულისთვის. გამაგრდით, ყველაფერი კარგად იქნება!“

თქვენი არ ვიცი... მე კი ლამის ცრემლები წამომივიდა და თანაც ღვარღვარით – ანადგურებთ ბაჩანა ახალაიას მონაპოვარს, თქვე ფარჩაკებო, ხომ?

გადავიდეთ შემდეგ საკითხებზე... უფრო სწორად, შემდეგ სირობებზე: დეპუტატმა ხათუნა სამნიძემ პარლამენტის წინ აღმართული ჯვარი გააპროტესტა. ეს ის არი (რესპუბლიკელი), არც ერთი ხმა რომ არ მიუღია და მაინც პარლამენტში მოხვდა ნაციონალების წყალობით. ეგეთია ქართული კანონი, შეიძლება ადამიანს ხმა არავინ მისცეს და მაინც დეპუტატი გახდეს.

პარლამენტის წინ დადგმულ ჯვრის დაუყოვნებლივ მოხსნას ასევე ითხოვს პროფესორი თეა თუთბერიძე. ამბობენ, ეს ქალი ილიას უნივერსიტეტში „მოღვაწეობსო“. ვაი, იმ ქვეყანას, სადაც თუთბერიძე პროფესორია და მომავალ თაობას „ზრდის“!

ნიკანორ მელიას გაუტრაკა ინგა გრიგოლიამ, ფერადი გოგო-ბიჭები და ჟჟჟჟუუუურრრრნალისტები რომ გაიგდეს, შენ სად იყავიო? ამან, ამ ნიკანორმა, იცი, რა არიო? ჩემამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ იქ, პარლამენტის წინ დიდი სისხლისღვრა იგეგმებოდა, იქ რომ მივსულიყავი, ყველაფერს მე დამაბრალებდნენო. არ არი ეხლა ეს დებილი? რას ბოდავს, უკვე თვითონაც არ იცის, ვარაუდზე „მართლულობს“ იმ „გადაშკურკულ“ თავსა. ვინ გეგმავდა დიდ სისხლისღვრას, ხელისუფლება? რატომ, შემდეგ ყველაფერი ნიკანორისთვის რომ დაებრალებინათ და ისევ ციხეში ჩაესვათ? რა ხეირი ხელისუფლებას, თუკი მელია ციხეში იჯდება? არც არაფერი, მაგის ყბედობას ყავლი დიდიხანია გაუვიდა, ადრეც გასული ჰქონდა, მაგრამ ამ ბოლოს მთლად გაფარჩაკდა. რა გამოდის, რაკი ნიკანორი ტუალეტში ჩაიკეტა და რუსთაველზე არ გამოვარდა, ხელისუფლებამ დიდი სისხლისღვრა გადადო, მხოლოდ ჟჟჟჟუუუურრრრნალისტების ცემით დაკმაყოფილდა? ვაააა... ესე იგი, ჯერ ყველაფერი წინ გვქონია, ბატონო კუკური, არ ინერვიულოთ. ბატონო კუკური კი არა, ბატონო ანზორ (მელიას მივმართავ), არ ინერვიულოთ, მართალია, თქვენი შვილი ციხიდან რაღაცნაირი მოწყვლადი გამოვიდა, მაგრამ ცხოვრება ამით არ დამთავრებულა, ის კიდევ მოიპოვებს გმირის წოდებას. ფუჰ, თქვენი!!!

მეგობრებო, აბა ისე როგორ იქნებოდა, ძმები ბერძენისვილებიდან ერთ-ერთს მაინც რომ არ გამოეჩინა თავი? დავითი გამოათრიეს ტელევიზორში და ალაპარაკეს, ღარიბაშვილი ორი ბატონის მსახურია – როგორც ივანიშვილის, ასევე საპატრიარქოსი, ის მენტალურად ბნელიაო. სხვათა შორის, თავის დროზე ეგ წკიპურტით მოვაშორებინეთ ბიძინა ივანიშვილს, თუმცა ახლა წკიპურტით მისი მოშორება გაჭირდებაო. ხედავთ, როგორ დაიწყეს ისევ ჩალიჩი ბებერმა „პედერასტებმა“? რა თქმა უნდა, ბიძინა ამათ ასი წელი აღარ დაუჯერებს, მაგრამ ეხლა დაიწყებენ საელჩოებში სიარულს, დაწერენ საჩივრებს, გაუგზავნიან საერთაშორისო ორგანიზაციებს, მოითხოვენ მის გადაყენებას. მოჰკრა რა ყური ამას თაკო ჩარკვიანმა, ეგრევე გამოვარდა ტელევიზორში და ამაყად განაცხადა, თუ რამე სასწაული არ მოხდა, ირაკლი ღარიბაშვილი გადადგებაო. ჯერ ერთი, არ გადადგება და მეორეც – თუ გადადგება, თაკოს რა უხარია, პრემიერად მაჭუტაძეს დაუნიშნავენ? როგორცა ვხედავ, თაკო ისე ჩვეულ „ამპულაშია“, ისევ ძველებურადა სხეპამს. სხვათა შორის, ასევე ძველებურადა სხეპამს თინა ბოკუჩავა, ხმა რომ არავის მიუცია და ეგეც დეპუტატი რომ გახდა: „აქციის დროს სუსმა იცოდა სამოქალაქო აქტივისტების გადაადგილების ტრაექტორია“. დიახ, სუსმა ნამდვილად იცოდა მაგათი ტრაექტორია და გამოქანების ეპიცენტრი.

და ბოლოს, როგორც ანალიტიკოსი ირაკლი ლატარია იტყობინება, აშშ-ში ფერადი პრაიდი საერთოდ არ ჩაატარებინეს, ევროპაში ჩატარდა ალაგ-ალაგ, თანმხლები ექსცესებით;

ჩვენს სამეზობლოში, თურქეთში მსხვერპლი მოჰყვა. „ვ რასიი ტაკოვა ნიეტ. სომხეთში – „ჩკა“, აზერბაიჯანში – „იოხ“!

ისე, თურქეთში რომ სცადეს, ვიდეო ვნახე, პოლიციამ სულ ცხვირ-პირი უნაყა ფერადოვნებს. არსად არ წამიკითხავს, ნატოს წევრ თურქეთში დემოკრატია დამთავრდა და სახელმწიფო ინსტიტუციები ჩამოიშალაო. „ინსტიტუციები“ თაკოს საყვარელი სიტყვაა, მან მეტი ვერაფერი ისწავლა დიდ პოლიტიკაში.

გაინტერესებთ, რომელ ადგილზე ვართ მსოფლიოში ელჭიპიტების პატივისცემის კუთხით?

როგორც ამბობენ, ელგებეტე ჰიბრიდების უფლებათა მდგომარეობის ცხრილში 49 ქვეყნიდან, ჩვენ 32-ე ადგილზე ვართ, ანუ ე.წ. ყვითელ ზონაში შვეიცარიასა და საბერძნეთთან ერთად. უფლებების დაცვის მხრივ ვუსწრებთ იტალიას, ჩეხეთს, პოლონეთს, რუმინეთს, კვიპროსს, ლიეტუვას და ლატვიას. გამოდის კი არა და... ასეა, ჩვენებურ ფერადოვნებს გაცილებით უკეთესად აქვთ საქმე, ვიდრე იმათ, ზემოთ რომ ჩამოვთვალე. კიდე გამოეთრევიან და დაიწყებენ, გვჩაგრავენო, ქუჩაში გვირტყამენო... არ დაიჯეროთ, თუ თავზე არ გადაიიმასქნეს, მაგათ საერთოდ არავინ ერჩის.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61





# „არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით, ეს სისაძაგლეა... ამ სისაძაგლის ჩამდენნი თავისი ხალხის წიაღიდან მოიკვეთებიან“

*გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი (მკალავიშვილი)*

**— მამაო, როგორ შეაფასებთ 5 ივლისის მოვლენებს?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენ ვიხილეთ სამარცხვინო გალაშქრება ღმერთის წინააღმდეგ, რომლის სცენარიც, პირდაპირ ვიტყვი, უკრაინაშია დაწერილი სააკაშვილის მიერ.

ჩემს ადრინდელ ინტერვიუებში ვაუწყებდი ქართველ ხალხს და მთავრობას, რომ სააკაშვილი არეულობას გეგმავდა საქართველოში. ამჟამად მან ლგბტ-თა წარმომადგენლები გამოიყენა, რათა ესკალაცია გამოეწვია. ასეთი რამ მრავალჯერ სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა ქართველთმოძულე სააკაშვილს და მის ხროვას. ფიქრობდნენ, თუ გეი-აღლუმი ჩატარდებოდა, ქართველი ლიბერალები პატივისცემას დაიმსახურებდნენ დასავლეთიდან და აურაცხელ გრანტებს მიიღებდნენ. ამჯერადაც ხელმოცარულნი დარჩნენ, თუმცა ეს არ არის ბოლო მცდელობა. ისინი კიდევ ახალ ხრიკებს მიმართავენ, რათა დაამხონ ხელისუფლება.

ქართველმა ერმა იხილა მუხანათური გეგმის შედეგი: ცალ მხარეს სააკაშვილი, მისი მორჩილი ტელევიზიებით, ჟურნალისტებით, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებით; მეორე მხარეს კი ღვთის მონა და მორჩილი მართლმადიდებელი ერი, რომელთა კრედო სამშობლოა და სარწმუნოება. თქვენ წარმოიდგინეთ, თითქმის ყველა ტელევიზია, სამწუხაროდ, მოღალატეთა მხარეს აღმოჩნდა.

რაც შეეხება სარწმუნოებრივ საკითხს, გავიხსენოთ ბიბლია: როცა კაცობრიობა სიბილწის მორევში აღმოჩნდებოდა, უფალი სასჯელს არ აყოვნებდა — სოდომ-გომორი, რომელიც მთლიანად მოისრა და იქ მხოლოდ მართალი ლოტი გადარჩა; წარღვნა, სადაც მხოლოდ ნოე გადარჩა თავისი სახლეულით. ამჟამადაც ლგბტ-თა სახით ანალოგიური სიტუაციაა. ეს არის აღვირახსნილთა ბრბო, მათში ზნეობის ყოველგვარი ზღვარი წაშლილია.

ისინი ძალადობენ ოცსაუკუნოვან მართლმადიდებელ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს მცნებას საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ.

**— არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები რატომ ემხრობიან ლგბტ ადამიანებს?**

— არასამთავრობო ორგანიზაციების მიზანი, მოყოლებული მათი შექმნიდან, ძირგამომთხრელი საქმიანობა იყო. მე, როგორც ღვთისმსახურს, მეთქმის სიტყვა, რამეთუ წარსულში ბრძოლის გზა მათ წინააღმდეგ მარტომ გავიარე, გვერდით მედგნენ სააკაშვილის მიერ უმოწყალოდ მოკლული პროფესორი გურამ შარაძე და ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი, მაშინ, როცა ეძინა ერს თუ ბერს. მაშინ, როცა ანტიქრისტიანული ბნელი ძალები, მართლმადიდებლობის მტრები, იკრებდნენ ძალებს, იდგამდნენ ფესვებს და იმ მწარე რეალობისთვის იმეტებდნენ ქვეყანას, რასაც ვუყურებთ დღეს ჩვენ.

იმიტომ გამოვეყავი დროებით, საპატრიარქოს, რომ არ შეისმინეს ჩემი თხოვნა — დროზე გაგვეფანტა ავის მომასწავებელი შავი ღრუბელი.

ჩვენს ქვეყანას შემოსეულ ამ ნაძირლებს ისეთი მხარდაჭერა აქვთ დასავლეთიდან, ოკეანისგაღმელთაგან, დიდი გული აქვთ, რომ დაამხობენ ეკლესიას. ვერ აცნობიერებენ, რომ ყოველივეს უზენაესი მართავს და მის გარეშე არაფერი ხდება. ბოლო სიტყვა ღმრთისა არს.

მინდა შეგახსენოთ ერთი საგულისხმო ფაქტი: 1992 წლის 6 იანვარს სასტუმრო „თბილისში“ გამართულ „საზეიმო“ ვახშამზე, სადაც საქართველოს შინაური ჯალალედინები „გამარჯვებას“ და ზვიად გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევებას ზეიმობდნენ, სომხეთიდან დაბრუნებული ბუნტის შიკრიკებს — ელდარ და გიორგი შენგელაიებს, ელენე ხოშტარიას მამამ ჰკითხა: „რა ქენით, ზვიად გამსახურდია ცოცხალი დატოვეთ?“ აი, ასეთი მანქურთები დგანან დღეს რადიკალურ ოპოზიციაში და თავს პატრიოტებად წარმოაჩენენ.

გაკვირვებული ვარ საქართველოში მოქმედი უცხოელი ელჩების მოქმედებებით. მათი მისიაა ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება, კულტურულ-ეკონომიკური კავშირის დარეგულირება და არა ჩვენ ოჯახში, პირად საქმეებში, ქექვა.

ქართველი, გლეხი იქნება, ინტელიგენტი თუ თუ საშუალო ფენის წარმომადგენელი, ყველას შეწევს უნარი და გონება, თავიანთი ცხოვრება წარმართოს, როგორც საჭიროდ მიაჩნიათ. არავის აქვს უფლება, დაგვიკანონონ ცხოვრების წესი. ერს წარმოადგენს ხალხი, მისი ნება და ყოველივე საჭირბოროტო საქმეები ხალხის უმრავლესობით უნდა წყდებოდეს.

მკაცრად ვაფრთხილებ ე.წ. „ელიტარული“ საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელს, ზედაპირულ მორწმუნეთ — უფრო ღრმად ჩაიხედონ წმიდა წერილში, ეზიარონ ქრისტეს ჭეშმარიტ მცნებებს და მერე ილაპარაკონ ერის სახელით. არალოგიკური, ეკლესიურად გაუმართავი აზრებით ნუ ცდილობენ ხალხის გონების არევას. პროპაგანდას ნუ ეწევიან ამორალებთან თანაცხოვრებაზე, სოდომიზმის შეგუებაზე. ბიბლიაში შავით თეთრზე წერია: „არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით, ეს სისაძაგლეა...“ (ლევიანნი 18–22, 29).

**— მამა ბასილ, ხომ არ გგონიათ, რომ შტურმი საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ღიად დაიწყო?**

— შვილო ჩემო, იცით, როდის დაიწყო ეს ომი? მაშინ, როცა სოროსის გაწვრთნილი კაცის მკვლელი ბოკერია ქვებით დასდევდა მართლმადიდებლებს; მაშინ, როცა აღდგომის მარხვაში ღამენათევ მრევლს უმოწყალოდ სცემდნენ, კაპიკებით აგებულ ეკლესიას ბარბაროსულად არბევდნენ. როცა მოღალატენი ყოველგვარ უკუღმართობას ნერგავდნენ, ცხადი იყო — ბოლო ბასტიონს — მართლმადიდებლობას შეუტევდნენ. ჯერ კიდევ არის დრო, მოხდეს ერის კონსოლიდაცია, გაიღვიძოს წინაპართა აღტყინებამ და ღვთის მეშვეობით უკუვაქციოთ ავისმომასწავებელი ქარიშხალი, რომელიც მოშთობას უპირებს საქართველოს და მართლმადიდებლობას.

ბუნებრივია, ვინც იცავს ზნედაცემულთა ინტერესებს და მათთან თანაცხოვრებას აპირებს, სწორედ ისინი უბიძგებენ თავიანთ შვილებს, აკეთონ, რაც მოუნდებათ. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, საქართველოს მოღალატეების: ბერძენიშვილების, სანიკიძეების, უსუფაშვილების, ხოშტარიების, ბოკერიების, ჩერგოლეიშვილების შვილები ლგბტ-თან იდგნენ და თანაუგრძნობდნენ მათ.

**— თქვენ, ალბათ, ვინმე ზუკა ბერძენიშვილზე და ქალბატონი ჟორჟოლიანის ქალიშვილზე ბრძანებთ, სექსუმცირესობათა აქციაზე რომ აქტიურობდნენ?**

— დიახ, მაგრამ, რა უნდა ვილაპარაკოთ იმ ადამიანზე, რომელიც ილია ჭავჭავაძეზე ამბობს: ასეთ ქართველ პოეტს არ ვიცნობ, დიდ ვერაფერი პოეტი იყოო. შეურაცხყოფს აკაკის, ვაჟას. თავისუფლების ინსტიტუტში გაზრდილი ვიღაც გაურკვეველი კაცი — დავით ზურაბიშვილი გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას „სახადს და კოშმარს“ უწოდებდა და წუხდა: „უკიდურესად გაძლიერდა ეკლესიაო“.

შეიძლება, დღეს ყველას არ ახსოვდეს, ამიტომ შეგახსენებთ: **დავით უსუფაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს ყველაფერი გააკეთა, რათა პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონი მიეღო.** მისმა მეუღლემ განაცხადა, როცა მოვაშორებ შვილებს ამ საქაჯეთს — საქართველოს და ამერიკაში გავგზავნი, მაშინ დავისვენებო. ამ მოღალატეთა ხროვამ ძალიან გაიხარა ჩვენი ეკლესიის დარბევით, ჩემი დაპატიმრებით, ბატონი გურამ შარაძის მკვლელობით. მაგრამ ჭირი თავს ვერ დამალავს, ყველას მიეზღვება სამაგიერო, დამსახურებებისამებრ.

**— მამა ბასილ, ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობთ. როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— ჩემი მრევლით თითქმის სამი ათეული წელია ერთად ვეწევით ცხოვრების ჭაპანს. 6 წელი ღია ცის ქვეშ ვლოცულობდით, მრავალი სასწაულის მოწმენი გავხდით. შემდეგ, როგორც იცით, დავმკვიდრდით ჩვენივე აგებულ ულამაზეს ტაძარში, ვასრულებთ ყველა საეკლესიო რიტუალს, ვადიდებთ უფალს. მრავალი დევნილობის, რბევა-შევიწროების გამო ჯანმრთელობა შერყეული მაქვს. განსაკუთრებით **5-წლიანი პატიმრობის დროს, გიგა ბოკერიას მითითებით, მრავალჯერ სცადეს ჩემი ლიკვიდაცია, რის გამოც სერიოზული ავადმყოფი ვარ, ექიმების კონტროლისა და მკურნალობის ქვეშ ვიმყოფები,** მაგრამ არ ვნებდებით მე და ჩემი მრევლი.

მე, სამწუხაროდ, ვერა, მაგრამ ჩემი მრევლი ყველა აქციაზე, ყველა შეკრებაზე დგას, სადაც იცავენ რწმენას, ერის ინტერესებს, ზნედაცემულთა ე.წ. კვირეულში ერთი დღეც არ ყოფილა, ჩემი მრევლი სიმართლის და ჭეშმარიტების მხარეს არ მდგარიყო.

ვმადლობ უფალს, რასაც ვხედავ ამ დღეებში, ახალგაზრდობა როგორ დგას ქვეყნის, ქრისტეს, სჯულის დაცვის სადარაჯოზე, მიხარია და ვლოცავ ყველას.

**მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნ ვახტანგ გომელაურს: ბ-ნო ვახტანგ, როგორც ღვთისმსახური, გთხოვთ, ობიექტური შეფასება მისცეთ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ჟურნალისტების ქმედებებს,** რომლებმაც გამაღიზიანებელი კითხვებით გამოიწვიეს ის, რაც მოხდა. ყველასთვის ცნობილია სააკაშვილის ვერაგული, პროვოკაციული გეგმები, რომლის ერთ-ერთი ნაწილი იყო ის, რაზეც წამოეგნენ კონტრაქციის გაღიზიანებული წევრები.

მე ურთიერთობა მაქვს ერის წარმომადგენლებთან, ხალხთან და მათი სახელით გთხოვთ — 48 მილიონის გამფლანგველი უგულავა, ციხეში პატიმრების ჩამხოცველი ბოკერია ხმამაღლა რომ ლაპარაკობენ და მართლმადიდებლები ციხეში სხედან, ესა არაა სამართალი. დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ ამჟამად პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდები, რომელნიც, წინაპართა მსგავსად, იცავდნენ სარწმუნოებას და ერის ტრადიციებს. ჩვენ არავის ვესხმით თავს, არავის მივცემთ უფლებას ჩვენი მომავალი თაობა წარწყმედის გზას გაუყენონ.

**— მამაო, პარლამენტის წინ მოვლენები სპონტანურად ვითარდება, რას ფიქრობთ, რას უნდა მოველოდეთ?**

— ჩემს ინტერვიუებში ყოველთვის ვაფრთხილებდი საზოგადოებას, რომ სააკაშვილი გეგმავდა მისი თანამზრახველებიდან ვინმე გარდაცვლილიყო ისე, როგორც ვანო მერაბიშვილს ორი გვამი სჭირდებოდა და ისევე, როგორც ივნისის მოვლენების დროს სააკაშვილის გეგმა იყო არეულობებში ფეხმძიმე ქალი ან ბავშვი გარდაცვლილიყო.

ორი დღის წინ ნიკა მელია ამბობდა, ხვალიდან, ანუ მომდევნო დღიდან დაიწყება მთავრობის გადატრიალების პროცესებიო.

საიდან იცოდა მელიამ ყოველივე ეს, თუ ყველაფერი წინასწარ არ იყო დაგეგმილი?

ამათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ქვეყანა კვლავ განსაცდელშია შინაური და გარეშე მტრებისგან.

მე მხოლოდ უფლის იმედი მაქვს!

ღმერთმა დაგლოცოთ.





**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# „ღამით ჩვენი მეცნიერები ოდნავ შეცვლიან დედამიწის გრავიტაციულ ველს და მთელი შენი ქვეყანა წყალქვეშ აღმოჩნდება...“

1977 წელს გეოფიზიკური იარაღის შექმნის აქტიურ სტადიაში ხელი მოეწერა გაეროს კონვენციას “ბუნებაზე სამხედრო და ნებისმიერი საზიანო მიდგომის აკრძალვის შესახებ”. მისი დანიშნულება მდგომარეობს გარემო ბუნების გამოყენების აკრძალვაში სამხედრო მიზნით, მაგალითად, ქარიშხლებისა და ქარბუქების ხელოვნური გამოწვევა, ხელოვნური ცუნამები და სხვა. ეს დოკუმენტი ხელმოწერილია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ და გეოფიზიკურ იარაღს ბირთვული იარაღის დონეზე აყენებს. მასშტაბური გეოფიზიკური იარაღის გამოყენება დღეს არა მარტო მსოფლიო საზოგადოების აღშფოთებას გამოიწვევს, არამედ სერიოზულ



საპასუხო რეაქციებსაც, რომელიც შესაძლოა ბირთვულ თავდასხმას გაუტოლდეს. აქედან კი გამომდინარეობს დასკვნა, რომ “სტრატეგიული” გეოფიზიკური იარაღი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ისეთი კატასტროფები, როგორიც იყო ქარიშხალი “კატრინა” 2005 წელს, ან 2010 წლის გვალვა რუსეთში, ან არ გამოიყენება, ან არსებობს ათობით ქვეყნის გლობალური შეთქმულება, მათ შორის საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდაც. რაც ნაკლებად სარწმუნოა. მიუხედავად ამისა, გეოფიზიკური იარაღის გამოყენება შეზღუდულ, ლოკალურ ტერიტორიაზე არა თუ შესაძლებელია, არამედ ზოგჯერ აუცილებელიც კი გახლავთ. ამერიკელი სამხედროები უარს არ ამბობენ ამინდის გამოყენებაზე მტრის ზურგში. მეტიც, შესაბამისი ტექნოლოგიების შემუშავება 2025 წლისთვის არის დაგეგმილი. ტაქტიკური უპირატესობა მდგომარეობს დაბალი ღრუბლიანობის შექმნაში, რომელიც დაფარავს მფრინავ აპარატებს და მათი დაკვირვება დედამიწიდან შეუძლებელი გახდება. ტექნოლოგიების პროექტები, რომლებიც ცვლიან კლიმატს, გასაიდუმლოებულია და უხვად ფინანსდება სამხედრო უწყებების მიერ. გვრჩება მხოლოდ იმის იმედი, რომ ადამიანებს არ წაართმევენ მზის სხივებს, სითბოს, წყალსა და ჰაერს. კლიმატური ეწოდება იარაღის ისეთ სახეობას, რომლითაც შესაძლებელია კლიმატზე ზემოქმედება, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ამინდის მართვა. რადგან თითქმის ყველა იარაღი, სამედიცინო და სამუშაო ხელსაწყოების გარდა, სხვისთვის ზიანის მისაყენებლადაა მოგონილი, „ამინდის მართვაში“ არ იგულისხმება ავდრის გარდაქმნა დარად, თუკი ეს კლიმატური იარაღის გამომყენებელი ქვეყნის იმტერესებში არ შედის. უფრო ხშირად დღემდე საიდუმლო იარაღად მიჩნეული კლიმატური იარაღის მთავარ დანიშნულებად სავარაუდო მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე საშინელი ბუნებრივი კატაკლიზმების გამოწვევას მიიჩნევენ. იმის მიუხედავად, რომ კლიმატური იარაღის შექმნასა და მის არსებობაზე გასული საუკუნის 70–იანი წლებიდან საუბრობენ, დღემდე დანამდვილებით ვერავინ ამბობს, არსებობს თუ არა ბუნებაში მართლაც ასეთი იარაღი და რომელ სახელმწიფოებს აქვთ იგი. თუ კლიმატური იარაღის არსებობას დავუშვებთ, ისიც უნდა დავასკვნათ, რომ მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და მაღალგანვითარებულობა ამ იარაღის ფლობისთვის საკმარისი არ არის. კლიმატური იარაღის შესაქმნელად და გამოსაყენებლად ათეული წლების განმავლობაში კოლოსალური შრომა, ადამიანური და ფულადი რესურსი გახდა საჭირო. იარაღის ამ სახეობის გამოყენებაზე საუბრობდნენ მრავალი დამანგრეველი მიწისძვრის, ცუნამის თუ სხვა კატაკლიზმის დროს. ამიტომაც, არც არავის გაკვირვებია, როცა იაპონიაში მომხდარი მოვლენების შემდეგ აქა–იქ ისევ გაიჟღერა რუსეთის მხრიდან იაპონიის წინააღმდეგ კლიმატური იარაღის გამოყენების ვერსიამ.

პირველი მინიშნება იმაზე, რომ რუსეთი კლიმატურ იარაღს ფლობს, ამერიკელმა მეტეოროლოგმა სკოტ სტივენსმა გაზეთ **“Casper Star Tribune”**-ში გააკეთა და რუსეთი ღიად დაადანაშაულა ქარიშხლების „კატრინასა“ და „რიტას“ წარმოქმნაში, მისი გადმოცემით რუსეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ სსრკ–ს დროიდან არსებობდა საიდუმლო მოწყობილობები, რომლითაც პლანეტის ნებისმიერ წერტილში ხდება შესაძლებელი კლიმატზე ზემოქმედება. სტივენსის განცხადებით, ამ სახის იარაღზე მუშაობა სსრ კავშირმა 1976 წელს დაასრულა და იგი ელექტრომაგნიტური გენერატორის პრინციპზეა აგებული. სტივენსი არ გამორიცხავს, რომ 80–იან წლებში, შესაძლოა, ამ სახის იარაღს სსრკ ბანდიტურ ფორმირებებზე ჰყიდიდა, მათ შორის იაპონურ „იაკუძაზეც“, რომელსაც აშშ–ზე შურისძიება ჰქონდა ჩაფიქრებული ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების გამო. სტივენსის თქმით, რადიოეთერის მოკლე ტალღებზე დაკვირვების დროს აღმოჩენილი ამოუცნობი ხმაური კიდევ სწორედ იმას მიანიშნებს, რომ „საქმე გვაქვს ამინდის კონტროლის რუსულ მანქანასთან“. ისიც უნდა ითქვას, რომ სტივენსის მოსაზრებას აბსურდული ყველაზე პირველად სწორედ ამერიკელმა სწავლულებმა უწოდეს. მეტიც — იგი თერმოდინამიკის კანონებისა და ქარიშხლების შესახებ თეორიული ცოდნის უგულებელყოფაშიც დაადანაშაულეს. ზოგიერთმა ამერიკელმა მეცნიერმა სტივენსს „შეთქმულების თეორიის“ მსხვერპლიც კი უწოდა, თუმცა, მეორე ნაწილმა სულაც არ გამორიცხა რუსეთიდან ამერიკაში „კატრინას“ გაგზავნის შესაძლებლობა და ამ ქარიშხლის დამანგრეველი შედეგების შემდეგ ბევრმა გაიხსენა რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცე–სპიკერის, ვლადიმირ ჟირინოვსკის განცხადება 2002 წლის სექტემბერში, რომელიც მან ჯორჯ ბუში–უმცროსის მისამართით გააკეთა: „ღამით ჩვენი მეცნიერები ოდნავ შეცვლიან დედამიწის გრავიტაციულ ველს, და მთელი შენი ქვეყანა წყალქვეშ აღმოჩნდება. ოცდაოთხი საათი,..., — და მთელი შენი ქვეყანა ატლანტიკისა და წყნარი ოკეანებისგან წაილეკება. შენ ვის ეხუმრები, ...?!“ სამოცდაათიანი წლების სსრ კავშირში მართლაც მიმდინარეობდა სავარაუდო მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ამინდის მართვისთვის საჭირო იარაღზე მუშაობა. ამ მიზნით შექმნილი იყო მთელი პროგრამა, რომლის დროსაც შეიქმნა ობიექტი „სურა“, რომელიც რუსეთის ცენტრალურ ნაწილში, ნიჟნი ნოვგოროდიდან 150 კილომეტრზე, მიყრუებულ ადგილას მდებარეობდა და სსრკ–ს რადიოფიზიკის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტს ეკუთვნოდა. დღეს ეს ობიექტი, საკმაოდ მიგდებულად გამოიყურება, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს, მისი უკაცრიელი სახე კი, შესაძლოა, შენიღბვის ერთ–ერთი მეთოდიც



იყოს. ცხრა ჰექტარ ფართობზე ოცმეტრიანი ანტენების რამდენიმე რიგია, რომელთა ქვეშ ბუჩქებია ამოსული. ანტენების ველის შუაში უზარმაზარი გამოსხივების მქონე რუპორია განთავსებული, მისი მეშვეობით მეცნიერები ატმოსფეროში აკუსტიკურ პროცესებს სწავლობენ. ტერიტორიის განაპირას რადიოგადამცემთა შენობა და ტრანსფორმატორული ქვესადგურია, ოდნავ მოშორებით კი — ლაბორატორია და სამეურნეო შენობები. რასაკვირველია, ტერიტორია მოქალაქეებისთვის დახურულია და რა სახის სამუშაოები მიმდინარეობს იქ ამჟამად, შესაბამისად, საიდუმლოდ რჩება.„სურა“ საბოლოოდ 1981 წელს ამოქმედდა. იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროზე დაკვირვება და მათი ურთიერთქმედების შესწავლა ამ დაწესებულებაში რომ დღესაც მიმდინარეობს, რუსები ხელაღებით არ უარყოფენ. კარგა ხნის განმავლობაში ამ დაწესებულებას სსრკ–ს თავდაცვის სამინისტროც კურირებდა, თუმცა, როგორც დღეს რუსები აცხადებენ, სსრკ–ს დაშლის შემდეგ აქ დაწყებული მეცნიერული დაკვირვებებით არავინ დაინტერესებულა, რაც



ცოტა უცნაური მტკიცებულებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ პუტინის ნატურას და იმას, რომ რუსეთის მმართველი სსრკ–ს დაშლას „ეპოქალური მნიშვნელობის შეცდომას“ უწოდებს. ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია, რომ პუტინმა უარი თქვა თითქმის უკვე გამზადებული ხელსაწყოების სრულყოფაზე და გამოყენებაზე, რითაც კლიმატის მართვაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, ბევრ უცხოელ და, სხვათაშორის, რუს მეცნიერსაც არ ეპარება ეჭვი, რომ კლიმატური იარაღი რუსეთმა სსრკ–სგან მემკვიდრეობით მიიღო.„სურა“ ყოფილი სსრკ–ს ტერიტორიაზე მსგავსი დანიშნულების მქონე ერთადერთი ობიექტი სულაც არ არის. აი, რას იხსენებს „იტოგისთან“ საუბარში გეოლოგიურ–მინერალოგიური მეცნიერების დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკისა და მინერალოგიის გაერთიანებული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ–თანამშრომელი, ალექსანდრე დმიტრიევი:„რუსეთში კლიმატური ექსპერიმენტები ნამდვილად ტარდებოდა. მაგალითად, მეცნიერებმა ტულის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ფართოდ დანერგეს ნალექის კონტროლის ტექნოლოგიები. თავდაპირველად ამ სამუშაოებს სსრკ–ს უმაღლესი განათლების სამინისტრო კურირებდა, შემდეგ ამ გამოკვლევებით სსრკ–ს თავდაცვის სამინისტრო დაინტერესდა, 1990 წლიდან კი ტულელი მეცნიერები გენერალური შტაბის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდნენ. შეიქმნა ქსელი თერთმეტი პოლიგონისგან, რომლებზეც შესაძლებელი იყო ამინდის ან კლიმატური პირობების შეცვლა. ტულელი მეცნიერების ტექნოლოგია ციკლონების წარმოქმნასა და მათი მოქმედების ტრაექტორიაზე ზემოქმედების საშუალებასაც იძლეოდა, ქარიშხლებისა და მიწიძვრების გამოწვევის ჩათვლით. პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მარტინოვმა იპოვა მეთოდი, რითაც დედამიწისა და ატმოსფეროს გრავიტაციული ბალანსის დარღვევის ინფორმაციის დაფიქსირება იყო შესაძლებელი.

სკოტ სტივენსის მიერ კლიმატური იარაღის გამოყენებაში რუსეთის დადანაშაულების შემდეგ მაშინვე გაიხსენეს, რომ აშშ–ში, ანკორიჯიდან 400 კმ–ის დაშორებით, გაკჰონის სამხედრო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არის რამდენიმე ჰექტარზეა გადაჭიმული ტერიტორია, სადაც, ტუნდრის შუაგულში ერთი ობიექტი „ჰარპ“, იგივე „ჩრდილოეთის ნათება“ მდებარეობს, რომელსაც საზღვაო ქვეითთა ბატალიონი იცავს, ხოლო მის თავზე საჰაერო სივრცე ყველა სახეობის ფრენისთვის დახურულია. რუსული მედიის ცნობით, სწორედ ამ ცენტრში და არა რუსეთშია გამოკეტილი კლიმატური იარაღის საიდუმლო.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# რას ამბობენ რუსეთში საქართველოში 5–6 ივლისს მომხდარ ამბებზე?




გასულ კვირას, როგორც უკვე ყველამ კარგად იცის, უღირსებო, უთავმოყვარეო ხალხი თბილისში „ღირსების მარშის“ გამართვას ცდილობდნენ. მათ 15-მა ვითომ პოლიტიკურმა პარტიამ ოფიციაულრადაც დაუჭირა მხარი. არის ასეთი გამოთქმა: „რაც ალხანა, ის ჩალხანაო“. ასეა ამ შემთხვევაშიც. თუმცა მივყვეთ მოვლენებს. 5 ივლისის ამბები უცხოურ პრესაში ზომიერად გაშუქდა, მაგრამ რატომღაც პასიურობდა „ევრონიუსი“.

რუსულმა ტელევიზიებმა ფართოდ გააშუქეს თბილისში 5–6 ივლისს განვითარებული მოვლენები. საინფორმაციო პროგრამები, თავისთავად, მშრალ ინფორმაციას გადმოსცემდნენ. სამაგიეროდ, ოთხმა ანალიტიკურმა გადაცემამ საკმაოდ უჩვეულოდ დიდი დრო დაუთმო




ლგბტ თემის აღლუმის ჩატარების მცდელობას. უჩვეულოდო, ვამბობთ, რადგან აგერ უკვე რამდენი წელია, საქართველოზე საუბარს ერიდებიან. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას — რუსეთის ტელევიზიებმა გაცილებით მეტი დრო დაუთმეს კახი კავსაძისა და რეზო გაბრიაძის შემოქმედების გახსენებას მათი გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე აქაურმა, ქართულმა ტელევიზიებმა.

ანალიტიკური გადაცემის წამყვანები, სტუმრების უმრავლესობასთან ერთად, გაოცებას ვერ მალავდნენ, როგორ შეიძლება გეი-პრაიდი თუ პარადი ტარდებოდეს ისეთ ქვეყანაში. როგორიც საქართველოა. მათი თქმით: „...საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, გააჩნია უძველესი და უნიკალური კულტურა, ტრადიციები... საქართველოში ოჯახის კულტია, ქალს, ბავშვს განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობიან. მათი, ქართველების სტუმართმოყვარეობა ხომ ყველამ კარგად იცის. თავად მოიკლებენ, მაგრამ სტუმარს უპატივცემულოდ არ გაუშვებენ... გაუგებარია, როგორ შეიძლება ასეთ ქვეყანაში მსგავსი ღონისძიების, ლგბტ წარმომადგენლების მსვლელობის გამართვა“. გადაცემების ყველა წამყვანი ასეთ აზრს გამოთქვამდა.

უმცირესობის უფლებების დამცველები და მომხრეებიც ჰყავდათ სტუმრად გადაცემებში. ერთ-ერთი გახლდათ მოსკოველი ლიბერალი ანდრეი ნიკულინი. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც პრეტენზია აქვს ყველაფრის ცოდნაზე, მაგრამ, საერთო ჯამში, უვიცია. ამიტომაც ცდილობენ წამყვანები, ნაკლებად ალაპარაკონ. ამერიკელი ჟურნალისტი მაიკლ ვასიურა წლებია, რუსეთში მუშაობს. მან ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა თბილისში პრაიდის გამართვა,. წამყვანი არტიომ შენინი ჩაეკითხა, საერთოდ ნამყოფი თუ იყო საქართველოში. ვასიურამ თამამად უპასუხა, ვარ ნამყოფი და ნაცნობებიც მყავსო. „შეიძლება, ხარ ნამყოფი საქართველოში, მაგრამ შენ არ იცნობ ქვეყანას, ქართველ ხალხს რომ იცნობდე, ასე არ ილაპარაკებდი. იქ ცხოვრობს ხალხი, რომელიც




არ შეეგუება და არ დაუშვებს მსგავსი გეი-პარადების, მსვლელობების გამართვას“, — ცოტა უხეშად შეეწინააღმდეგა შენინი სტუმარს.

გადაცემების სტუმარ-მასპინძლები კითხულობდნენ, ვის მოუვიდა აზრად საქართველოს დედაქალაქში გეი-პრაიდის გამართვა. თუმცა თავადვე პასუხობენ — ეს გარე ძალების მიერ არის თავსმოხვეულიო. РТР-ის ჟურნალისტმა და გადაცემა „60 წუთის“ წამყვანმა ოლგა სკაბეევამ შეფარული შურით თქვა: „...ჩვენთან მსგავსი აქციების აღსაკვეთად პოლიციას გამოიყვანდნენ, თბილისში ეს თავად ხალხმა გააკეთა“. იგივე გადაცემის მეორე წამყვანმა ევგენი პოპოვმა ნახევრად ხუმრობით თქვა: „...საქართველოში, მით უფრო, თბილისში გეი-პარადის გამართვა იგივეა, რომ ჩვენთან მედესანტეების დღეს გაბედოს ვინმემ ანალოგიური აქციის მოწყობა“. ხუმრობა გასაგები რომ იყოს, გეტყვით — რუსი მედესანტეები არ სწყალობენ სექსუმცირესობების წარმომადგენლებს და ამაღლებულ ხასიათზე მყოფებს განსაკუთრებით ეძალებათ აგრესია ასეთი ადამიანების მიმართ. აქვე გეტყვით — რუსეთში აკრძალულია იეღოველთა ე.წ. სარწმუნოება, რომელიც ტერორიზმთან არის გათანაბრებული.

ჟურნალისტ ვლადიმირ სოლოვიოვს რამდენიმე გადაცემა აქვს რადიოში, ღამით კი თავის საავტორო გადაცემას უძღვება ტელევიზიაში, კერძოდ, РТР-ზე. მისი განცხადებით, ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავს, რითიც ამაყობს. განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ, რომ სოლოვიოვის გადაცემებში მიუღებელია საქართველოს კრიტიკა, ამბობენ ან კარგს, ან — არაფერს (უკრაინასთან მიმართებაში პირიქით არის). მხოლოდ შლეგ სააკაშვილს, თავის პარტიასთან ერთად, ატარებს, რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკის ქარ-ცეცხლში. თუმცა მიხოს ქართველად არ მიიჩნევს, მხოლოდ გვარი აქვს ქართულიო, ყოველთვის ხაზგასმით ამბობს. გასაგებია, რასაც იტყოდნენ მის გადაცემებში ჩვენთან არგამართულ გეი-პრაიდზე, ამიტომ დაწვრილებით არ შევჩერდებით. თუმცა გადაცემის დასასრულს სოლოვიოვმა საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: „...თბილისში ლგბტ პრაიდის ჩავარდნით ჩვენი ლიბერალები არიან განსაკუთრებით დამწუხრებულები. წარმატების შემთხვევაში იმედი ჰქონდათ, საქართველოში, მათ შორის, თბილისში დაბანაკდებოდნენ. ამის პირობა მათ იქაური ოპოზიცონერებისგან ჰქონდათ“. სამწუხაროდ, თემა აღარ გაუშლია.



დამაფიქრებელი ინფორმაციაა, რომელსაც კარგად სჭირდება შესწავლა. საერთოდაც, ე.წ. ოპოზიციონერებს, ლიბერალებად მოაქვთ თავი, მაგრამ, ფაქტობრივად, ნეოფაშისტები არიან. ამის დასტურია მათი არაკორექტული გამონათქვამები ცალკეულ ერებზე. თუმცა ეს ცალკე განხილვის თემაა. ახლა ვიკითხოთ, ვის უნდა გარეშე ძალების, კონკრეტულად, რუსეთის რადიკალების შემოყვანა საქართველოში. პასუხი მარტივია — ნაცხროვას და იმ 15 ე.წ. პოლიტპარტიებს, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს ლგბტ თემს. ამასთან, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ პრაიდი არა სექსუმცირესობების დასაცავად. არამედ პროვოკაციის მიზნით იყო დაგეგმილი გარეშე ძალებთან ერთად. ყოველივე ეს ვერსია თავად გიჟმა სააკაშვილმა გაამყარა, როდესაც ორი დღის წინ, კვირას „პალიტრა ტვ“-ის ეთერიდან მის მხარდამჭერებს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდა.

და კიდევ. ანალიტიკური გადაცემების წამყვანებმა ჩვენთან განვითარებულ მოვლენებზე საუბრის ბოლოს თქვეს, რომ საქართველოში ახლა არ დაუშვეს გეი-პრაიდის გამართვა, მაგრამ, როგორ მოახერხებს საქართველოს ხელისუფლება დასავლელი თუ სხვა „მეგობარი“ „პარტნიორების“ იმ შეტევების მოგერიებას, რომელიც პრაიდის ჩაშლას მოყვება. მართლაც ლოგიკურია, საკითხის ამგვარად დაყენება. სამწუხაროდ, შეტევა ხელისუფლებაზე უკვე დაიწყო. იმედია, საქართველოს მოსახლეობა გვერდში დაუდგება ხელისუფლებას და ერთობლივი ძალებით შეძლებს მოსალოდნელი საფრთხეების განეიტრალებას.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ინტროვერტი ტახტზე — ევროპის დიქტატორი, რომელიც სასახლეში ცხოვრებაზე უარს ამბობდა



„ახალი სახელმწიფოს“ მთავარ არქიტექტორს, იდეოლოგსა და ლიდერს, პორტუგალიელ დიქტატორს ანტონიუ დი ოლივეირა სალაზარს ყველაფერში მოკრძალებულობა მოსწონდა, ერთადერთი მისი სისუსტე ძვირადღირებული ავტომანქანები იყო. ქვეყნის მმართველისთვის ბეჭდავდნენ გაზეთს ერთადერთ ეგზემპლარად, რათა მისთვის ქვეყანაში მიმდინარე ცუდი ამბები დაემალათ.

**დიქტატორი-კლერკი.** „ის იმდენად მშვიდი დიქტატორი იყო, რომ ევროპელების უმრავლესობა არც კი ეჭვობდა, რომ პორტუგალიაში დიქტატურა იყო“, — ასე ხუმრობდნენ ანტონიუ სალაზარზე. ის არც სამხედრო მოსამსახურე იყო, არც მასობრივი მოძრაობის ლიდერი და არც რევოლუციონერი.



ეს სულაც არ უშლიდა ხელს, რომ ჰყოლოდა საიდუმლო პოლიცია, რომელიც რეჟიმის მოწინააღმდეგეებს დევნიდა, დაემყარებინა ავტორიტარიზმი და შეუზღუდავი უფლებები მიეღო. თუმცა, თანამედროვე დიქტატურული ქვეყნებისგან განსხვავებით პორტუგალიაში არ იყო სიკვდილით დასჯა და მასობრივი რეპრესიები.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, კოიმბრიის უნივერსიტეტის პროფესორი — განათლებული ნაკითხი, მომხიბვლელი და ანგარიშიანი — მას ადვილად შეეძლო ადამიანების ნდობის მოპოვება. სალაზარის გარემოცვაში აღიარებდნენ, რომ მისი მომხიბვლელობის საიდუმლო განმაიარაღებელი ღიმილი, უზადო ვარცხნილობა და იდეალური კოსტიუმი-სამეული გახლდათ. ჩაცმის ამ სტილის გამო მას „დიქტატორ-კლერკსაც“ კი უწოდებდნენ.

**არშემდგარი მღვდელი.** ანტონიუ სალაზარი პორტუგალიის ჩრდილოეთით, წვრილი მიწათმფლობელების ოჯახში დაიბადა. ღვთისმოშიში მშობლების შვილს ყმაწვილობაში მღვდლობაც კი უნდოდა. თუმცა მოგვიანებით საბუთები ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანა, რომელიც წარმატებით დაასრულა.

მამაკაცი ნამდვილად ინტროვერტი იყო: საკმაოდ მდუმარე, ჩაკეტილი, მოკრძალებული, არ ეწეოდა, არ უყვარდა ალკოჰოლური სასმელები, გულგრილი იყო ცეკვებისა და მუსიკისადმი და ქალებთან რომანტიკულ ურთიერთობებს გაურბოდა. თუმცა, მოსწონდა მათ კომპანიაში ყოფნა.

ამბობდნენ, რომ სალაზარს სევდიანი სასიყვარულო გამოცდილება ჰქონდა. ახალგაზრდობაში ის ერთ-ერთი მემამულის ქალიშვილს ასწავლიდა. მათ შორის გრძნობები გაჩნდა და ახალგაზრდები დაქორწინებასაც აპირებდნენ, მაგრამ ქალიშვილის დედამ სალაზარი სახლიდან გააძევა.

საუბრობდნენ სალაზარის თბილ ურთიერთობებზე თავისავე ეკონომ ქალთან, რომელიც იმედოვნებდა, რომ მათი ურთიერთობა უფრო გაღრმავდებოდა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სალაზარი კიდევ უფრო ჩაიკეტა. ხუმრობდნენ კიდეც, მის ფანჯრებთან მისივე მხარდამჭერი დემონსტრაცია რომ მოაწყონ, ფარდებს ჩამოაფარებსო.

1926 წელს პორტუგალიაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ხელისუფლებაში მოსულმა გენერლებმა არ იცოდნენ, როგორ ეშველათ დანგრევის პირას მყოფი ეკონომიკისთვის. სალაზარი ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტ-ჰუმანიტარად მიაჩნდათ და არმიამ მაშინვე მას მიმართა.

შედეგად, გენერალი ანტონიუ დი კარმონა და სალაზარი თითქმის 20 წელი მართავდნენ ქვეყანას, როგორც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი.

სალაზარმა ძალიან სწრაფად შეძლო ადგილებზე კორუფციის ალაგმვა, დაამარცხა ინფლაცია და ბიუჯეტი სამუდამოდ მოაწესრიგა. თანდათან ყოფილი პროფესორის ხელში აღმოჩნდა ძალაუფლება მთელი თავისი სისრულით. ფაქტობრივად, სალაზარი მთავრობის თავმჯდომარე იყო, სინამდვილეში კი პრეზიდენტები მხოლოდ მის მიმართ ლოიალურად განწყობილი სამხედროები ხდებოდნენ. დიქტატორის ძალაუფლებაზე ისინი პრეტენზიას არ აცხადებდნენ და მხოლოდ მისი მმართველობის ვადას ახანგრძლივებდნენ. მათ ვალდებულებებში შედიოდა მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებებზე გამოსვლა.

ესპანეთში სამოქალაქო ომის პერიოდში სალაზარმა მხარი დაუჭირა ფრანკოს, მის დასახმარებლად რამდენიმე ათასი მოხალისეც გაგზავნა. ასევე გახსნა პორტუგალიის პორტები გერმანული და იტალიური ხომალდებისთვის, რომლებსაც აჯანყებულებისთვის განკუთვნილი ტვირთი შემოჰქონდა თ. მადლიერების ნიშნად ადოლფ ჰიტლერისგან სალაზარმა უახლესი „იუნკერსის“ თვითმფრინავები მიიღო.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ პორტუგალიის ლიდერმა უფრო ფრთხილად დაიწყო მოქცევა, მიუხედავად იმისა, რომ მისი რეჟიმი ფაშიზმთან იყო მიახლოებული, ქვეყანა ინგლისის ტრადიციული მოკავშირე იყო. მაშინ სალაზარმა სწორი სვლა გააკეთა: გამოაცხადა, ლისაბონი ლონდონის მოკავშირეა, მაგრამ ამ ომში ნეიტრალიტეტს დავიცავთო. ამ გადაწყვეტილებამ ქვეყანას მშვიდობა და დიდი შემოსავალი მოუტანა.

პორტუგალია კარგად ცხოვრობდა. ის ყიდიდა იშვიათ ლითონ ვოლფრამს როგორც ანტიჰიტლერული კოალიციის წევრ ქვეყნებზე, ასევე მესამე რეიხსა და მის მოკავშირეებზე. მაგრამ მხოლოდ ამან როდი შეუწყო ხელი ქვეყანას გამდიდრებაში. თანამედროვეების მოგონებების თანახმად, პორტუგალია იმ წლებში გიგანტურ შავ ბაზრად იქცა. ერთი ინგლისელის სიტყვებით, „მოგზაურებისა და მეომარი მხარეებისთვის ეს სახელმწიფო მშვიდობისა და აყვავების შესანიშნავი ოაზისი იყო. აქ იყო ელექტროობა, საკვები ბარათებზე არ იყიდებოდა, მაღაზიები კი სავსე იყო პროდუქტებითა და ფუფუნების საგნებით მათთვის, ვისაც მათი შეძენა შეეძლო“.

თავად ქვეყნის მეთაურისთვის უცხო იყო პიროვნების კულტი — პორტუგალიის მმართველისთვის არ დაუდგამთ ძეგლები, მის პატივსაცემად არც ქუჩებისა და ქალაქებისთვის შეუცვლიათ სახელი. ის ძალზე მოკრძალებულად ცხოვრობდა. სალაზარის ოფიციალურ რეზიდენციად 1912 წლიდან ბალენის სასახლე ითვლებიდა. იქ ცხოვრების საფასურად 100 ათასი რეალი იყო გადასახდელი. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სალაზარმა ეს კანონი გააუქმა, მდიდრულ რეზიდენციაში ცხოვრებაზე უარი თქვა და ლისაბონში დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა.

სალაზარის ერთადერთი სისუსტე ძვირადღირებული ავტომანქანები იყო, რომელთა მართვა თვითონ მოსწონდა.

**ჩვენ მხოლოდ კარგ ახალ ამბებს ვქმნით.** სხვა რამეებში სალაზარი საკმაოდ უემოციო იყო. ქვეყნის მმართველის გარემოცვაში ყვებოდნენ, რომ ის თავს კვლავ უნივერსიტეტის პედაგოგად თვლიდა, თავის თანამდებობას კი როგორც ხანგრძლივ მივლინებას, ისე აღიქვამდა და ყოველწლიურად წერდა უნივერსიტეტში წერილს მისთვის მორიგი აკადემიური შვებულების თაობაზე.

ომის შემდეგ კონსერვატორი სალაზარი ბევრს არათანამედროვედ მიაჩნდა. მისთვის გულწრფელად გაუგებარი იყო, რისთვის სჭირდებოდა ქვეყანას თავისუფალი არჩევნები, სავალდებულო განათლება, სამედიცინო სისტემა და მრავალპარტიულობა.

სალაზარს ძალიან მტკიცე პოზიცია ჰქონდა პორტუგალიის კოლონიების მიმართაც. 1961 წლისთვის ქვეყანა აზიასა და აფრიკაში 8 დამოკიდებულ ტერიტორიას ფლობდა, რომლებსაც კატეგორიულად არ აძლევდა დამოუკიდებლობას. ამაზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლაც კი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა.



თავად სალაზარი 36 წლის მმართველობის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა იქ და უარყოფდა, რომ პორტუგალიას, საერთოდ, კოლონიები ჰქონდა. მოგვიანებით ამ ქვეყნებში აჯანყებები დაიწყო, რომელთა ჩახშობაზე ქვეყნის ბიუჯეტის მესამედი იხარჯებოდა.

ახალგაზრდა პორტუგალიელები, იმის ნაცვლად, რომ კოლონიებში ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ებრძოლათ, უკეთესი ცხოვრების ძიებაში ქვეყნიდან გარბოდნენ. მთავრობა თავის მოქალაქეებს ვერაფერს სთავაზობდა კოლონიებში რელიგიური ან სამხედრო სამსახურის გარდა. რეჟიმი, ფაქტობრივად, სალაზარის პირად ავტორიტეტზე იდგა.

1968 წლის ზაფხულში სალაზარი სავარძლიდან გადმოვარდა, თავი დაარტყა და ტვინში სისხლი ჩაექცა. ის კიდევ ერთი თვის განმავლობაში, საავადმყოფოში ყოფნისას, რჩებოდა ქვეყნის მმართველად. მისი ადგილი ლიბერალურმა პროფესორმა მარსელუ კაეტანუმ დაიკავა.

სალაზარის თანამოაზრეებს არ უნდოდათ მისი განაწყენება — ექიმები და მედდები გააფრთხილეს, რომ მისთვის სიმართლე არ ეთქვათ. სიკვდილამდე სალაზარს სჯეროდა, რომ ისევ ქვეყნის მმართველი იყო, ის ყოველდღიურად ატარებდა „მინისტრთა კაბინეტის“ სხდომებს, ხელს აწერდა დოკუმენტებს და ხელქვეითებს დავალებებს აძლევდა.

სალაზარისთვის სამთავრობო გაზეთის ერთადერთ ეგზემპლარსაც კი ბეჭდავდნენ, სადაც მხოლოდ მისთვის სასიამოვნო ამბები იბეჭდებოდა.

პორტუგალიის დიქტატორი 1970 წელს გარდაიცვალა.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, ანტონიუ სალაზარი პორტუგალიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ლიდერად მიაჩნიათ.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
http://www.saertogazeti.ge E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99